


၁၂၃၁၂၀၆၀ ၂.၂၀၁၉



ISSN 2346-8416

# აქტალანი

აღმოსავლური ჟურნალი

გამოცის წელიწადში ორჯერ

2

დეკემბერი

თბილისი

2019

„არმალანი – შორით მოსულისაგან მოღებული  
მის თემის ძლვენი” (საბა).

ჟურნალი დაარსებულია 2016 წელს  
მაგალითობურას  
მიერ

რედაქტორი  
მზია ბურჯანაძე

სწავლული მდივანი  
ნანა ჯანაშია

დამკაბადონებელი  
ნანა ყანდაშვილი

მომკაზმველი  
ირაკლი უშვერიძე

**2019 წელი ცნობილი ქართველი ირანისტის კონსტანტინე ფალავას საიუ-  
ბილეო წელია. მას დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდა.  
უურნალ „არმალანის“ წინამდებარე გამოშვება მის ნათელ ხსოვნას ეძღვნება**

კონსტანტინე ფალავა (1919-1994) კლასიკური პერიოდისა და თანამედროვე სპარსული ლიტერატურის, ასევე, ქართულ-აზერბაიჯანული ლიტერატურული ურ-  
თიერთობების საკითხებს იკვლევდა. თუმცა მან თარგმანის სფეროშიც მოსინჯა სა-  
კუთარი ძალა და 1977 წელს კრებულ „არმალანში“ დაიბეჭდა მის მიერ ქართულად  
გადმოღებული ერთ-ერთი პირველი სპარსული პიესა „არაბისტანის გუბერნატორის  
აშრაფ-ხანის თავგადასავალი“. ეს ფაქტი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო თანამედროვე  
სპარსული ლიტერატურის ნიმუშების ქართულად თარგმნის გზაზე.

რამდენადაც მეოცე საუკუნეში გამოცემული „არმალანი“ ბიბლიოგრაფიულ იშვი-  
ათობად იქცა, სპარსული ლიტერატურით დაინტერესებულ მკითხველს კიდევ ერ-  
თხელ ვთავაზობთ ამ პიესის ქართულ ვარიანტს და უურნალის წინამდებარე გამოშ-  
ვებას ამ თარგმანით ვიწყებთ.

**უურნალის რედაქცია.**



## მირზა აყა-ხან თავრიზი (მე-19 ს-ის მეორე ნახევარი)

მირზა აყა-ხანი თავრიზში დაიბადა. თეირანში საფრანგეთის საელჩოში თარჯიმნად მსახურობდა, სპარსულისა და თურქულის გარდა, ფლობდა ფრანგულ და რუსულ ენებს. მას ეკუთვნის სპარსულ ენაზე დაწერილი პირველი პიესები. ამდენად, მირზა აყა-ხან თავრიზი თანამედროვე სპარსული დრამატურგიის ფუძემდებლად მიიჩნევა.<sup>1</sup>

### პრაგმატიკანის გუბერნატორის აშრაფ-ხანის თავგადასავალი<sup>2</sup>

#### პიესა 4 მოქმედებად

არაბისტანის გუბერნატორი აშრაფ-ხანი 1817 წლის ბოლოს გამოძახებული იყო თეირანში ვილაიეთის სამი წლის ანგარიშის ჩასაბარებლად. დიდი წვალებითა და ვაივაგლახით მოათავა ეს საქმე, კვლავ დაინიშნა არაბისტანის გუბერნატორად და გაიპარა დედაქალაქიდან.

მოქმედი პირნი:

აშრაფ-ხანი .....	გუბერნატორი
ქერიმ-აღა.....	მისი დისტვილი
ყურბან-ბეგი.....	მისი სახლის გამგებელი, მნე

<sup>1</sup> საინტერესოა, რომ მეოცე საუკუნის 70-80-იან წლებამდე ამ ოთხი პიესის ავტორად სომხური წარმოშობის ირანელი სახელმწიფო მოღვაწე, პუბლიცისტი, განმანათლებელი, მწერალი და დიპლომატი მირზა მალქომ-ხანი (1833-1908) მიიჩნეოდა. მაგალი თოდება მიერ შედგენილი კრებულის, „არმალანის“, მეორე წიგნშიც (1977წ.), რომელშიც დაიბეჭდა კონსტანტინე ფალავას მიერ ქართულად თარგმნილი პიესა „არაბისტანის გუბერნატორის აშრაფ-ხანის თავგადასავალი“, ავტორად მირზა მალქომ-ხანი იხსენიება. საქმე ისაა, რომ, თუმცა თავდაპირველად, მე-19 საუკუნის ბოლო მეოთხედში, ეს ოთხი დრამატურგიული თხზულება მირზა აყა-ხანის სახელით გამოიცა, მაგრამ მოგვიანებით, 1922 წელს, როდესაც მირზა აყა თავრიზიც და მირზა მალქომ-ხანიც გარდაცვლილები იყვნენ, გამომცემლობამ („ქავიანი“) პიესების კრებულის დაბეჭდვისას, წიგნის სატიტულო გვერდზე, ავტორად მირზა მალქომ-ხანი მოიხსენია.

უკვე მეოცე საუკუნის ბოლო მეოთხედში აზერბაიჯანელმა მეცნიერებმა საარქივო მასალების დახმარებით დაადგინეს, რომ ამ პიესების ავტორი ნამდვილად მირზა აყა-ხან თავრიზი იყო და არა – მირზა მალქომ-ხანი.

საურადლებოა, რომ ამავე დასკვნამდე მივიდა „არაბისტანის გუბერნატორის“ ქართველი მთარგმნელი და სპარსული ლიტერატურის მკვლევარი კ. ფალავაც. მან მირზა ფათალი ახუნდოვის არქივზე მუშაობისას ყურადღება მიაქცია ახუნდოვის პირად წერილს მირზა აყა თავრიზისადმი. წერილში მირზა ფათალი ახუნდოვი აფასებს მირზა აყა თავრიზის პიესების დაბეჭდით და უარყოფით მხარეებს და ამის თაობაზე სწერს კოლეგას. დღესდღეობით ამ პიესების აყა-ხან თავრიზისადმი კუთვნილების საკითხი ეჭვქვეშალარ დგას (რედ. შენ.)

<sup>2</sup> ავტორის მიერ მოქმედება გადატანილია რამდენიმე ათეული წლით ადრეულ ხანაში, კერძოდ, ფათალი-შაჰის მეფობის დროს (1797-1834). შენიშვნები აქაც და შემდგომაც ეკუთვნის მთარგმნელს (რედ. შენ.)

ჰასან-ბეგი.....	მისი პირადი შინამოსამსახურე, კამერდინერი
პრემიერ-მინისტრი.....	
მირზა ტარარ-ხანი.....	ფინანსთა სამინისტროს მოანგარიშე, კონტროლიორი
ალა-დადი.....	პრემიერ-მინისტრის კამერდინერი
მირზა აბდურ-რაჟიმი ...	მდივანი
შაჰის მსახურნი	
უბნის რწმუნებულის თანაშემწე	

## პირველი მოქმედება

დედაქალაქში ჩამოსვლის დღესვე დიდი პატივი ხვდა ნილად აშრაფ-ხანს. იგი პირადად მიიღო მისმა უდიდებულესობამ, ირანის შაჰის. შემდეგ ეახლა პრემიერ-მინისტრს, ხოლო საღამოუამს, შინ დაბრუნებული, თავის შთაბეჭდილებებს უზიარებს ქერიმ-აღას.

**აშრაფ-ხანი:** დღეს პრემიერ-მინისტრის მიერ ჩემი მიღება, მისი თავაზი და მირზა ტარარ-ხანის გადაკრულად ნათქვამი სიტყვები ურიგო არ იყო. მგონი, რომ ყველაფერმა კარგად ჩაიაროს.

**ქერიმ-აღა:** დიახ, დღეს პირველად ეახელით მათ და, ბუნებრივია, რომ ძღვენისა და საჩუქრების მოლოდინში საჭიროდ ჩათვალეს თქვენი გულთბილი მიღება. საქმე ისაა, რით დამთავრდება ყველაფერი ეს.

**ყურბან-ბეგი:** (შემოდის ოთახში, თავმდაბლად მიესალმება აშრაფ-ხანს და მოახსენებს): ბატონოჩემო, თქვენი მონა-მორჩილი ბრძანებას ველი; რამდენი თვით მოვიმარაგო ყავა, ქერი, თივა და სხვა ხარჯი ოჯახისათვის. მოგეხსენებათ, დედაქალაქში სიძვირეა და აქედანვე უნდა დავიჭირო ვარაუდი.

**აშრაფ-ხანი:** ერთ თვეზე მეტ ხანს არ დავრჩებით აქ. ხარჯის აღრიცხვაც ასე შეადგინე და მომიტანე. როგორც კი ჩავაბარებ ანგარიშს და მივიღებ საბუთს, მაშინვე გავემგზავრებით აქედან. გუბერნატორად ჩემი კვლავ დანიშვნის საქმის გადაწყვეტას აღარ დაველოდები.

**ყურბან-ბეგი** (თავისთვის): ჰმ, გაემგზავრები! (ხმამაღლა): ბატონოჩემო, აბა, როგორ გეკადრებათ გჯეროდეთ, რომ ასე მალე მორჩილით საქმეს. ისიც დიდი ამბავი იქნება, თუ ოთხ თვეში ჩააბარებთ ანგარიშს. განადაგავინყდათ, რომ თეორანიდან ქაღალდების პასუხს ორ თვეზე მეტ ხანს აგვიანდება და ახლა ვილაიეთის სამი წლის ანგარიშის დავიდარაბა, გგონიათ, ასე მალე დამთავრდება?

**ქერიმ-აღა:** ყურბან-ბეგი მართალს ამბობს. კიდევ ბევრი წყალი ჩაივლის, ვიდრე თქვენ აქედან გაემგზავრებოდეთ.

**აშრაფ-ხანი:** კეთილი, ვაუბატონებმა რომ ცხვირი არ ჩამოუშვან და ჩემს საქმეს გულგრილად არ მოეკიდონ, ახლა მათთვის ძღვენი და საჩუქარი უნდა გავანანილო. უმჯობესია, მათ ნინასწარ ჩავჩარო ბურთი პირში.

**ქერიმ-აღა:** ამას კი მართალს ბრძანებთ. გადაწყვიტეთ, ვის რას მიართმევთ და ხვალვე, დილით ადრე დაუგზავნეთ ყველას.

**აშრაფ-ხანი:** სამი ათასი ბაჯაღლოთი სავსე ქისა მისი უდიდებულესობის ფეშქაში

იყოს; ათასი ბაჯაღლო, ორი ცხენი – ტაუსი და თარლანი, ოთხი მხევალი და სხვადასხვა საჩუქრებით სავსე ექვსი საპალნე მიერთვას პრემიერ-მინისტრს; ხოლო ხუთასი ბაჯაღლო, ერთი მხევალი და ერთი საპალნე – მირზა ტარარ-ხანს. ხვალ, დილით ადრე ყურბან-ბეგმა ჩამოურიგოს ყველას ეს საჩუქრები.

ქერიმ-აღა: ეს ყველაფერი კარგია, ბიძაჩემო, მაგრამ ხაზინადარისთვის არაფერი გიბრძანებიათ. ის კი მთავარია: მას თუ არაფერი ერგო, მისი უდიდებულესობის სახელზე გაგზავნილი სამი ათასი ოქროსაგან სამი ვერცხლის ფასიც არ დარჩება. ამიტომ...

აშრაფ-ხანი: ამიტომ ბარემ თქვით, რომ მთლად უნდა გავტყავდე.

ქერიმ-აღა: ნება თქვენია, მაგრამ იცოდეთ, ამ ჩამოსვლაზე ათი ათასი თუმნით თუ გადარჩით, მადლობა თქვით. მე, ჯერ კიდევ ვილაიეთში რომ იყავით, გირჩიეთ, რათა ანგარიში გამოგეგზავნათ. ზედ დაგედოთ ორი-სამი ათასი თუმანი, რამდენიმე საპალნე საჩუქრებიც და ამ ჩამოსვლაზე საქმეც მოთავებული დაგხვდებოდათ. არ დამიჯერეთ, იქ უზრუნველად გრძნობდით თავს და დაგავიწყდათ, რომ ფინანსთა სამინისტროს წუნკი მოანგარიშე-კონტროლიორები, თუ მოინდომეს, ერთი-ორი გროშისათვის დოვლათით ქებულ ისფაჲანის ბაზარსაც კი გადასწვავენ და ახლა, როცა აქ მოგიხელთეს, გგონიათ, ასე მალე დაგეხსნებიან? ეს ხომ ფანტაზიაა!

აშრაფ-ხანი: კეთილი, ორასი ოქროც ხაზინადარს წაულონ და ამით მასაც პირი აუკრან.

(დილით ყურბან-ბეგმა ფული და საჩუქრები, როგორც ნაბრძანები ჰქონდა, ჩამოარიგა და მობრუნდა შინ),

აშრაფ-ხანი: ბიჭებო, აბა, გავწიოთ ახლა სასახლისაკენ, პრემიერ-მინისტრს ვეახლოთ.

ყურბან-ბეგი: კეთილი, მზად გახლავართ.

აშრაფ-ხანი: (ნამოდგომისთანავე წარმოთქვამს: „ბისმილაჲ!“) ღმერთო, მიხსენი ამ კაცისმჭამელი მგლებისაგან!

(შედის პრემიერ-მინისტრის მოსაცდელში და პირდაპირ მიემართება სალონისაკენ)

ქერიმ-აღა: (გულამოვარდნილი დაეწევა აშრაფ-ხანს და ხმადაბლა ეკითხება) ბიძაჩემო, შეიხ ფეთქულას ლოცვა შეიბი თუ არა მკლავზე?

აშრაფ-ხანი: კი, როგორ არა, თითზეც შამსი მარჟუმ-ხანის წმინდა ბეჭედი წამოვიცვი.

ქერიმ-აღა: მაშ, ახსენეთ ღმერთი და წარუდექით პრემიერ-მინისტრს (აშრაფ-ხანი მიდის, უნდა შეაღოს პრემიერის კაბინეტის კარი).

ალა-დადი: (გამოქანდება იქვე კუთხიდან და წინ გადაეღობება აშრაფ-ხანს) ალავ, მოითმინეთ, ჯერ ნუ შებრძანდებით, პრემიერ-მინისტრს საიდუმლო თათბირი აქვს.

აშრაფ-ხანი: რას ამბობ, როგორ თუ თათბირი, თვით მისმა აღმატებულებამ მიხ-

მო დღეს. (რომ არ შეუშვეს, შეცბუნებული და სირცხვილისგან განითლებული იძულებული ხდება, მოსაცდელში ჩამოჯდეს გამოძახების მოლოდინში)

**ალა-დადი:** (ხმამაღლა, ისე, რომ აშრაფ-ხანმა გაიგონოს) ჰმ, მაგათი... ხალხს ძარცვავენ, ჯიბეებს ისქელებენ, მერე აქ ჩამობრძანდებიან, ფულებით საქმეებს იკეთებენ, თანამდებობებს ღებულობენ და თანაც როგორ იბლინძებიან? ასე ჰგონიათ, ყველა მაგათ უნდა ემსახუროს.

**პრემიერ-მინისტრი:** (ხმა ისმის კაბინეტიდან) ბიჭებო!

**ალა-დადი:** (თავდახრილი ეახლება) ბრძანეთ, ბატონო!

**პრემიერ-მინისტრი:** მე აშრაფ-ხანი მინდოდა, არ მოსულა?

**ალა-დადი:** არა, ბატონო, ჯერ არ ჩანს. თუ მიბრძანებთ, ახლავე გავგზავნი ვინ-მეს და მოვაყვანინებ.

**პრემიერ-მინისტრი:** მაშ, სწრაფად, მე საქმე მაქვს, წასასვლელი ვარ.

**ალა-დადი:** (გამოვა კაბინეტიდან, დაახლოებით ნახევარ საათს დაიცდის და მხოლოდ ამის შემდეგ აუწყებს აშრაფ-ხანს) მობრძანდით, გიხმობთ ბატონი. (აშრაფ-ხანიც შევა, წარუდგება პრემიერ-მინისტრს და თავმდაბლად მიესალ-მება)

**პრემიერ-მინისტრი:** „ბისმილაჰ“, მობრძანდი, ხომ კარგად ხარ?

**აშრაფ-ხანი** (კვლავ თავდახრით): თქვენი აღმატებულების წყალობით...

**პრემიერ-მინისტრი:** არაბისტანიდან გადასახადების დაგვიანების გამო შაჰი ძალიან გაჯავრებული იყო. კიდევ ბრძანა, საგანგებოდ კაცი გამომეგზავნა, მაგრამ თქვენი გულისათვის დავაყოვნე მისი უდიდებულესობის ნების აღსრულება.

**აშრაფ-ხანი:** განა არ ვიცი, რომ პრემიერ-მინისტრის წყალობა მისი მონა-მორჩილისადმი უსაზღვროა. ღმერთმა ნუ მოაკლოს ირანის ხალხს თქვენი მფარველობის ჩრდილი!

**პრემიერ-მინისტრი:** კი მაგრამ, ვილაიეთში საქმის ვითარების შესახებ რატომ არა-ფერს მოგვახსენებდი?

**აშრაფ-ხანი:** თქვენმა სიცოცხლემ და სიხარულმა, არც ერთხელ ფოსტა არ წამოსულა ისე, რომ რაპორტი არ გამომეგზავნა.

**პრემიერ-მინისტრი:** ახლა მაინც ნუ დააყოვნებ, მალე მორჩი ანგარიშს და წარმომიდგინე მოხსენებითი ბარათი, რათა განვიხილო და მოვრჩე შენს საქმეს. აქ დიდხანს ნუ გაჩერდები. ეცადე, მალე გაპრუნდე.

**აშრაფ-ხანი:** დიახ, დიახ, ჩემი უმორჩილესი თხოვნაც სწორედ ეს გახლავთ. მინდა, რაც შეიძლება მალე გავთავისუფლდე. მოგეხსენებათ, ჩემი ვილაიეთი ზედ საზღვარზეა და ღმერთმა ნუ ინებოს, იქ რამე მოხდეს.

**პრემიერ-მინისტრი** (მიმართავს მირზა ტარარ-ხანს): მირზა ტარარ-ხან, ათი დღის განმავლობაში უზრუნველყავით არაბისტანის ანგარიშის განხილვა. აშრაფ-ხანის აქ მეტ ხანს დარჩენას აზრი არა აქვს. შაჰიც ასე ფიქრობს.

**მირზა ტარარ-ხანი:** მესმის, ბატონოჩემო. ერთხელ შევხვდები აშრაფ-ხანს და შევუდგები თქვენი ბრძანების შესრულებას.

(ამ დროს აშრაფ-ხანი წამოდგება, უნდა, წასვლის ნებართვა ითხოვოს)

**პრემიერ-მინისტრი:** როგორ, მიდიხარ უკვე? კეთილი, მაგრამ ხვალ საღამოს მოხვალ კვლავ. შენთან საქმე მაქვს. (აშრაფ-ხანი გადის. შუა ეზოში მას ორი-სა-

- უცნობნი: მი უცნობი სირბილით წამოეწევა. წინ გადაუდგებიან და ეუბნებიან)  
უფროსო, აბა, გროშები!
- აშრაფ-ხანი: მე... თქვენ?..
- უცნობნი: ჰო, დიახ, ჩვენ მისი აღმატებულების ლაქიები ვართ. აკი რამდენჯერ  
მოგართვით ყავა და ყალიონი.
- აშრაფ-ხანი: კეთილი, კეთილი, ახლა გიცანით. აი, მე უუბრძანებ ყურბან-ბეგს,  
ხუთი თუმანი გაჩუქოთ. (განაგრძობს გზას და, როდესაც ჭიშკარს მიაღ-  
ნევს, გარს შემოეხვევა მსახურთა კიდევ ერთი ჯგუფი – ღმერთმა ნუ მოგ-  
ვაკლოს ჩრდილი თქვენი წყალობისა, ჩვენც მოგვეცი ცოტაოდენი ფლავი  
საჭმელად, – ეუბნებიან აშრაფ-ხანს)
- აშრაფ-ხანი: კარგი, ხვალ მოდით ჩემთან და ყურბან-ბეგისაგან მიიღებთ ხუთ  
თუმანს. (შეშინებული, კიდევ არავინ გადამეყაროსო, მოახტება ცხენს და  
მოპურცხლავს შინისაკენ. აქ იგი უხმობს ქერიმ-აღას) ქერიმ-აღა, მოდი,  
გიამბო დღვანდელი ამბები. ეს რა ვნახე, ეს რა არეულობა და თავ-  
ნებობა ყოფილა პრემიერ-მინისტრის სასახლეში. ღმერთმანი, ადამი-  
ანს აქ ცოცხლად შესჭამენ. რომ იცოდე მერე, აღა-დადმა, იმ მამა-  
სულძალმა, ხალხში რა თავსლაფი დამასხა, სირცხვილით დავიწვი. საპყრობილეში წასვლა მირჩევნია, ვიდრე კვლავ ვეახლო აქ პრემი-  
ერ-მინისტრს.
- ქერიმ-აღა: ბიძავ-ბატონო, აკი მოგახსენეთ, არაბისტანში ნუ გგონიათ თავი-  
მეთქი. აქ დედაქალაქია, ამისთანა ამბები ხშირად ხდება და ამიტომ  
თქვენც მოთმინებით უნდა აღიჭურვოთ, მაგრამ რაც დღეს თავს გა-  
დაგხდენიათ, ეგ ადვილად გამოსწორდება. აი, მე ახლავე სამ თუმანს  
გავუგზავნი ალა-დადს და ხვალ, როდესაც მიბრძანდებით იქ, ნა-  
ხავთ, რა დამტკბარი დაგიხვდეთ. (მაშინვე უხმობს მსახურს, აძლევს სამ  
თუმანს და ეუბნება): ახლავე ეს ფული სახლში მიუტანე ალა-დადს და  
უთხარი, ეს შენი მოსაკითხია, ხანმა გამოგიგზავნა-თქო. მიეცი და  
გამობრუნდი. (მსახური ფულს ართმევს და გადის. შეასრულებს დავალე-  
ბას და ბრუნდება)
- აშრაფ-ხანი (საღამოუამს მსახურს მასთან შემოაქვს ტკბილეულობითა და ყვავილებით  
დამშვენებული ლანგარი, რომელსაც წინ დაუდგამს): ეს რაღაა, ვისგან  
არის?
- მსახური: პრემიერ-მინისტრის უფროსმა ლაქიამ მოგართვათ.
- აშრაფ-ხანი (ძლიერ შეშფოთებული): კეთილი, ცოტა ხანს გარეთ დამიცადე. ბიჭე-  
ბო, ქერიმ-აღას დამიძახეთ! (შემოდის ქერიმ-აღა). შეხედე, ეს რაღა  
ამბავია, რა საქმე მაქვს მისი აღმატებულობის უფროს ლაქიასთან,  
რომ მეთამაშება, ეს რა უმსგავსობაა. აღარ მინდა, ღმერთო, გუბერ-  
ნატორობა.
- ქერიმ-აღა: მართალს ბრძანებთ, მასთან საქმე არა გაქვთ, მაგრამ მას აქვს  
თქვენთან საქმე. მოთმინებით უნდა აღიჭურვოთ, დე, ორი თუმანი  
მასაც მისცენ.

(ფარდა ეშვება)

## მეორე მოქმედება

მესამე დღეს აშრაფ-ხანი გამოეწყობა და ქურიმ-ხანის თანხლებით გასწევს სასახლისაკენ, უნდა ეახლოს პრემიერ-მინისტრს. როგორც კი სადარბაზო შესასვლელში ფეხს შედგამს, კი-ბეჭედი მის შესახვედრად დაეშვება ალა-დადი.

**ალა-დადი:** მაპატიეთ, ალა, იმ დღეს ვერ გიცანით. მისი აღმატებულებისაგან ვიყავი დაგესლილი და ამიტომ ვერ შეგხვდით ხასიათზე. ჩვენ ხომ მსახურებად ვართ დაბადებულნი. მოგეხსენებათ, უფროსებს სულგრძელობა მართებთ უმცროსის დანაშაულზე

(ამ ლაპარაკში მიადგებიან კარს. ალა-დადი მყისვე გადასწევს ფარდას და აშრაფ-ხანიც უკვე პრემიერ-მინისტრის კაბინეტშია).

**პრემიერ-მინისტრი:** მოდი, აშრაფ-ხან, წუხელ შაჰს სწორედ თქვენ შესახებ მოვახსენებდი. მიბრძანა, აშრაფ ხანმა რაც შეიძლება, დააჩქაროს ანგარიშის ჩაბარება და გაემგზავროს.

**აშრაფ-ხანი:** დიახ, დიახ, მეც მაგას გთხოვთ. მაგრამ, მოგეხსენებათ, ეს საქმე მირზა ტარარ-ხანის გარეშე ვერ დამთავრდება. მე კი, რა თქმა უნდა, ყოველთვის მზად ვარ უკან გასაბრუნებლად.

**პრემიერ-მინისტრი (მირზა ტარარ-ხანს):** ჩანს, თქვენ ჯერ კიდევ არ გქონიათ შეხვედრა აშრაფ-ხანთან.

**მირზა ტარარ-ხანი:** სამწუხაროდ, მაგრამ თქვენი აღმატებულების დავალებებით ისე ვიყავი გადატვირთული, რომ აშრაფ-ხანთან ესოდენ აუცილებელი შეხვედრის შესაძლებლობა აქამდე არ მომეცა.

**პრემიერ-მინისტრი:** მაშ, ახლავე ინებეთ და აშრაფ-ხანთან ერთად წაბრძანდით მასთან ბინაზე. ინახულეთ, როგორ მოეწყო, თანაც შეთანხმდით ანგარიშის ჩაბარების თაობაზე. აუწყეთ აგრეთვე მისი უდიდებულესობის ბრძანების შესახებ, როგორც წუხელ გითხარით.

**მირზა ტარარ-ხანი:** მესმის, ბატონო!

(და დგება, აშრაფ-ხანთან ერთად მიდის მის ბინაზე. დასხდებიან დარბაზში სასაუბროდ. ამ დროს ეზოდან აურზაურის ხმა ისმის).

**აშრაფ-ხანი:** ბიჭებო, გაიხედეთ, რა ხდება, ეს რა ხმაურია?

**ჰასან-ბეგი:** (შემოდის) ისეთი არაფერი, ბატონებო, აქლემები და სპილოები მორეკეს.

**აშრაფ-ხანი:** კი მაგრამ, რისთვის, რას ნიშნავს ეს?

**მირზა ტარარ-ხანი:** არის ასეთი ჩვეულება. გუბერნატორის მისასალმებლად აკეთებენ ხოლმე ამას.

**აშრაფ-ხანი:** (ტარარ-ხანის წინაშე ვერ ბედავს გამოთქვას თავისი აღშფოთება ამ ფაქტის გამო). ჰასან, მიეცით მათ სამი თუმანი და მოსცილდნენ აქაურობას.

**მირზა ტარარ-ხანი:** უნინარეს ყოვლისა, იცოდეთ, ხანო, რომ, თუ ღმერთმა ინება, თქვენი ანგარიშის განხილვა დაიწყება ხვალიდან. ამასთანავე, უწყობება და დამატება მის გადასახვედრად დაეშვება ალა-დადი.

დეთ ისიც, რომ საპატიო ხალათის<sup>1</sup> მიღებისათვის და თანამდებობის პირებისათვის ახლავე უნდა გაამზადოთ თერთმეტი ათასი თუმანი, თორემ, კარგად იცით, არაბისტანის გუბერნატორის თანამდებობის დასაკავებლად მოიძებნება როგორმე სხვაც. არ დაივიწყოთ. თუმცა ეს იგულისხმება, რომ ფეშქაში საჭიროა პრემიერ-მინისტრისათვისაც. ხოლო, რაც შემეხება პირადად მე, თქვენს მონა-მორჩილს, კარგად მოგეხსენებათ ჩემი თქვენდამი უსაზღვრო სიყვარულისა და მოკრძალების ამბავი. ამიტომაც სამსახურისათვის ვისურვებდი... დიახ...

**აშრაფ-ხანი:** ჩემო ძვირფასო, ოღონდ თქვენი სიკეთე და ყურადღება ნუ მოაკლდება ჩემს ანგარიშს და მზად ვარ, გემსახუროთ.

**მირზა ტარარ-ხანი:** რას ბრძანებთ, როგორ გეკადრებათ, ხვალიდანვე შევუდგები თქვენს საქმეს და აქედან ისე გაგისტუმრებთ, როგორც გეკადრებათ, მაგრამ მე კიდევ ერთი სამსახური მინდა გაგინიოთ. გამიგია, რომ სოფელ აშრაფაბადში თქვენი მამულის მონახევრე ჯან-მოჰამედ-ხანი, თურმე, ძლიერ ავინროვებს თქვენს მოიჯარესა და მოურავს. იმ ადგილ-მამულს რომ მე დამითმობდეთ, მოისვენებდით ზედმეტი დავიდარაბისგან.

**აშრაფ-ხანი** (თავისთვის): შენ კი ჩაძალლდი, შენა, და ეს ხომ დასაწყისია. (ხმა-მაღლა): სიამოვნებით, თუ რამ მაბადია, ყველაფერი თქვენ გეკუთვნით. ინებეთ, რასაც ისურვებთ...

**მირზა ტარარ-ხანი (დგება):** ჯერჯერობით, გისურვებთ ყოველივე კარგს!

(და, გავა თუ არა, შემოდის თხუთმეტი კაცი ფარეში, რომელთაც მოუძღვის მათი უფროსი).

**ფარეშების უფროსი:** სალამ ალაიქ, უფროსო, უკვე რამდენიმე დღეა, ჩამობრძანდი და ფარეშებისთვის კი არაფერი გიჩუქებია. ასე კი არაა საქმე, ბოლოს და ბოლოს, ჩვენ დედაქალაქის მსახურები და ფარეშები ვართ.

**აშრაფ-ხანი** (თავისთვის): არ არის ღმერთი, გარდა ალაპისა. ღმერთო ჩემო, ეს რა შეცდომა ჩავიდინე, რომ ჩამოვედი, ეს რა მთავრობის ხელში ვარ, ეს რა უბედურებაა ჩემს თავზე, რომელი ანგარიშის ჩაბარება... (აღელვებული) ბიჭებო! (საპრალო აშრაფ-ხანმა იმ დამით საზარელი სიზმარი ნახა. ეზოში სეირნობის დროს უეცრად მის ფეხებთან გაჩნდა შვიდი-რვა დიდი შავი გველი, რომლებიც შეუპოვრად მასზე აცოცებას ლამობდნენ. შემინებულმა ხანმა ძილში შეჰკივლა და ლოგინიდან ნამოვარდა. დილით იხმობს ქერიმ-ალას და უამბობს ამ შემაძრნუნებელ სიზმარს, თან უსაზღვრო დარდი ანუხებს, ვაითუ როგორ ამიხდეს ეს სიზმარიო. და სწორედ ამ დროს მისაღები დარბაზის კარებში თვალს მოჰკრავს ნითელ პერანგებში გამოწყობილ თხუთმეტ ჯაღათს, რომლებსაც ორმხრივლესული თავისი ხმლები ძირს დაუხრიათ და ერთ რიგად ეწყობიან, რათა ასე ნარუდგნენ გუბერნატორს. ამ სურათის დამნახავი აშრაფ-ხანი აცახცახებული, ბუტბუტით გავარდება ოთახიდან) ჰ...ჰ...ჰ...ა...ს...ან, სასწრაფოდ შემიკაზმონ ცხენი

<sup>1</sup> გუბერნატორს ამ თანამდებობის მიღების ნიშნად ეძლეოდა საგანგებო ხალათი.

	და მომგვარონ უკანა ეზოში, შაჳ – აბდ-ოლ-აზიმში <sup>1</sup> უნდა წავიდე, თან...
ჰასან-ბეგი	(რამდენიმე წუთის შემდეგ): ცხენი მზადაა, ინებეთ (მაგრამ აშრაფ-ხანს შიში არ განელებია და გული შეულონდება, ხოლო ამ სანახაობით დამ-ფრთხალი ჰასან-ბეგი ქერიმ– აღას უძახის): აღავ, არიქა, მიშველეთ, უბედურება მოხდა, ხანს გული წაუვიდა.
ქერიმ-აღა ჰასან-ბეგი:	(გამოდის): ბოლოს და ბოლოს, რატომ უნდა წაუვიდეს გული, რატომ? აბა, რა ვიცი, რა მოგახსენოთ, დაინახა თუ არა ეს წითლად გამოწყობილნი, თავზარი დაეცა, გამოვარდა, სასწრაფოდ ცხენი ბრძანა, შაჳ-აბდ-ოლ-აზიმში უნდა წავიდეთო.
ქერიმ-აღა:	როგორც ეტყობა, ეს უბედური ამ ჯალათების გამოჩენამ შეაშინა, მაგრამ ამათ მხოლოდ მოწყალება უნდათ გუბერნატორისაგან. გრო-შებს ითხოვენ მისგან. ჰმ, ღმერთო ჩემო, ეს რაღაა, განა შეიძლება ასე, რა უფლებით ითხოვს ჯალათი ფულს?! (მასაუით გონიერ მოჰყავს აშრაფ-ხანი).
აშრაფ-ხანი	(თვალს გაახელს და თითით ანიშნებს): ჯალათები გამოვიდნენ ამ ეზოში?
ქერიმ-აღა:	ბიძავ-ბატონო, ეს რა ჩიტის გული გქონიათ! იმ მამასულძალლებმა ალბათ გაიგეს გუშინ, რომ ფარეშებს ფული აჩუქეთ და იფიქრეს, ეგებ ჩვენც გამოვრჩეთ რამეს ჩამოსულ გუბერნატორსო. წამოდე-ქით, გეთაყვა, წამოდექით. რისი გეშინიათ, ჯალათს თქვენთან რა ხელი აქვს, ცუდი რა ჩაგიდენიათ!
აშრაფ-ხანი	(ხმადაბლა): ოხ, ის გველები, ოხ, ის სიზმარი!

(ქერიმ-აღა წამოაყენებს აშრაფ-ხანს და შეიყვანს თავის სალონში. შემდეგ ჯალათებს მის-ცემს ათ თუმანს და გაისტუმრებს. მაგრამ ახლა გუბერნატორს გამოეცხადება ორი ახმახი, ვერცხლისფერი ჯოხებით ხელში, რომლებიც ჯიქურ წარუდგებიან).

	პირველი მეკარე: სალამ-ალაიქ, უფროსო, როგორ, მეკარე ჯალათზე წაკლებია? ეს რა წესები გქონიათ, ჩვენ ცოტას გემსახურებით? როგორ გგონიათ, მისი უდიდებულესობისა და მისი აღმატებულების კარს აღარ მიადგებით, კარებში გავლა აღარ დაგჭირდებათ?
აშრაფ-ხანი:	მე საცოდავმა აღარ ვიცი, ვის რა ვუთხრა, ვინ დავაკმაყოფილო. ბოლოს და ბოლოს, მე ხომ ბანკი არა მაქვს. ორიოდე გროში მქონდა თან ჩამოყოლილი და ვინ როგორ არ გამომძალა. გამითავდა, აღარა-ფერი მაბადია, ინამეთ ღმერთი! მე რომ თქვენი მოვალე ვიყო, წარმომიდგენია, რა დღეს დამაყრიდით.
მეორე მეკარე:	რაც არ უნდა თქვა, უფროსო, ჩვენ აქედან წამსვლელი არა ვართ. ათასი კაცი ჭამს თქვენს ქონებას და ჩვენც ერთი იმათგანი ვართ.
აშრაფ-ხანი	(თავისთვის): ღმერთმა დააქციოს თქვენი ოჯახი! ეს დიდი კაცია და საშიშია, ის პატარა კაცია და ცოდვაა, ეს ჯალათია, ის მეკარეა.

<sup>1</sup> შაჳ-აბდ-ოლ-აზიმი – თეირანის გარეუბანი, სადაც მუსულმანთა დიდი სალოცავი მეჩეთია.

აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე. (ხმამაღლა): აბა, გასწით! (გასძახებს): მიეცით ამათ ხუთი თუმანი!

(მეკარეები გადიან. აშრაფ-ხანს სადილს მიართმევენ, მაგრამ სწორედ ამ დროს შემოდის 30-40 კაცი – ხელში ჯოხებით, თავზე უცნაური ქუდებით, ფეხზე აცვიათ მატერიით ძირგამო-კერებული ფეხსაცმელები და ყველა ერთად წარმოქვამს):

- უცნობნი: ლმერთი იყოს ხანის მფარველი ყოველგვარი სიავისაგან. თქვენმა მოწყალებამ, ბატონო, დე, მიაღწიოს ქუჩის დარაჯებამდე. ჩვენ ყვე-ლაზე პატარა ხალხი ვართ, დღე და ღამე გემსახურებით, დილიდან საღამომდე ქუჩის მტვერს ვყლაპავთ და ასე ვწვალობთ.
- აშრაფ-ხანი (ქერიმ-აღას): მამის სულს გაფიცებ, მითხარი, ესენი ვინდა არიან? (სადილს მიატოვებს, დგება და მიდის მეზობელი ოთახისაკენ) ქერიმ-აღა, აღარ შემიძლია, აივსო მოთმინების ფიალა, ლმერთს გეფიცები, რომ ასეთ ყოფას მირჩევნია, სულაც უარი ვთქვა გუბერნატორობაზე. ხვალვე მივდივარ აქედან, რაც იქნება, დე, იყოს! ეშმაკსაც წაულია მაგათი თავი, ანგარიშზე რამდენიც არ უნდა დამაწერონ დანაკლისი, გადავიხდი, ოლონდ თავი დავალნიო აქაურობას. ლმერთო ჩემო, ეს რა ქვეყანაა, ეს რა ქვეყანაა!!!

(გადის, ხოლო ქერიმ-აღა, აშრაფ-ხანის დაუკითხავად, ქუჩის დამგველებს აძლევს სამ თუმანს და ყველანი გადიან).

### ფარდა ეშვება

### მესამე მოქმედება

(მირზა ტარარ-ხანმა განიხილა აშრაფ-ხანის მიერ წარმოდგენილი ანგარიში და 32 ათასი თუმანი დანაკლისად დააწერა. ამის შემდეგ წარუდგინა პრემიერ-მინისტრს და მოახსენა)

- მირზა ტარარ-ხანი: აშრაფ-ხანს წარმოდგენილ ანგარიშში ზედმეტობა აქვს ორი ათასი მანეთის რაოდენობით. მაგრამ მე, თქვენდამი კეთილი სურვი-ლებით განწყობილმა, შეგნებულად ავრიე ანგარიში და მას დავალია-ნებად დავაწერე 32 ათასი თუმანი, რათა კიდევ უფრო მეტად ემსა-ხუროს თქვენს აღმატებულებას.

პრემიერ-მინისტრი: შენი სიკეთე და კეთილგანწყობილება ცნობილია. ნეტავ ჩვენს შაჰს შენისთანა ერთგული ოთხი მსახური მაინც ჰყავდეს. (გასძახებს): ბიჭებო, ფარეში მოვიდეს!

ფარეში (შემოდის): ბრძანეთ!

პრემიერ-მინისტრი: გასწი ახლავე და სასწრაფოდ მომგვარე არაბისტანის გუბერნა-ტორი აშრაფ-ხანი.

ფარეში (თავისთვის): კარგია, რომ ეს მე დამავალა. ცოტაოდენი ხეირი ჩემ წი-ლადაც იქნება. (გარბის, წარუდგება აშრაფ-ხანს და აუწყებს): უფროსო,

	პრემიერ-მინისტრი გიბარებთ.
აშრაფ-ხანი:	რა მოხდა, ხომ არ გაგიგია, რისთვის მიხმობს?
ფარეში:	აბა, მე რა ვიცი, რომ მეკითხები, მისი აღმატებულების გულში ვიჯე-ქი?
აშრაფ-ხანი	(ლელავს): შენ კარგი კაცი ხარ. ამას წინათ რომ ვიყავი თეირანში, მა-შინ გაგიცანი... ჰო, ინშალაჲ! <sup>5</sup> ბოლოს და ბოლოს... ჰო, აბა, ვნახოთ, ვინ იქნება პრემიერ-მინისტრთან და რა ამბავი დამხვდება იქ.
ფარეში	(ფრიად თავაზიანად): მირზა ტარარ-ხანისა და პრემიერ-მინისტრის გარდა კაბინეტში არავინ გახლავთ.
აშრაფ-ხანი	(თავისთვის): ნახე, ეს მამასულძალლი ახლა როგორ დარბილდა. (ხმა-მაღლა): აპა, გასაგებია, უეჭველად ანგარიშის ამბავია. (მიდის მსახურ-თან ერთად).
ფარეში	(გზაზე): დიდებულო ხანო, თქვენთან რომ წამოვედი, სწორედ მაშინ შეჰქონდათ სადილი პრემიერ-მინისტრთან და ამიტომაც თქვენი მი-ზეზით დავრჩი უსადილო. ახლა უკვე გვიანაა და ჩემთვის იქ აღარ-ფერი იქნება. დღეს რომ მშიერი არ დავრჩე, კეთილინებეთ და თქვენ მომეცით სადილის ფული.
აშრაფ-ხანი	(ჯიბისკენ წაიღებს ხელს და ფარეშს მისცემს ერთ თუმანს): აპა, ეს შენ სადილად (შედის პრემიერ-მინისტრის კაბინეტში. პრემიერი სახის მკაფიო გამომეტყველებით ნელ-ნელა ფურცლავს ანგარიშის დავთრებს, აშრაფ-ხანი კი სულგანაბულიუძრავად დგას მის წინაშე აშოტილი).
მირზა ტარარ-ხანი:	აშრაფ-ხანი გეახლათ.
პრემიერ-მინისტრი (თავს ასწევს):	დაჯექი, აშრაფ-ხან! მოიწი ახლოს, ჩახედე ამ ციფრებს, არ ვიცი პირდაპირ, ადამიანებისადმი ჩემი უსაზღვრო გუ-ლითადობის გამო, როდემდე უნდა ვაზარალო სახელმწიფო.
აშრაფ-ხანი	(ლამის ჭკუაზე შეიშალოს, როგორც კი თვალს მოჰკრავს, რომ 32 ათასი თუმანი მას დანაკლისად აწერია): კი, მაგრამ... ვერ გამიგია, როგორ მოხდა ასე? ჩემი ღრმა რწმენით, მე გადაჭარბებაც კი უნდა მქონ-დეს, არათუ – დანაკლისი?
პრემიერ-მინისტრი:	რა შუაშია „ვერ გამიგია?“ ჩვენს საუკუნეში მირზა ტარარ-ხანს საანგარიშო საქმეში ტოლი არა ჰყავს. ესეც არ იყოს, ისე ძალიან უყვარხართ და... სინამდვილეს რომ არ შეეფერებოდეს, აქ ისეთს არაფერს წერს. ანგარიში საკმაოდ ნათელია. შეუძლებელია, რომ მასში მომატებული იყოს რამე ან დაკლებული.
აშრაფ-ხანი	(მთლად აკანკალებული ძლივს წამოდგება, მიუახლოვდება პრემიერ-მი-ნისტრს და უურში ჩასჩურჩულებს): თქვენო აღმატებულებავ, ღმერთის შემდეგ თქვენა ხართ ჩემი პირველი მფარველი, სხვისი არავის იმედი არა მაქვს. შემიბრალეთ, ღვთის გულისათვის. არ ძალის მე, უბე-დურს, 32 ათასი თუმნის გადახდა. აქედან ვერსად წავალ, თქვენი მსახური, თქვენი მონა-მორჩილი ვარ.
პრემიერ-მინისტრი:	ჩემი აზრით, ანგარიშის შემოწმებაში არავითარი შეცდომა არაა დაშვებული, მაგრამ მაინც წადით ახლა შენ და მირზა ტარარ-ხანი,

<sup>5</sup> ინშალაჲ – ღმერთმა ქნას!

გამოძებნეთ ერთმანეთში საერთო ენა, მეც მოველაპარაკები... (შემ-დეგ მიუბრუნდება მირზა ტარარ-ხანს): ადექი და გაჰყევი აშრაფ-ხანს. აუხ-სენი, რაშია ანგარიშის საქმე. ვიდრე მე შაჰისგან გამოვბრუნდებო-დე, ჩაასწორეთ იგი და კვლავ წარმომიდგინე.

(აშრაფ-ხანი და მირზა ტარარ-ხანი ერთად მიდიან ამ უკანასკნელის ბინაზე)

აშრაფ-ხანი: ჩემო ძვირფასო, ეს რანაირად მოხდა, მე ზედმეტობაც კი მაქვს ან-გარიში, არათუ დანაკლისი?

მირზა ტარარ-ხანი: დანაკლისი? ეს როგორ მოხდა? თქვენს ანგარიში არ არის იგი? აჰა...ა.ა...!

აშრაფ-ხანი (სახტად დარჩენილი, საცოდავად): ძვირფასო ხანო, ანგარიშის საქმე თქვენ გეკითხებათ, მე კი ამიერიდან აღარა ვიცი რა, გარდა თქვენი წყალობისა. როგორც მირჩევთ, ისე მოვიქცევი, მე თქვენი მსახური ვარ და ჩემი ანგარიშიც ეს არის.

მირზა ტარარ-ხანი: ბატონოჩემო, თქვენ და სხვა თქვენისთანებს, ვიდრე საკუთარ საბრძანებელ ვილაიეთებში სხედხართ, აღარავინ გაგონდებათ და ივიწყებთ, რომ ყველას მოგელით ეს დღე. გახსოვთ, შარშან სამჯერ მოგწერეთ, ორი შუშტარული ხალიჩა მინდოდა. არ იქნა და არა, თქვენგან პასუხსაც ვერ ველირსე. ახლა კიდევ თქვენგან ეს წყალო-ბა: ეჭვიც კი შეგაქვთ ჩემს პატიოსნებაში, ინშალაპ, თქვენ მართალი იყოთ.

აშრაფ-ხანი: აღარ ვიცი, როგორ მოვიხადო თქვენ წინაშე ბოდიში. თუ არ მოვ-კვდი, იცოდეთ, ვალში არ დაგრჩებით, ოღონდ ახლა მიშველეთ. მიბ-რძანეთ, როგორ მოვიქცე?

მირზა ტარარ-ხანი: მოკლედ, ყოველგვარი ზედმეტი ლაპარაკის გარეშე, ორი ათასი ბაჯალლო ამაღლამვე გაუგზავნეთ პრემიერ-მინისტრს. ეს – ერთი, მე-ორე – სოფელ აშრაფაბადში რომ მამული გაქვთ, ხომ გახსოვთ, ამას წინათ რომ გელაპარაკეთ, ამიერიდან მე ვიქნები მისი მომვლელი. ხოლო, როდესაც გუბერნატორობიდან გადაგაყენებენ, მაშინ ისევ თქვენი იყოს.

აშრაფ-ხანი: ეს რა სალაპარაკოა, ჩემო ძვირფასო, აშრაფაბადი თქვენი ფეშქაში იყოს. ნასყიდობის სიგელსაც მოგართმევთ მასზე. მხოლოდ... ორი ათასი პრემიერისათვის მეტისმეტია, ამაში კი უნდა მომცეთ შეღავა-თი.

მირზა ტარარ-ხანი: მოგეხსენებათ, რომ პრემიერ-მინისტრს თავისთვის წყალსადენი გამოჰყავს და ფული ძალიან სჭირდება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, თქვენთვის ორი ათასს ათას ხუთასამდე დავიყვან. მეტის დაკლება აღარ შეიძლება. ახლა კი გასწი და ფული დაყაჭე.

აშრაფ-ხანი: კეთილი, ჩემო ძვირფასო, ათას ხუთას თუმანს ნასყიდობის სიგელ-თან ერთად გამოგიგზავნით, მხოლოდ იმ პირობით, თუ მომცემთ სა-ბუთს, ხელმონერილსა და ბეჭედდასმულს, რომ ჩემი ვილაიეთის ან-გარიში საბოლოოდ მიღებულია და საქმე დამთავრებულია.

მირზა ტარარ-ხანი: წადი და მშვიდად იყავი. ვიდრე მირზა ტარარ-ხანის კალამი მუ-შაობს, შიში ნურაფრის გექნება.

აშრაფ-ხანი: მაშ, მივდივარ და იცოდეთ, თქვენს ადამიანობაზე იყოს!

მირზა ტარარ-ხანი: წადი და მშვიდად იყავი! პატიოსნებას გეფიცები, არ მოგატყუებ.

აშრაფ-ხანი (აღელვებული გამოდის ტარარ-ხანისაგან და გზაში თავისთვის ლაპარაკობს): ღმერთო ჩემო, ნეტავ რა შეგცოდე, რომ ასე მტანჯავენ. გუბერნატორობის სურვილი რომ არ მძლევდეს, ურიგო არ იქნებოდა, მათთვის მისაცემი ფულიც მე შემეტამა? (შედის თავის სახლში). ეჲ, ქერიმ-ალა, წვერებს ულვაშებიც თან გავაყოლე; აშრაფაბადი ხელიდან წამივიდა, იმ უდმერთომ, იმ ნამუსგარეცხილმა ასე განუსჯელად ოცდათორმეტი ათასი თუმანიც დანაკლისად დამაწერა და ახლა რომ ამ საქმეს ეშველოს, ათას ხუთასი ბაჯალლო პრემიერ-მინისტრს უნდა მივართვა და მხოლოდ ამის შემდეგ მივიღებ ანგარიშის ჩაბარების ბეჭედდასმულ ქაღალდს. შემდეგ კიდევ ვინ იცის, რამდენი უბედურება გადამხდება თავს მე, ბედშავს, ვიდრე გუბერნატორად დანიშვნის ხალათს მივიღებდე.

ქერიმ-ალა: ჰაი-ჸაი, ბიძაჩემო, ტყუილად არ უთქვამთ: „ნუ შეხვალ, ნუ ებანები, ნუ გამოხვალ და ნუ თრთიო!“

აშრაფ-ხანი: ახლავე ადექი, ნუ დააყოვნებ, წაულე მირზა ტარარ-ხანს ნასყიდობის სიგელი და ფული, პირადად ჩაბარე და ჩემგან უთხარი – შენ იცოდე და შენმა კაცობამ-თქმ.

(ქერიმ-ალას მიაქვს ფული და სიგელი, გადასცემს ტარარ-ხანს და ეტყვის დანაბარებ სიტყვებსაც. მირზა ტარარ-ხანს იმავე ლამით მიაქვს ფული პრემიერ-მინისტრთან. ეს უკანასკნელიც დაუსვამს ბეჭედს ანგარიშის ჩაბარების ქაღალდს და უბრძანებს ტარარ-ხანს, მისცენ აშრაფ-ხანს გუბერნატორად დანიშვნის ხალათი და დაუყოვნებლივ გაემგზავროს იგი თეირანიდან).

სამი დღე ელოდა აშრაფ-ხანი ქაღალდს. მოთმინება რომ დაელია,  
დაწერა ბარათი მირზა ტარარ-ხანთან

აშრაფ-ხანი: ბიჭებო, შემოვიდეს ჩემთან რომელიმე ფარეში. წერილი წაულოს მირზა ტარარ-ხანს. თუ კარგ პასუხს მომიტანს, ჩემგან საჩუქარს მიიღებს.

ფარეში (შემოდის): ბატონი ბრძანდებით! (ამ ბარათს მიიტანს დანიშნულ ადგილს, მაგრამ მირზა ტარარ-ხანს არ ეცალა, იგი ამ დროს ენდერუნშია<sup>6</sup>). ძმობილო (მიმართავს ლაქიას, რომელიც იქ ხვდება), მიართვი ეს წერილი შენს აღას და პასუხი გამომიტანე.

ლაქია: სად მცალია, ბაბა, შენთვის, მე ჩემი ათასი საქმე მაქვს. დაელოდე და, როდესაც გამობრძანდება, თვითონ გადაეცი.

ფარეში: მოდი ჩემთან (რამდენიმე გროშს ჩაუდებს ხელში), ახლა კი გასწი და გამომიტანე პასუხი.

ლაქია (შეხტება სიხარულისაგან): მოითმინე და ახლავე, მაგაზე როგორ განყენინებ?

(მიართმევს წერილს ტარარ-ხანს, რომელიც არ დააყოვნებს უპასუხოს: თქვენი საბუთები

<sup>6</sup> ენდერუნი – ქალთათვის განკუთვნილი სახლის ნაწილი, სადაც ცოლები ცხოვრობენ.

მირზა-რაჰიმს აქვს. მე მას დავავალე, პირადად მოერთმია ისინი თქვენთვისო, – აუწყებს იგი აშრაფ-ხანს).

მირზა აბდურ-რაჰიმი: (შემოდის აშრაფ-ხანთან და მოწინებით მიართმევს ვილაიეთის ან-გარიშის მიღების საბუთს, რომელიც წიგნაკის ფორმისაა) ბატონოჩემო, იმედი მაქვს, გაიღებთ წყალობას ერთგულ მსახურზე. თქვენს ძვირფას თავს გეფიცებით, დღეს მერვე დღე გავათენე, რაც თქვენს საბუთებს ვუზივარ. ჩემი თვალები მეტს ვერც ვერაფერს ხედავენ ახლა.

აშრაფ-ხანი: რა თქმა უნდა, ყოველი შრომა ჯეროვნად უნდა დაფასდეს.

მირზა აბდურ-რაჰიმი: მართალს ბრძანებთ. ამიტომაც გთხოვთ იცოდეთ, რომ ჩემ მიერ გაწეულ შრომაში მე ვითხოვ ოთხმოცთუმნიან სახალათე შალის ნაჭერს.

აშრაფ-ხანი: ძვირფასო მირზა, თქვენ ხომ იცით, ამ ჩამოსვლაზე როგორ დავიხსარჯე. აი, ახლა მიიღეთ თხუთმეტი იმპერიალი<sup>7</sup>, ინშალაჲ, კიდევ მექნება თქვენთან საქმე აქედან ჩემი გამგზავრებისას.

მირზა აბდურ-რაჰიმი: არა, არ არის საჭირო. მე, თქვენს მონას, სხვა არაფერი მსურს, გარდა თქვენი ჯანმრთელობისა. აიღეთ ეგ ფული, მიიღეთ სანუკვარი წიგნაკი და კარგად იყავით (და გასწევს კარებისაკენ).

აშრაფ-ხანი: ძვირფასო აღა, გთხოვთ მობრუნდეთ, რატომ ჯავრობთ, მე თქვენი წყენა არ მინდა. აი, ინებეთ კიდევ ხუთი იმპერიალი.

ფარდა ეშვება

### მეოთხე მოქმედება

აშრაფ-ხანი ოდნავ დამშვიდებულია. მას უკვე ხელთ აქვს ანგარიშის დამტკიცების ქაღალდი. მასთან შემოდის მირზა ტარარ-ხანი, ფრიად გახარებული და კმაყოფილი

მირზა ტარარ-ხანი: სასიხარულო ამბავი უნდა გახაროთ, აშრაფ-ხან. წუხელ მისი აღმატებულება შაჰთან გახლდათ, ძალიან უქიხართ და მის უდიდებულესობასაც კმაყოფილებით უბრძანებია, გიბოძონ ხალათი და მომავალ კვირას გაემგზავროთ.

აშრაფ-ხანი (თავისთვის): საქმეს კვლავ აჭიანურებენ, ეტყობა, კიდევ უნდა მძარცვონ. (ხმამაღლა): დიახ, ჩემთვის დიდი ხანია, ცნობილია პრემიერ-მინისტრისა და თქვენი კეთილი დამოკიდებულება ჩემ მიმართ, მაგრამ მე მაინც მინდა, რაც შეიძლება მალე გავეცალო აქაურობას.

მირზა ტარარ-ხანი: რაკი ჩქარობთ, ნუ დაყოვნებთ, გაგზავნეთ კაცი თქვენი გუბერნატორად დანიშვნის ფირმანის მოსატანად, ხოლო მანამდე მოამზადეთ საჩუქრები შაჰისა და პრემიერ-მინისტრისათვის. გაითვალისწინეთ, რომ ფირმანისთვისაც საჭიროა დაწესებული თანხის გადახდა.

<sup>7</sup> იმპერიალი – ასე ენოდებოდა მაშინ რუსულ ჩერვონეცს.

- აშრაფ-ხანი (თავისთვის): დაგექცეთ ოჯახი, ეს დაწესებული თანხა რაღა უბედურებაა. (ხმამაღლა): ამ ჩამოსვლაზე ძალიან გავწვალდი, დავიტანჯე, დავიქანცე. ახლა სიკეთე მიყავით, ცოტა სული მომათქმევინეთ, ფირმანის ფული და სხვა ხარჯები თქვენ გაისტუმრეთ, მე კი შემდეგ ყველაფერს ერთად გადაგიხდით.
- მირზა ტარარ-ხანი: არა, ასე არ შეიძლება. პირველ რიგში მისაცემი თქვენ ახლავე უნდა გადაიხადოთ, ხოლო სხვა ხარჯები შემდეგ გაისტუმრეთ. ანგარიშს მე შეგიდგენთ.
- აშრაფ-ხანი: მაში, ბრძანეთ, როგორია პირველი რიგის ხარჯები?
- მირზა ტარარ-ხანი: ექვსი ათასი თუმანი ხაზინას, სამი ათასი თუმანიც პრემიერ-მინისტრს, რომელიც ამჯერად თქვენ ასე ყურადღებითა და ასე გულ-თბილად მოგეპყროთ, ხოლო რაც შემეხება მე, ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია, მამის სულს გეფიცებით, თავს მირჩევნიხართ, განა ვინ გავყო ჩვენ ერთმანეთისაგან.
- აშრაფ-ხანი (თავისთვის): შენ კი ჩაძალლდი, შენა! შენ დამატეხე თავზე ამდენი უბედურება. (ხმამაღლა): კეთილი, სხვა რა გზა მაქვს, ყველაფერს, რაც ბრძანეთ, ამაღამვე დავგზავნი, მაგრამ ფირმანი?
- მირზა ტარარ-ხანი: ფირმანიო? ეგ არაფერია. მე თვითონ მივცემ ორმოცდაათ თუმანს, რომ კარგ ქალალზე დაწერონ, 100 თუმანი დაწერის ხარჯი იქნება; მოგეხსენებათ, ფირმანი ლამაზად და მოხდენილი ენით უნდა დაინეროს. 200 თუმანიც ბეჭდის მცველს უნდა მისცეთ. გამზადებულ ფირმანს კი მე თვითონ მოგეტანთ, როცა ჩემისთანა მეგობარი თავს დაგტრიალებთ, აბა, რა გაქვთ სანერვიულო, ხომ ხედავთ, მთლად თქვენს საქმეზე ვარ გადამდგარი.
- აშრაფ-ხანი (თავისთვის): აბა, ამას უყურე, რაებს როშავს. შენ კი დაგექცეს ოჯახი, შე მამასულძაღლო, შე უნამუსო, შენა! 200 თუმანი, 100 თუმანი, 50 თუმანი. ისე ისვრის, თითქოს ფული კი არა, კაკალი იყოს. რას ვიზამ, თქვენს ხელში ვართ, სადავეს, საითკენაც გსურთ, იქით გასწევთ.
- მირზა ტარარ-ხანი (გადაეხვევა აშრაფ-ხანს): შენმა სიცოცხლემ, ამ ჩამოსვლაზე ისე ერთგულად გემსახურე, ისე შეგეჩვიე და ისე შემიყვარდი, რომ აღარ ვიცი, უშენოდ როგორდა გავძლებ.
- აშრაფ-ხანი (თავისთვის): მჯერა, როგორ არა, შენ კი ჩაძალლდი! შენ ოქროების ჩხრიალზე ხარ შეყვარებული და არა ჩემზე. (ხმამაღლა): მაგაზე ნუ იდარდებთ, თუ ცოცხალი ვიქენი, კვლავ თქვენთან ჩამოვალ.
- ამ დროს შემოდის ფარეში და აშრაფ-ხანს მოახსენებს:
- ფარეში: ბისმილაჰ! ინებეთ, ხანო, შაჰის ნაბოძარი ხალათის მიღება.
- აშრაფ-ხანი გადის შუა ეზოში, ჩამოართმევს მომტანს ხალათს, ეამბორება მას და უნდა ჩაიცვას.
- მირზა ტარარ-ხანი: ინშალაჰ! მომილოცავს, ახლავე ჩაიცვით, ეს რა ბედნიერი წუთებია!
- აშრაფ-ხანი (იცვამს ხალათს, მაგრამ ტანზე არ ერგება, თავისთვის): ეს რა ხალათია, კალთები მუხლებს ზემოთ რჩება, მხრებში ასე ვიწროა, სახელოე-

ბიც... არ ვიცი, როგორ ვთქვა, ვეზირის ჭკუაზე უფრო მოკლეა. ჩემს სიმაღლეს ასეთი ხალათი შეეფერება? (ხმამაღლა): ბატონებო, ეს ხალათი არ არის შაპის ზანდუკიდან, იგი თაზიეს<sup>8</sup> მოხეტიალე მსახიობს მოჰპარეს უთუოდ. ვის უნახავს ასეთი ხალათი?

მირზა ტარარ-ხანი: რას ბრძანებ, აბა, როგორ გეკადრებათ, მასხრობთ? თქვენმა სიცოცხლემ, გუშინ მე თვითონ დავუსვი ჩეკეს ბეჭედი, ოთხმოცი თუ-მანია ამის ფასი.

აშრაფ-ხანი: ბოლოს და ბოლოს, კმარა. ეს ხალათი მე არ მსურს, ასეთ ხალათს, ნიფხვის ზონარი მოგეცათ, სჯობდა.

მირზა ტარარ-ხანი: კარგით, რა მოხდა ისეთი, რომ სალაპარაკოდ გახადეთ საქმე, ახლავე წავალ, გარდერობში ორ სიტყვას მივწერ და გამოგიცვლიან. თქვენ მხოლოდ მეგარდერობეს აჩუქეთ შემდეგ რამდენიმე გროში. მშვიდობით ბრძანდებოდეთ! (გადის).

აშრაფ-ხანი (მიაყოლებს): დიდად ზრუნავთ ჩემთვის! (მიუბრუნდება ქერიმ-ალას): ხომ ნახე, რა ოსტატურად ჯამბაზობენ ჩვენს სამინისტროში. ერთნი მათხოვრობენ, მეორენი ფეხქაშს ითხოვენ, მზაკვრობენ, ცბიერობენ და ბოლოს თვალებში ნაცარსაც გაყრიან. აბა, ეს ხალათი საქმეა? ეს მამასულძალლი, ტარარ-ხანი, ერთგულებას რომ მეფიცება, როგორ ზრუნავს თავისთვის. რა ვქნა, რა ვუყო, სად წავიდე?

ქერიმ-ალა: გაემგზავრეთ არაბისტანში და კვლავაც იგუბერნატორეთ.

აშრაფ-ხანი: მასხრობ, ქერიმ-ალა?

ქერიმ-ალა: სრულებითაც არა! ეს ყველაფერი, რაც აქ ვნახეთ და განვიცადეთ, გაკვეთილია ჩვენთვის. ასე გვასწავლიან. ამიტომ ხვალ, როდესაც ჩავალთ ვიღაიეთში, ჩვენც ასე მოვექცევით ქვეშვრდომებს, როგორც აქ გვექცევიან. რამ შეგაშინათ?

(ამ დროს შემოდის ვიღაც უცნობი და მიმართავს აშრაფ-ხანს)

უცნობი: დიდებულო ხანო, აბა, გაიღე სამახარობლო, პრემიერ-მინისტრს ვა-ჟიშვილი შეეძინა.

აშრაფ-ხანი: ღმერთო, მიშველე, პრემიერ-მინისტრის ცოლმა ვაჟი დაბადა, მე რა შუაში ვარ. მუსულმანებო, ფულის გარდა ამქვეყნად ალარაფერი არ-სებობს? ვაი, ეს რა უბედურებაა!

უცნობი: ნუთუ არ იცით, დიდებულო ხანო, რომ ირანის წარჩინებულებმა ათასობით თუმნები გასცეს ამ სასიხარულო ამბის გამო. ასეთი წესია ჩვენს ვიღაიეთში.

აშრაფ-ხანი: ჭირმაც წაიღოს ეს თქვენი ვიღაიეთი (თუმნიანს ამოიღებს და გადაუგდებს).

უცნობი: სახლიდან აქ მოსვლამდე იმდენი ვირბინე, რომ კინალამ სული გამძრა და ერთი თუმნის მეტს არ იძლევი?

<sup>8</sup> თაზიე – რელიგიური წარმოდგენა, იგივე მისტერია, რომელსაც მუსულმანები (შიიტები) მართავენ ირანში წლის გარკვეულ დროს თავისი წმინდანების მოწამებრივი სიკვდილის მოსაგონებლად.

- აშრაფ-ხანი: ნეტავ ღმერთს ექნა და სულაც ჩაძალლებულიყავ, გასწი, დამეხსენ! ლამის ჭკუაზე შევიშალო.
- უცნობი: დიდებულო ხანო, ღმერთს გეფიცები, რომ ჩემს ამხანაგს ელჩმა ამ სამახა- რობლოში ხუთი თუმანი აჩუქა, შენ სამი მაინც გაიმეტე...  
(ამ დროს შემოდის მირზა ტარარ-ხანი ფირმანითა და ხალათით ხელში).
- მირზა ტარარ-ხანი: აშრაფ-ხან, აი, ფირმანი და აი, ხალათი. შაპშა ბრძანა, ზეგ უეჭ- ველად გაემგზავრო აქედან.
- აშრაფ-ხანი: მე აქ არავითარი საქმე ალარ მაქვს, შემიძლია, ხვალვე გავემგზავრო.
- მირზა ტარარ-ხენი: თქვენი ნებაა, მაგრამ ჯერ საჩუქრების საქმე მოაგვარეთ. მიე- ცით ყველას, ვის რა ეკუთვნის და შემდეგ გაემგზავრეთ.
- აშრაფ-ხანი: ეშმაკმაც წაილოს ეგ თქვენი საჩუქრები. როდისლა მოელება ბოლო ამ სისაძაგლეს?
- მირზა ტარარ-ხანი: რად იშლით ნერვებს, დიდად პატივცემულო ხანო, ჩაბრძანდე- ბით არაბისტანში და, რაც აქ გაგიციათ, ათ იმდენს იქ აიღებთ, ხომ ასეა? სხვა რაღა გნებავთ?
- აშრაფ-ხანი: ალარც კი მესმის, რას ვლაპარაკობ, ბატონოჩემო, მგონი, დავილალე, მიყავით სიკეთე და დამეხმარეთ. გამარკვიეთ, ვის რამდენი ეკუთ- ვნის კიდევ.
- მირზა ტარარ-ხანი: ეს არაა ძნელი საქმე. აბა, მოიმარჯვეთ კალამი და დაწერეთ, რაც გითხრათ!

(აშრაფ-ხანი იღებს კალამს, მირზა ტარარ-ხანი კარნახობს):

პრემიერ-მინისტრის კამერდინერებს	5 თუმანი
კარის ფარეშებს	25 თუმანი
ფარეშებს	15 თუმანი
მნეს	10 თუმანი
მეჯინიბეებს	10 თუმანი
მემე-ხანუმის ქმარს	10 თუმანი
ყავის მომდულებლებს	5 თუმანი
მირზა აბდურ-რაჰიმს	40 თუმანი
ჩემს ხალხს	30 თუმანი
დერვიშ-ალას	5 თუმანი
ინსტრუქციების მომზადებისათვის	5 თუმანი
ფირმანის მოვარაყებისათვის	5 თუმანი
კანცელარიის უფროსს	5 თუმანი
მეკარეებს	5 თუმანი
გარდერობის ფარეშებს	5 თუმანი

- აშრაფ-ხანი (ირონიულად): მუსიკოსები დაგავიწყდათ?
- მირზა ტარარ-ხანი: აი, რა კარგი ქენით, რომ გამახსენეთ, თორემ ხვალ დამახრჩობ- დნენ. მათაც უნდა ერგოთ მართლაც თქვენგან რამე.
- აშრაფ-ხანი: მაშ, ეგ სია თქვენთან დარჩეს, ხვალ იქნებ კიდევ გაგახსენდეთ ვინ- მე.

მირზა ტარარ-ხანი: მაგვიანდება, უნდა წავიდე, პრემიერ-მინისტრთან საქმე მაქვს.  
აშრაფ-ხანი (თავისთვის): აბა, შენ იცი! (ხმამაღლა): დიდად პატივნაცემი ვარ  
თქვენგან, უეჭველად გეახლებით გამოსამშვიდობებლად.

(მირზა ტარარ-ხანი გადის. აშრაფ-ხანმა ქალაქიდან გაქცევა განიზრახა. შემოდის უბნის  
რწმუნებულის თანაშემწე)

- რწმუნებულის თანაშემწე: სალამ-ალაიქ, უფროსო!
- აშრაფ-ხანი: ალაიქ-ას-სალამ, მაგრამ ვერ გცნობ, ვინა ხარ?
- რწმუნებულის თანაშემწე: მე, თქვენი მონა-მორჩილი, უბნის რწმუნებულის აღა-  
მირზა-ჰასანის თანაშემწე გახლავარ. მან გამომგზავნა, რათა ჯერ  
მოგილოცოთ.
- აშრაფ-ხანი (თავისთვის): ეს კიდევ რაღაც ამბავია, ჩანს, ახალ-ახალი ხილი მე აქ  
არ მომაკლდება.
- რწმუნებულის თანაშემწე: შემდეგ კი ერთი თხოვნა აქვს მას თქვენთან, მხოლოდ  
ჩვენ შორის უნდა დარჩეს.
- აშრაფ-ხანი (თავისთვის): ღმერთო ჩემო, ეს რაღა თამაშია? (ხმამაღლა): ბრძანეთ,  
რა გნებავთ?
- რწმუნებულის თანაშემწე (კიდევ უფრო უახლოვდება): მადლობა ღმერთს, უფროსო,  
ჩვენს უბანში რა ხანია, ცხოვრობთ, თავს კარგად გრძნობთ; კვლა-  
ვაც დაგნიშნეს გუბერნატორად და დროსაც მხიარულად ატარებთ.  
ჩვენც, როგორც შეგვიძლია, გემსახურებით, რათა მშვიდად ბრძან-  
დებოდეთ.
- აშრაფ-ხანი: თქვენს თავაზიანობას მე ყოველთვის ვგრძნობდი, მაგრამ ის კი ვერ  
გამიგია, რაში გამოიხატება ჩემ მიმართ თქვენი სამსახური?
- რწმუნებულის თანაშემწე: რაში გამოიხატება? ჰო... მადლობა ღმერთს, რომ მხია-  
რულმა ღამეებმა მშვიდად ჩაიარა და არ გამუღავნებულა, ჩვენ გა-  
თენებამდე ვდარაჯობდით ხოლმე თქვენს სახლს, რომ არაფერი  
მომხდარიყო.
- აშრაფ-ხანი (თავისთვის): ვერაფერი გამიგია, ღმერთო ჩემო! (ხმამაღლა): არაფერი  
მესმის, თქვით გარკვევით, რა გნებავთ?
- რწმუნებულის თანაშემწე: აი, ის ქაშანელი საქინე-ხანუმი, იმ ნეტარ ღამეს რომ  
თქვენი სტუმარი იყო, დილით ვეზირის კაცებმა შეიპყრეს და, რომ  
არ გახმაურებულიყო მისი თქვენთან სტუმრობის ამბავი, აღა-მირზა-  
ჰასანმა მათ ათი თავი შაქარი მისცა და გააშვებინა.
- აშრაფ-ხანი: ფრიად უადგილოა თქვენი მოთხოვნა, ნამდვილად მისამართი შეგ-  
შლიათ.
- რწმუნებულის თანაშემწე (სიცილით): არა, ბატონო, ჩვენ არაფერი გვეშლება, სწო-  
რედ თქვენთან ვართ მოსული.
- აშრაფ-ხანი: კი მაგრამ, რა გინდათ?
- რწმუნებულის თანაშემწე: მე არაფერი, მხოლოდ უბნის რწმუნებულსაც უნდა არგუ-  
ნოთ რამე.
- აშრაფ-ხანი: ვის უნდა ვარგუნო, რა უნდა ვარგუნო! გამაგებინეთ, სადა ვარ? ეს  
ქალაქია თუ ყაჩაღების ბუნაგი? ნამდვილად ყაჩაღების ბუნაგია, რამ

შეყარა, ვინ შეყარა ერთად ამდენი მძარცველი და თავდამსხმელი. არ გასვენებს არც ვეზირი, არც ხაზინადარი, არც მეკარე, არც ფარეში, არც მეეზოვე, არც უბნის რწმუნებული, – ყველა წაგლეჯაზეა.

უბნის რწმუნებული (გასვლისას): ხანი დღეს ვერ არის ხასიათზე.

**აშრაფ-ხანი:** ბიჭებო, უთხარით ყურბან-ბეგს, მისცეს მაგ წყეულსაც ორი თუმანი (ეძახის ქერიმ-ალას, ისიც შემოდის). ქერიმ-ალა, ნახეთ, რა მოხდა. უბნის რწმუნებულის თანაშემწე მოვიდა და მეუბნება – თქვენ აქ ლამე-ებს აშალლარობაში ატარებდით, ჩვენ კი გყარაულობდით. ამიტომ ახლა კეთილ ინებეთ, ჯარიმა გადაიხადეთო და ორი თუმანი ამარ-თვა.

**ქერიმ-ალა:** ბიძაჩემო, ეს უკვე მეტისმეტია. რაც შეიძლება, მალე უნდა გაეცა-ლოთ ამ დასაქცევ ქალაქს.

**აშრაფ-ხანი:** შენს თავს ვფიცავარ, რაც აქ ფული დამირიგებია, ისე არ დამნანე-ბია, როგორც პრემიერ-მინისტრის ვაჟიშვილის დაბადების სამახა-რობლოდ რომ გავიღე და ეს ორი თუმანი, ახლა რომ მივეცი. მაგრამ რაღა დროს! ან მართლაც ალარ შეიძლება დაყოვნება. ხვალ დილა-ადრიანად შეჰკარით ბარგი-ბარხანა, შეაკაზმინეთ ცხენები და გავი-დეთ ქალაქიდან, პირდაპირ ქერიმის რაბატისაკენ.<sup>91</sup> ხოლო, თუ ვინ-მემ გკითხოთ, რად აიყარეთო, უთხარით, გადავდივართ იმამზადე-ჰასანის აკლდამის ახლოს, დავრჩებით იქ კიდევ ოთხი დღე და მხო-ლოდ ამის შემდეგ გავემგზავრებით-თქო ვილაიეთში.

(ასეთი ფანდით გაიტანა აშრაფ-ხანმა თავისი ტანჯული სული თეირანიდან).

სპარსულიდან თარგმნა  
კონსტანტინე ფალავამ

<sup>91</sup> რაბატი – აღმოსავლეთის ქვეყნებში შორეულ გზებზე მგზავრთა გასაჩერებელი და ლამის გასათევი ნაგებობა.

တွေ့ကျွဲ့လှမ်း  
လုပ်နည်း



## ომერ სეიფედინი (1884-1920)

ომერ სეიფედინი გონიერი, ჩერქეზი ემიგრანტების ოჯახში დაიბადა. 1892 წელს ოჯახი საცხოვრებლად სტამბოლში გადმოვიდა. ომერმა 1893 წელს აქსარაიში მდებარე ოსმანიეს სკოლა დაამთავრა, მოგვიანებით კი სამხედრო განათლება მიიღო. 1910 წელს ზია გოქალფთან და ალი ჯანიფთან ერთად სალონიკში „გენჩ ქალემლერ“ („ახალგაზრდა კალმეპი“) გამოცემა დაიწყო. 1911 წელს ბალკანეთის ომში იბრძოდა. 1913 წლიდან მასწავლებლად მუშაობდა.

ომერ სეიფედინი თურქული რეალისტური ნოველის ერთ-ერთი ფუძემდებელია. წერდა ლექსებსაც. ზოგიერთი მისი მოთხოვნა თარგმნილია ქართულ ენაზეც.

## შესაჯდომი რამ

დერვიში ჰასანი უცებ შეჩერდა. ჭუჭყიანი, დაფლეთილი სახელოებით შუბლი მოინმინდა. იგნისის ცხელი მზე მოულოდნელად თავსდამტყდარ უბედურებასავით არემარეს წვავდა და ხრაკავდა. დილიდან გამოსული, ოთხი საათი შეუსვენებლივ მოდიოდა. მიმოიხედა. მეჩერი ტყის განაპირას იყო. შორს მომწვანო-მოცისფრო მთები სართულ-სართულ აღმართულიყო. სოფლის ან დასახლების მსგავსი არაფერი მოჩანდა. გზის ზედა მხარეს ჩამწკრივებული ხეებისკენ მიბრუნდა და გაიფიქრა:

- ცოტა ხომ არ დავისვენო, რა ვქნა?

კარგი იქნებოდა, რომ წამოწოლილიყო და ერთი გემრიელად გამოეძინა, მაგრამ შიმშილისგან მუცელი ულანლანებდა. მწყემსების ბინიდან, რომელშიც წუხანდელი ღამე გაათია, იმ იმედით გამოვიდა, რომ რომელიმე სოფლამდე მალე მიაღწევდა. რომელ სოფელამდე? დერვიშმა ეს ნამდვილად არ იცოდა და ამაზე არც არასოდეს დაფიქრებულა. ოცი წელიწადი აბგაგადაკიდებული,

მხრებზე აბამოგდებული<sup>1</sup>, ღმერთსმინდობილი დადიოდა გზებზე, რომლებიც არავინ უწყოდა, საით მიდიოდა. ისეთ სოფლებს სტუმრობდა, სახელიც რომ არ სმენოდა. საჭმელ-სასმელს ყველგან იღებდა. ანატოლიის სოფლებში მისთვის ყველა სახლის კარი ყურთამდე იღებოდა, შედიოდა და კვირაობით, თვეობით რჩებოდა, ზოჯერ კი იქამდე, სანამ არ მოძეზრდებოდა. განა მთებს, ქვებს, მდინარეებს, ტბებს და ტყეებს საკუთარი სახელები აქვთ? მისი აზრით, სოფლებს და ქალაქებს სახელები სულაც არა სჭირდებათ. ყველაფერს დედამინა ჰქვია. როგორც თევზი ცურავს ზღვაში ისე, რომ არავითარ კანონს და დადგენილებას არ ემორჩილება, დერვიში ჰასანიც თავისუფლად დადის ამ ქვეყანაზე. გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი - ესეც ბუნების მითებია. მთავრობა, კანონი, ოჯახი, სარწმუნოება, მორალი, ერთი სიტყვით, ყველაფერი უაზრო და მოგონილი ხუმრობაა. მარტო უვიცები ტყუცდებიან ამ სიზმრებით და მირაჟებით. ჭეშმარიტი მხოლოდ ერთი

<sup>1</sup> თექის ერთგვარი მოსასხამი

რამაა და ეს არის სიყვარული. ის, ვინც სიყვარულს შეიცნობს, ჭეშმარიტების არსს შეიმეცნებს და ყოველივე არსებულის და არარსებულის ნამდვილ აზრს ჩასწოდება.

დერვიში ჰასანი სწორედ ერთ-ერთი მათგანი იყო, ვინც ამ ჭეშმარიტებას ეზიარა. ფართო, გამხდარი მხრები ჰქონდა. გრუზიათმიან თავზე ქულახი<sup>1</sup> ეხურა, თეთრი წევრი, გარუჯული ლო-ყები, ღრმა, დიდრონი, შავი თვალები რაღაც დიდებულ შესახედაობას აძლევ-და. თითქოს ძილში ჩაძირული, თავის-თვის ცხოვრობდა დედამიწაზე, რომელ-ზეც რა ხდებოდა, არ აინტერესებდა. სიყვარული, ღმერთი, ჭეშმარიტება, ბედნიერება და ცხოვრების მიზანიც მის სულში იყო. სიყვარულის გარდა, ყველა-ფერი მის გარშემო ღრუბლის უსახურ გროვას ჰგავდა.

— ვაიმე, მუხლები! — აღმოხდა უცებ.

შიმშილი, სიცხე და სიბერე სამი ათასი ოყა ტვირთივით მხრებზე დააწვა. ახლა, ერთი წუთით, თითქოს სიყვარუ-ლიც დაავიწყდა. დამძიმებული სახის ქვემოთ დალლილობისგან დაწნეხილი სხეული შეიგრძნო. ტკივილისგან თავი უსკდებოდა, ფეხები უკანკალებდა. შე-სუნთქვისას შევიწროებული მკერდი სტკიოდა. ისევ გახედა განვლილ და გა-სავლელ გზას. არც გამვლელი ჩანდა და არც — გამომვლელი. მიწაზე ცხოველე-ბის და ორთვალების ნაკვალევი შეამ-ჩნია. მახლობლად აუცილებლად სოფე-ლი ან ქალაქი უნდა ყოფილიყო. იმედი მოეცა. ცოტა გამხიარულდა, ამოიოხრა, ხელები ზურგსუკან გადაიჯვარედინა და კვლავ სიყვარულის ჭეშმარიტებას ჩა-უდრმავდა. მის გარშემო ყველაფერი ისევ ნისლში ჩაიძირა. ისევ განაგრძო სიარული, ირგვლივ ვერაფერს ამჩნევდა.

იარა, იარა... იმედისმომცემი ნაკვალევე-ბით მოქარგული, ჯოჯოხეთივით ცხელი და უდაბნოს მტვრით სავსე გზას კი ბო-ლო არ უჩანდა. სუნთქვა ეკვროდა, ხელ-ფეხი ეკვეთებოდა. სხეულის ტან-ჯვა სულის ჭმუნვას იწვევდა. ცხოვრე-ბაში პირველად ურემი ინატრა. რა სასი-ამოვნო იქნებოდა ახლა აბრეშუმის ბა-ლიშებით გაწყობილ ურმის ტახტრევან-ზე წამოწოლა.

— აჲ, ერთი ურემი მომცა! — ჩაილა-პარაკა.

ოქრომკედით მოქარგულბალიშიანი ცხენი წარმოიდგინა. ასეთ ცხენზე რომ შეჯდებოდეს, ჰორიზონტზე რომ სოფე-ლი ჩანს, იქამდე ნახევარ საათში მივი-დოდა. წარმოსახვაში აქლემების ქარა-ვანმა და ქარავნის ჯორებმაც ჩაიარეს. შიმშილისგან, სიცხისგან და სიბერისგან ისე იყო ღონემიხდილი, რომ...

— ერთ კოჭლ ვირზეც თანახმა ვარ! — ჩაელიმა.

სიცხე უფრო და უფრო აჭერდა, გზა მეტად უსწორმასწორო ხდებოდა, მტვერიც მატულობდა. ქვებს შორის ხვლიკები განვლილიყვნენ. ზედ დაიხე-და. მტვრიან ქალამნებს სიძველე აღარ ემჩნეოდა. ბანჯგვლიან მკერდზე ტალა-ხიანი ოფლი ეწვეთებოდა. სხვა გზა არ არის, უნდა იაროს, გზას ბარაქა დააყა-როს.

იარა, იარა, იარა, იარა... საათობით იარა. მზე შუბის ტარიდან ჰორიზონტის-კენ გადაიხარა. დერვიშ ჰასანს ახლა ქა-ლაქელი, მდიდარი, ნებიერი ღვთისმოსა-ვები წარმოუდგა თვალზინ, მწუხრის ლოცვის წინ მჩქეფარე შადრევნებთან, გრილ ჩრდილში რომ განიბანებოდნენ. ისეთი კამკამა წყალი იყო, კაცი დასა-ლევადაც ვერ გაიმეტებდა. როდესაც ჯოჯოხეთის ტანჯვაზე ფიქრით შეძრუ-ლი მათი სულები სამოთხისკენ მიიღ-

<sup>1</sup> მაღალი, კონუსისებრი თექის ქუდი

ტვოდნენ, სხეულები განცხრომასა და მოსვენებაში იყვნენ. თავი ასწია და წინ გაიხედა. მოსახვევში პატარა გორაკი დაინახა. იქვე სამი ალვის ხე და დამშრალი წყარო იყო. ახლოს რომ მივიდა, გორაკის კალთა ძალიან ციცაბო მოეჩვენა.

— ღმერთმანი, ამას ვერ ავივლი! — წამოიყვირა.

შიმშილი, სიცხე და სიბერე დილი-დან მუხლჩაუხრელად მომავალ დერვიშს, ცოტაც და, აჯანყებდა. სასტიკი უსასოობა იგრძნო და ჭკვიანი სახე აერია. აქამდე ქედმოუხრელი, ახლა იმ ფარისეველივით მოიკუნტა, გამორჩენის მიზნით რომ ღვთისმოსაობს. თვალები-დან კაცობრიობის მიმართ სიყვარულის კვალი, ტუჩებიდან კი გონიერი ღიმილი გაუქრა და ყოვლისშემძლეს შეევედრა:

— ღმერთო, დამინდე, მშიერი ვარ, მოხუცი, გზას ვეღარ განვაგრძობ, გამომიგზავნე შესაჯდომი რამ, ამ აღმართს ვეღარ ავივლი, გპირდები, გორის გადაღმა აღარ შეგანუხებ.

გაჩუმდა და ალვის ხის ჩრდილამდე ძლივს მიათრია ფეხები.

— ურემი არ მინდა, არც ცხენი, შესაჯდომი რამ, თუნდაც კოჭლი ვირი იყოს. ღმერთო, შემიბრალე, შემინყალე!  
— ამოიკვნესა და საკუთარი უღონობის და ღმერთის შეწუხების შერცხვა. უცებ აჯანყდა:

— ღმერთო ჩემო, შენ შეჰქმენი ჩემი სხეული, შენ დაიცავი განსაცდელისგანაც, შესაჯდომი რამ გამომიგზავნე, შენი ქმნილება ავკიდო, თორემ ვეღარ ვათრევ და შენს ჯიბრზე აქვე ჩავიკეცები; შიმშილისგან, წყურვილისგან და სიცხისგან მოკვდები. შენ ყველაფერს ხედავ, ყველაფერი უწყი და ყველასი გესმის. ზეცა შენი თვალებია, სამყარო — შენი გონება, ქვეყანა კი — შენი ყურები. შეისმინე ჩემი თხოვნა და იცოდე, რომ შესაჯდომ რამეს თუ არ გამომიგზავნი,

ფეხს არ მოვიცვლი და აქვე ჩავძალლდები. დაინახავ, ყვავები ჩემს ლეშს როგორ გაძიძნიან. ამ აღმართს სხვანაირად ვერ ავივლი და უკანაც ვეღარ დავპრუნდები....

საკუთარ სიმართლეში დარწმუნებულმა ამოყარა სათქმელი და ამაყად დადუმდა. თვალები ნელ-ნელა მიელულა. დიახ, ღმერთი აუცილებლად მოუვლენდა შესაჯდომ რამეს, რადგანაც მისი უპირველესი მოვალეობაა, შეიწყალოს თვისი ქმნილება.

საბრალო დერვიში შიმშილს, სიცხეს და სიბერეს ისე დაექანცა, რომ მაშინვე ჩაეძინა. გრძელი სიზმარი ნახა, რომელიც თითქოს ას წელს გრძელდებოდა. ვითომ ქალაქის თავი იყო, სასახლეებით, მონებითა და მხევლებით გარშემორტყმული. ბალები ესიზმრა, უზარმაზარი ხეების მუქი მწვანე ჩრდილები მარმარილოს აუზებს ეცემოდა. ოქროთი მოვარაყებული კოშკები, სუმბულები, ვარდები, საზები, ბულბულები, სასმელები, მერიქიფები, ხარჭები... და ამათ შორის თითქოს ზღაპრიდან გადმოსული, მოხდენილი, ნატიფი, ოქროსუნავირიანი თეთრი, ჰაეროვანი ცხენი, რომელიც ჭიხვინებდა, ხტოდა და ყალყზე დგებოდა. დერვიში ჰასანი ერთ მხარეს ხარჭებითა და მეორე მხარეს საყვარელი ვაჟებით, უკან კი ახალგაზრდა მონებით გარშემორტყმული, იისა და იასამნის სურნელში ბედაურისკენ მიდიოდა. შეჯდომას ლამობდა. უზანგს უმარჯვებდნენ, მხევლები შეჯდომაში ეხმარებოდნენ, მონები კი იდაყვებს უჭერდნენ. სწორედ მაშინ, როდესაც ის-ის იყო, უნდა შემჯდარიყო, რაში მოტრიალდა და ისეთი წყვილი წიხლი სდრუზა, რომ, მხევალ-მოახლიანად, ყველა ერთმანეთში აირია და გაცამტვერდა.

თვალი გაახილა და დაინახა, რომ

ერთი ზორბა იორუქი<sup>1</sup> შავი ანგელოზი-ვით წამოსდგომოდა თავზე:

– ადექი, დერვიშ ბაბა, არ გეყო ამ-დენი ძილი?

– გაიხარე, შვილო, კარგი ჰქენი, გამალვიძე.

ჯერ კიდევ სიზმარგამოყოლილმა გაიღიმა და გაიზმორა. დამშრალი წყაროს ცოტა მოშორებით ბევრი ცხენი და ჯორი იყო, ზოგს საპალნე ეკიდა, ზოგს – არა. ყოვლისშემძლე და ყოვლისგამგე ალაპმა გამოუგზავნა, რაც სურდა. თან ერთი კი არა, მთელი რემა.

– საით მიდიხართ, შვილო?

– ქაზდალში.

– მეც იქით მივდივარ.

ეს იორუქები უეჭველად ათხოვებდნენ ცხენს. ჯერ თავსწამომდგარ ახალგაზრდას შეხედა, რომელიც იკრიფებოდა და შემდეგ წყაროსკენ გაიხედა. რამდენიმე უნაგირიანი, უსაპალნეო ცხენი შენიშნა. ის-ის იყო, რაღაცის სათქმელად პირი უნდა დაეღო, რომ ახალგაზრდამ დაასწრო:

– დერვიშ ბაბა, უნდა დაგვეხმარო!

– რაში?

– აქვე, მოშორებით, ერთმა ჩვენმა ცხენმა კვიცი მოიგო. ახალდაბადებული კვიცი ამ აღმართს ვერ აივლის. ჩვენ ძალიან დალლილები ვართ, შენ – დასვენებული და გამოძინებული. ადექი, ღვთის გულისთვის, აიყვანე ეს კვიცი და აარბენინე ამ აღმართზე.

– რაა? – დაიღრიალა.

– მძიმე არ არის, ახალდაბადებულია, ხუთი-ექვსი ოყა ან იქნება, ან – არა. მარტო აღმართზე აიყვანე, მიდი, ღვთის გულისათვის.

– ღვთის გულისთვის არ ვიცი მე!

– ღმერთს ნუ სცოდავ, დერვიშ ბა-

ბა, მაჰმადიანები ვართ, შეიბრალე შენი ძმები!

დერვიში ჰასანი კინაღამ ბრაზმა დაახრჩო. ხელი იმ მხარეს გაიშვირა, საიდანაც მოვიდა:

– მე ქაზდალში არ მივდივარ, აქეთ მივდივარ.

– არა უშავს, დერვიშ ბაბა, შენ კვიცი ამ აღმართზე აიყვანე, მერე დაბრუნდი და, სადაც გინდა, იქ წადი! – არ ეშვებოდა ახალგაზრდა.

დერვიში სიბრაზისგან გაცოფდა, შემწყნარებლობა და მაჰმადიანობა ერთბაშად დაავიწყდა და ერთმორწმუნებს ლანძღვა-გინება აუტეხა. იორუქმა ამხანაგებს დაუძახა, არც მათ დაუდეს ტოლი ჰასანს და საბრალო წიხლებით და მუშტებით მიბეგვეს, შემდეგ კი ზედ შესდგნენ და გადაუარეს. ბოლოს ახალდაბადებული კვიცი მიაჩეჩეს და წინ გაიგდეს. ნაცემი და ღონემიხდილი დერვიში ჰასანი ხვნეშა-ხვნეშით მიბობლავდა აღმართზე, კვნესის თავიც კი აღარ ჰქონდა. ახლახან დაბადებული, სველი „შესაჯდომი რამ“ მუავე სუნად ყარდა. დერვიშ ჰასანს სახე ეჭმუჭნებოდა. გორაკის თავზე ჩაიკეცა. შიმშილზე, სიცხეზე და ასაკზე მეტად კვიცის სიმძიმემ დაღალა. მზერა ცას, ყოვლისმჭვრეტელი ალაპის ფართო თვალებს, მიაპყრო. ამ ცისფერი თვალების უძირო გამომეტყველებაში თითქოს ირონია იკითხებოდა: მოგეწონა ის შესაჯდომი რამ, მე რომ გამოგიგზავნეო? დერვიშმა ხმა ვერ ამოიღო, თვალები ისევ დახუჭა. რამდენი აწუხებს ღმერთს თავისი ლოცვით. ისიც, უდავოდ, მართალია, რომ მათ ისე კი არ აძლევს, როგორც ითხოვენ, არა-მედ – როგორც თავად სურს. მიხვდა საკუთარ დანაშაულს. წელანდელი აჯან-

<sup>1</sup>ანატოლიაში მცხოვრები მომთაბარე თურქენული ტომი.

ყება ინანა. იორუქების ცხენების ზანზა-  
ლაკების ხმა ნელ-ნელა შორდებოდა.  
თითქოს მათ წარუნს აუწყო ხმა, რომე-  
ლიც პირიდან ვერ ამოსდიოდა და მხო-  
ლოდ გულში იმეორებდა:

- შენ რაც გინდა, ის მიბოძე,  
ღმერთო, მე მეტს არაფერს გთხოვ,  
ღმერთო. შეგცოდე, ღმერთო, შეგცო-  
დე...

თურქულიდან თარგმნა  
დარეჯან ყაფლანიშვილმა

**საბაჟათინ ალი**  
(1907 – 1948)

საბაჟათინ ალი ცნობილია, როგორც პოეტი, პროზაიკოსი და პუბლიცისტი. იგი წერდა ლექსებს, ნოველებსა და რომანებს. თანამშრომლობდა პროგრესულ უურნალ-გაზეთებთან. საბაჟათინ ალი მძიმე სოციალურ ფონზე გვიხატავს „პატარა ადამიანის“ ტრაგედიას; დაუნ-დობლად კიცხავს საზოგადოების გულგრილობასა და ქვეყანაში გამეფებულ უსამართლო-ბას. საბაჟათინ ალი მოწინავე საზოგადოებრივ – პოლიტიკური შეხედულებების გამო მუდ-მივად იდევნებოდა რეაქციული წრეების მიერ; მწერალს ფიზიკური განადგურებითაც კი ემუქრებოდნენ; იგი სრულიად ახალგაზრდა, 41 წლის ასაკში გაურკვეველ ვითარებაში დაი-ღუპა; მისი ცხედარი ტყეში იპოვეს.

საბაჟათინ ალის დიდი წვლილი მიუძღვის თურქული კრიტიკული რეალიზმის განვი-თარების საქმეში. მან, მიუხედავად ხანმოკლე ცხოვრებისა, საკმაოდ ნაყოფიერი მემკვიდ-რეობა დაუტოვა თურქ მკითხველს: სამოცდაათი ლექსი, სამი რომანი, ერთი პიესა და ნო-ველების ხუთი კრებული.

### მთვარიანი ღამე

არემარე წყვდიადში ჩაკარგული-  
ყო... მცირე მანძილილა აშორებდა იმ  
ადგილს, სადაც თავს დაცულად იგ-  
რძნობდა. სარკინიგზო ხიდის ქვეშ  
მყუდრო ადგილი ეგულებოდა... სიარუ-  
ლი უჭირდა. ძლივს მილასლასებდა. ფე-  
ხები უკანკალებდა, გული ამოვარდნას  
ლამობდა... როგორც იქნა, მიაღწია სა-  
სურველ ადგილს:

აქ მშვიდად სიკვდილს შევძლებო,  
გაიფიქრა.

იმედი გაუცრუვდა; კანტიკუნტად,  
მაგრამ მაინც დადიოდა ხალხი; რამდე-  
ნიმე კაცმა ხმამაღალი საუბრით ჩაუა-  
რა... მერე ეტლმა ჩაუქროლა... ცხენის  
ფლოქვების ჰარმონიული თქარათქურის  
ხმა ღამის სიბნელეში გაიფანტა... საჭი-  
რო იყო უფრო წყნარი, მიყრუებული ად-  
გილის პოვნა; ადგილისა, სადაც ადამია-  
ნის თვალი ვერ მისწვდებოდა, სადაც  
არავინ შეაწუხებდა...

დახეული ფეხსაცმელი ნაწილობრივ  
უფარავდა შიშველ ტერფებს... როცა ახ-  
ველებდა, მკერდში ისეთ ტკივილს

გრძნობდა, თითქოს მისთვის გულის  
ამოგდეჯას ლამობენო. სამი დღე იყო,  
ლუკმა არ ჩაედო პირში... შიმშილმა და  
ავადმყოფობამ ძალზე დაასუსტა, თავ-  
ბრუ ეხვეოდა, დროდადრო გონებას  
კარგავდა.

სარკინიგზო ხიდის ქვეშ გაიარა;  
ქუჩის ორივე მხარეს ხის სახლები ჩამ-  
წკრივებულიყო. ნახევრად ბნელ ქუჩაში  
მხოლოდ მიუსაფარი ბავშვები და რამ-  
დენიმე კატა შენიშნა. ერთი სახლის  
ფანჯრიდან ბავშვის ტირილის ხმა გამო-  
დიოდა, დედა ტუქსავდა...

ახალგაზრდა კაცი გაჭირვებით,  
სვენებ-სვენებით მიუყვებოდა ქუჩას;  
ცოტა კიდევ... ცოტა კიდევ და მიაღწევ-  
და ადგილს, სადაც ვერავინ შეამჩნევ-  
და... უცებ საშინელი ხველა აუვარდა.  
ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს  
მკერდში მავთულის ჯაგრისს უხახუნე-  
ბენო. ძალა გამოეცალა, მუხლები მოეკ-  
ვეთა, გზა ვეღარ გააგრძელა; ერთი სახ-  
ლის ზღურბლთან ჩაიკეცა... შეტევამ  
რომ გაუარა, ცრემლიანი თვალები გაა-

ხილა; ფიქრმა გაიტაცა, მოგონებებმა წარსულში დააპრუნა...

ხუთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საკუთარი ქვეყნიდან წამოვიდა. ჯერ კიდევ ბავშვობა ერქვა იმ ასაკს, მშობლიურ კერას რომ მოსწყდა და უცხოობაში აღმოჩნდა... არანაირი სამუშაოს შესრულებაზე არ ამბობდა უარს... ბოლო წლებში ერთ პატარა საწარმოში მექანიკოსის თანაშემწედ მუშაობდა; მძიმე სამუშაო პირობებმა ცუდად იმოქმედა მის ჯანმრთელობაზე; სუნთქვის პრობლემა, რომელიც ბავშვობიდან მოყოლებული დროდადრო ახსენებდა თავს, გართულებულ ხველით შეტევებში გადაიზარდა... თავს ძალას ატანდა, ცდილობდა გაეძლო... უმუშევრად დარჩენის ეშინოდა... მაგრამ მდგომარეობა დღითი დღე უარესდებოდა; ძლიერი ხველა და ტკივილი მკერდის არეში გაუსაძლისი ხდებოდა. დასუსტდა, ძალა გამოეცალა...

ერთ დილას ლოგინიდან ველარ ადგა. რამდენიმე დღე მშიერი იწვა, მისი მომკითხავი არავინ იყო... ცოტა რომ გამოკეთდა, სახელოსნოს მიაკითხა. არ მიიღეს, უთხრეს, რომ გათავისუფლებული იყო. მოხდა ის, რისიც ყველაზე მეტად ეშინოდა. შემონახული რამდენიმე ყურუშით ერთი კვირა გაიტანა თავი.

უცხო ქვეყნის ამ ქალაქში მისი დედის ძმა ცხოვრობდა; საკმაოდ შეძლებული კაცი იყო. სამშობლოდან წამოსვლის შემდეგ ადვილად დაიმკვიდრა თავი უცხოეთში...

გამოუვალ მდგომარეობაში მყოფმა ბიძას მიაკითხა, მოკრძალებით მიუკაუნა კარზე... ოთახის ერთ კუთხეში, ქვის იატაკზე მიუჩინეს დასაწილი ადგილი. დაუძლურებულ ავადმყოფს ბიძაშვილები მოსვენებას არ აძლევდნენ. ხუთი ბავშვი, რომელთაგან უფროსი თორმეტი წლის იყო, საშინლად ექცეოდა: მძინარეს თავზე ცივ წყალს ასხამდნენ, გრძე-

ლი ჯოხებით ჩხვლეტდნენ... პირუტყვით მოვაჭრე ბიძა სახლიდან აღრე გადიოდა და შინ გვიან ბრუნდებოდა. ავადმყოფის მდგომარეობას საერთოდ არ კითხულობდა. სახლში შემოსული, ერთს გადახედავდა, რაღაცას ჩაიბუტბუტებდა და თავის ოთახში გადიოდა.

ერთ დილას ავადმყოფთან შეჩერდა:

— სამი კვირაა, აქ წევხარ... ასე სადამდე უნდა გაგრძელდეს?! წადი, საავადმყოფოს მიმართე, — უთხრა და სახლიდან გავიდა.

მიუსაფარმა ახალგაზრდა კაცმა რამდენიმე საავადმყოფოს მიაკითხა, მაგრამ — ამაოდ... ქუჩაში აღმოჩნდა... უპატრონო ცხოველივით დაეხეტებოდა, ხან მათხოვრობდა. პოლიციელებს რომ არ დაენახათ, იმალებოდა; გარბოდა. ხველითი შეტევა ეწყებოდა, იტანჯებოდა. ხან ნაგვის ყუთში პურის ნატეხებსა და ხილის ნაფუქვენებს ეძებდა. სისუსტის გამო ხელები აღარ ემორჩილებოდა; ბოლო დღეებში ნაგვის ქექვაც უჭირდა. სანაგვესთან თავმოყრილი ბავშვები ხელიდან სტაცებდნენ საჭმლის ნარჩენებს. ამ საშინელ სიბინძურეში ნაპოვნ ნესვის ქერქებსა და ნახევრად დამპალ ყურძნის მტევნებს შიშითა და მღელვარებით მალავდა უბეში; კუთხეში მიიყუშებოდა და ხარბად შეეცეოდა...

სამი დღე იყო, საკვების მოპოვებას ველარ ახერხებდა. თითქოს შიმშილის გრძნობაც დაკარგა; წყალიც აღარ უნდოდა. მიხვდა, ეს მდგომარეობა აღსასრულის მოახლოებას ნიშნავდა; მასაც სწორედ ეს უნდოდა. ნატრობდა, ბოლო მოღებოდა ტანჯვას, სამუდამოდ დაეხუჭა თვალი. საჭირო იყო მყუდრო ადგილის მოძებნა, სადაც მშვიდად დაელოდებოდა სიკვდილს. შიშობდა, ხალხმრავალ ადგილზე არ დაცემულიყო. თუ ასე მოხდებოდა, ცნობისმოყვარე ადამიანები მიირბენდნენ; დაკითხვას დაუწყებდნენ,

საავადმყოფოში წაყვანას დაუპირებდნენ... გადარჩენაზე ფიქრი წარმოუდგენელი იყო მისთვის... დაუსრულებელი ტანჯვისგან თავის დაღწევის მხოლოდ ერთადერთი გზა არსებობდა – სიკვდილი... ამქვეყნად არ ეგულებოდა ადამიანი, რომელიც მის მდგომარეობას გულთან მიიტანდა, დახმარების ხელს გაუწვდიდა, მზრუნველობას გამოიჩენდა. ახალგაზრდა ავადმყოფ კაცს ყოველ ნაბიჯზე გულგრილობა ხვდებოდა. მისი ბედი არავის აინტერესებდა. ყველას-თვის ზედმეტი და მიუღებელი იყო...

სიკვდილი არასოდეს მიაჩნდა უჩვეულო მოვლენად, მაგრამ მარტოობაში სიკვდილზე რომ ფიქრობდა, თმები ყალყზე უდგებოდა. კარგად იცოდა, სიკვდილის მრავალნაირი ფორმა რომ არსებობდა. ბევრჯერ უნახავს, სოფელში მკვდარ, გადაგდებულ პირუტყვს როგორ დაესეოდნენ დღისით ყვავები, ღამით – ტურები. მეორე დღეს პირუტყვის ლეშისგან რამდენიმე ნაგლეჯი წითელი ძვლისა და ბლუჯა-ბლუჯა ბალნის გარდა, აღარაფერი რჩებოდა.

ადამიანები მისთვის ისეთივე დაუნდობლები აღმოჩნდნენ, როგორც ყვავები და ტურები; საჯიჯგნად გაიმეტეს ავადმყოფი ახალგაზრდა კაცი...

ცოტა ძალა რომ მოიკრიბა, წამოდგა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. შუალამე იქნებოდა... ერთი სახლიდან მთვრალების სიმღერის ხმა გამოიდიოდა; ცოტა კიდევ გაიარა, შეჩერდა... მოშორებით მთვარის შუქზე მოელვარე ზღვა დაინახა. საოცრად ლამაზი ღამე იყო... მთვარე ჩვეულებრივზე ორჯერ უფრო დიდი მოჩანდა... ისე ახლოს იყო ზღვასთან, თითქოს ციდან მოწყდა და წყალში ბანაობას აპირებსო... კედლის ნანგრევებსა და ნაგვის გროვაზე ამოსული მცენარეები ზღაპრული ბალის ყვავილებივით ნაზად ირხეოდნენ... ხავსიანი ქვები, რომ-

ლებსაც დროდადრო ზღვის ტალღები ასველებდა, ძვირფასი თვალმარგალიტივით ბრწყინავდა... მიუხედავად მდუმარებისა, ირგვლივ სიცოცხლე ჩქეფდა... ჯერ ზღვას უყურა, შემდეგ მთვარეზე გადაიტანა მზერა; უცნაური გრძნობა დაეუფლა... სიკვდილი აღარ უნდოდა... სწორედ ეს იყო ადგილი, სადაც შეეძლო, გულაღმა დაწოლილიყო, თვალები ვარსკვლავებისთვის მიეპყრო და მშვიდად დალოდებოდა სულის ამოსვლას; აქ ხელს ვერავინ შეუშლიდა. მაგრამ მიხვდა, სიცოცხლე სწყუროდა. თვალები აუცრემლდა. ხელამ, რომელიც რამდენიმე წუთს გაგრძელდა, ფიქრის საშუალება არ მისცა... როგორც იქნა, შეტევამ გაუარა; დამშვიდდა. მის გონებაში რაღაც ნისლისმაგვარმა, ბუნდოვანმა ფორმებმა გაირბინა; ზოგი თავის სოფელს მიამსგავსა, ზოგი – ბავშვობის მეგობრებს, ზოგი – ნათესავებს, დედას... ნელა წამოიწია და ქვაზე ჩამოჯდა; ცოტა მოშორებით, სიბნელეში, რაღაც მოძრავი საგანი შენიშნა. ლანდი მისკენ მოდიოდა. ახლოს რომ მოვიდა, მხოლოდ მაშინ დაინახა გარკვევით... გამხდარმა ქალმა ახალგაზრდა კაცს სახეში შეხედა... უცნაური ცეცხლით ანთებული თვალები ჰქონდა. ფეხზე ძველი, ქუსლმოტეხილი ფეხსაცმელი ეცვა, ტანზე – გაურკვეველი ფერის, ჭუჭყანი კაბა. ქალი კაცს გვერდით მიუჯდა. კაცმა მთვარის შუქზე მისი შავგვრემანი, ნაყვავილარი სახე დაინახა. თხელი, უფერული ტუჩები გაღიმებისას ორ პარარელურ ხაზს ქმნიდა და ქალის სახეს ყალბ, უსიამოვნო იერს ანიჭებდა... მხოლოდ ერთი რამ იყო უცნაური: ქალის ახალგაზრდული ჟინით ანთებულ თვალებში რაღაც იდუმალი სევდა იმალებოდა...

– არაფერს მეტყვი?! – უთხრა ქალმა სოფლური კილოთი.

- სადაური ხარ? – ჰკითხა კაცმა
- რა მნიშვნელობა აქვს, მოდი,
- იქით წავიდეთ!
- რატომ?
- აქ შეიძლება ვინმემ დაგვინახოს,
- მოურიდებლად მიახალა ქალმა.
- წადი, შენს საქმეს მიხედე!
- ქალმა ფეხი ფეხზე გადაიდო:
- ფული არ გაქვს? – ჰკითხა თავ-  
ხედური მანერით.

– წადი, რა, თავი დამანებე! – ამო-  
ილულლუდა ახალგაზრდა კაცმა და გაბ-  
რაზების ნიშნად ხელი აიქნია; უცებ ისე-  
თი ხველა აუვარდა, ერთიანად იგრიხე-  
ბოდა. თვალები გადმოცვენას ლამობ-  
დნენ, ტუჩები სისხლმა შეუფერადა...

– ღმერთო ჩემო, შენ ავად ყოფილ-  
ხარ?! – თანაგრძნობის კილოთი წამოი-  
ძახა ქალმა, – რატომ თავიდანვე არ  
მითხარი. ადექი, წავიდეთ, ჩემთან წა-  
გიყვან; ალბათ, მშიერიც იქნები...

კაცი შეეცადა, ამდგარიყო. ქალმა  
მკლავში ხელი მოჰკიდა, წამოაყენა:

- შორს არ არის, აქვეა...

ოციოდე ნაბიჯის შემდეგ დამწვარი  
სახლის კედლებს მიადგნენ. კარებიდან,  
რომელიც სიცარიელეს წარმოადგენდა,  
შიგნით შევიდნენ. სახურავის გარეშე  
დარჩენილი კედლების ფანჯრებიდან  
ზღვა მოჩანდა...

ერთ კუთხეში რაღაც ტომარა ეგ-  
დო. მის გვერდით, ბალახის გროვაზე  
ძველი ქეჩა იყო დაფენილი. კედლის  
ქვებს შორის შერჭობილ ფიცრის ნატეხ-  
ზე დამტკრეული კალათა ეკიდა.

ქალმა ავადმყოფი ახალგაზრდა ქე-  
ჩაზე დააწვინა. კუთხეში დაყრილი ძონ-  
ძები თავქევეშ ამოუდო.... კალათიდან შა-  
ქარი და ხმელი პურის რამდენიმე ნატე-  
ხი ამოიღო; პური კაცს შესთავაზა. მერე  
კედელთან მივიდა, ცეცხლი დაანთო;  
ძველ, უსახურავო ჩაიდანში წყალი აა-  
დუღა; სამი ცალი შაქრის ნატეხი ადუ-  
ღებულ წყალში ჩადო და მოურია. შაქ-

რიანი, ცხელი წყალი კაცს წვეთ-წვეთო-  
ბით დაალევინა. ავადმყოფმა შვება იგ-  
რძნო, თბილი სითხე ეამა, თითქოს  
მკერდში არსებული იარები მოუშუშა...  
ცოტა ხნის შემდეგ ხველამ ისევ შეახსე-  
ნა თავი. ქალი შეშინებული თვალებით  
უყურებდა:

– ღმერთო, რა უნდა ვქნათ?! – ამ-  
ბობდა სასონარკვეთილი ხმით. შეწუხე-  
ბულ ავადმყოფს შუბლზე ოფლს სწმენ-  
დდა და შაქრიან წყალს ნელ-ნელა ას-  
მევდა. შეტევამ რომ გაუარა, კაცი დამ-  
შვიდდა; ცას შეხედა. მთვარეს ყალბი  
სილამაზის საფარველში გაეხვია არემა-  
რე. მთის მწვერვალები სადღაც წყვდი-  
ადში ჩაკარგულიყო. ვარსკვლავები ისე  
ციმციმებდნენ, თითქოს ცაზე სათამაშო-  
ები ჩამოუკიდიათო...

ახალგაზრდა კაცმა საშინელი დალ-  
ლილობა ირძნო. თვალები მიელულა, ჩა-  
ეძინა. ცოტა ხნის შემდეგ უცნაურმა  
გრძნობამ გამოაფხიზლა. სახეზე ხან-  
მოკლე ინტერვალებით წვეთები ეცემო-  
და. თვალი გაახილა. ქალს მის გვერდით  
მუხლი მოეყარა და ჩუმად ტიროდა.  
კაცს ისეთი გრძნობა დაეუფლა, რომ-  
ლის მსგავსი ცხოვრებაში არასოდეს გა-  
ნუცდია... მთელი მისი არსება რაღაც  
ტკბილმა თრთოლვამ მოიცვა. ქალის  
უშნო, ნაყვავილარი სახე საოცრად თბი-  
ლი ათინათით იყო გასხივოსნებული....  
უცებ მოუნდა, გულში ჩაეკრა ადამიანი,  
რომელმაც, როგორც დედამ, როგორც  
დამ, როგორც უახლოესმა ადამიანმა,  
გულთან მიიტანა მისი გასაჭირი; ყველა  
ლონე იხმარა მისი ტანჯვის შესამსუბუ-  
ქებლად. ქალის სახეზე ისეთი თანაგ-  
რძნობა იკითხებოდა, როგორიც აქამდე  
არავისგან უგრძნია. ახალგაზრდა კაცმა  
ქალის გამხდარი თითები მუჭში მოიცია  
და მკერდთან მიიტანა. თვალები დახუ-  
ჭა. მას შემდეგ, რაც სამშობლოდან წა-  
მოვიდა, პირველად იგრძნო ადამიანური  
სითბო... პირველად დაიძინა მშვიდად...

## მტერი

ლამეა. ცივა. სუსტი ქარი უბერავს. უსიამოვნოდ ცრის... მოხდენილ პალტო-სა და შავ შარვალში გამოწყობილი ახალგაზრდა მსუბუქად მიაბიჯებს ას-ფალტიან გზაზე; დროდადრო წვიმის წვეთებით დანამულ ლაქის ფეხსაცმელს დასცეკრის: „როგორ ჰგავს ჩვენი ცხოვ-რება ამ ფეხსაცმელს!.. ჩვენც ვძველდე-ბით, ვცვდებით, ვიბრიცებით, სილამა-ზეს ვკარგავთ; ბოლოს კი უფუნქციო, გამოუსადეგარი ვხდებით...“

ფიქრით უკმაყოფილომ ტუჩები აიბზუა; მერე პოკერი გაახსენდა, ცოტა ხნის წინ მეგობრის სახლში რომ ითამა-შა... ოცდაათი ლირა მოიგო... ჩემ გვერ-დით ქმრის ფულებით გათამამებული ქა-ლი რომ არ მჯდარიყო, უფრო თავდა-ჯერებულად ვითამაშებდი, მეტის მოგე-ბას შევძლებდიო, ჩაილაპარაკა. უცებ ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს ქა-ლის ნელსაცხებლისა და თმის სურნელი შეიგრძნო....

„რა მშვენიერია ცხოვრება!... თუმ-ცა – ზოგჯერ მოსაბეზრებელი; დღისით სამსახური... მსუბუქი სამუშაო. კარგი ხელფასი... გემრიელი სადილი... ზოგჯერ კინო... ჩაი... პოკერი... მერე – ძილი...“

ამ ყველაფრით კმაყოფილი იყო, მაგრამ შინაგანად მაინც რაღაც სიცარი-ელეს განიცდიდა, თითქოს რაღაც აკ-ლდა... ახლაც, შინ რომ ბრუნდებოდა, ფიქრობდა: დღე კარგად გაატარა, მე-გობრებთან გაერთო. ოცდაათი ლირაც მოიგო. უკმარისობის გრძნობა მაინც არ ასვენებდა... შეეცადა, ამ მდგომარეობის მიზეზი აეხსნა: „ალბათ, ასეთია ცხოვ-რება; დალლილობისა და ხშირი უძილო-ბის გამო ნერვები უფუჭდება ადამი-ანს!..“

ფიქრში გართული საკუთარ სახლს მიუახლოვდა; ღრიფოდ დარჩენილი ჭიშ-

კარი ფეხით გააღო; ეზოში შევიდა. ქვით მოკირნყლულ ბილიკს ორივე მხარეს ჩამწკრივებული ფერად-ფერადი ყვავი-ლები ამშვენებდა. ბილიკი გაიარა. მო-სამსახურე რომ არ გაეღვიძებინა, უკანა კარიდან შესვლა გადაწყვიტა. ჯიბიდან გასაღები ამოიღო. კარს რომ მიუახლოვ-და, შიშისაგან ადგილზე გაქვავდა; შავი ლანდი კარებთან ატუზულიყო... ახალ-გაზრდა კაცმა დაყვირება და გაქცევა დააპირა, მაგრამ უცნობმა ტუჩებთან თითი მიიტანა და საკმაოდ მშვიდი ხმით მიმართა:

– ჩუმად! ცუდი განზრახვით არ მოვსულვარ. დასაძინებელი ადგილი არ მაქვს....

სახლის პატრონმა უცხო კაცი ყუ-რადღებით შეათვალიერა. გაოცდა. კაცი არც მათხოვარს ჰგავდა, არც მაწანწა-ლას... საკმაოდ მოწესრიგებული ადამია-ნის შთაბეჭდილებას ტოვებდა; კარგად ეცვა, ჰალსტუხიც ეკეთა... მაღალი სა-ზოგადოების წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო. სახლის პატრონმა უცნობს გვერდი აუარა და კარი გააღო. უცებ ეჭვმა შეიძყრო: ხომ შეიძლებოდა, ამ კაცს მისთვის რაღაც ჩაერტყა?!....

– ამაღამ თქვენი ბალის ერთ კუთ-ხეში დაძინების ნებას ხომ ვერ მომ-ცემთ? – ჰკიოთხა უცნობმა.

ახალგაზრდა კაცი შემობრუნდა, დაუპატიჟებელ სტუმარს შეხედა. სიბნე-ლები მისი სახე კარგად ვერ გაარჩია, მაგრამ იმდენად სანდო ხმა ჰქონდა, ყო-ველგვარი შიში გაუქრა. მოეჩვენა, რომ ამ ხმას იცნობდა... წვიმამ გადაიღო; ღრუბლებს შორის მთვარემ გამოანათა. უცნობის სახეს მთვარის შუქი მოეფი-ნა...“

– თუ წინააღმდეგი ხართ, წავალ, არ შეგაწუხებთ! – ჩაილაპარაკა სტუ-

მარმა. ახალგაზრდა კაცი ყურადღებით დააკვირდა. კბილები, ტუჩები, ცხვირი, ნიკაპი... თითქოს ეცნო მისი სახე.

— თქვენ ის არ ხართ?

— ჩუმად! ის ვარ! — მიუგო კაცმა, — მე დანახვისთანავე გიცანი... არ მეგონა, თუ გამიხსენებდი...

სახლის პატრონმა მაჯაში ხელი მოჰკიდა და მთვარის შუქზე გამოიყვანა:

— ცოტათი შეცვლილხარ... თუმცა შენი სახის ნაკვთები — ცხვირი, ნიკაპი, თვალები — იგივეა. რომ გითხრა, წლები დაგტყობია-მეთქი, ასეც არ არის; ჩემზე ახალგაზრდად გამოიყურები... მაგრამ არ ვიცი, რაღაც სხვანაირი გამხდარხარ... გარეგნულად კი არა, თითქოს შიგნით შეცვლილა რაღაც შენში...

— ცოტათი შენც შეცვლილხარ! — ღიმილით მიუგო მეორემ.

— გარეთ ცივა, შიგნით შევიდეთ, იქ ვილაპარაკოთ!

— ჩემი სახლში შეყვანა სახიფათოა!..

ახალგაზრდა კაცმა ეჭვით შეხედა. სტუმარი მიუხვდა:

— ნუ გეშინია, ჩემო კარგო, სახლს არ დავაყაჩალებ! პოლიცია მეძებს...

ბნელი დერეფანი გაიარეს, კიბით ზედა სართულზე ავიდნენ. მისაღებ ოთახში შევიდნენ; სახლის პატრონმა შუქი აანთო. სტუმარმა მოლიმარი სახით მიმოიხედა. საკმაოდ კარგად მოწყობილი ოთახი იყო; თუმცა საწერ მაგიდაზე უწესრიგოდ მიყრილი ქაღალდები იმაზე მეტყველებდა, რომ მასპინძელი უცოლო იყო, მოსამსახურეს კი ამ ოთახში შესვლა ეკრძალებოდა. იატაკზე პატარა ხალიჩა ეფინა. ოთახის ერთ კუთხეში დაბალი მაგიდა და ორი რბილი სავარძელი იდგა; იქვე, ახლოს, გრძელი ტახტი იყო მოთავსებული. ფანჯრებს კრემისფერი ფარდები ამშვენებდა.

საუბარი სახლის პატრონმა დაინყო:

— თორმეტი წელია, არა?!

— ჰო, რაც სკოლა დავამთავრეთ, ერთმანეთი არ გვინახავს!..

— რა ჩაიდინე, რომ პოლიცია გე-ძებს? ყური მოვკარი, სახიფათო აზრებს შეუპყრიხარ... სამსახურიც დაგიკარგავს...

— ჰო, ასეა!

— გვონია, სამყაროს შეცვლი?!

— შენ იძულებული ხარ გჯეროდეს, რომ სამყარო უცვლელია!

ერთხანს სიჩუმემ დაისადგურა. მასპინძელმა რადიო ჩართო. ოთახში სასიამოვნო ჰანგები დაიღვარა. ოპერიდან ნაწყვეტი სრულდებოდა... ორივე მეგობარი ხმაამოუღებლად უსმენდა სულში-ჩამწვდომ მუსიკას. სტუმარს სახეზე ბავშვური გულწრფელობის გამომხატველი ღიმილი მოეფინა:

— რა კარგია, არა?!... ოთხი წელია, მუსიკა არ მომისმენია!

— რატომ?

— შემთხვევა არ მომეცა...

საამო ჰანგები გერმანულ ენაზე საუბარმა შეცვალა. სახლის პატრონმა რადიო გამორთო, მეგობრებმა ერთმანეთს შეხედეს. მათ მეხსიერებაში თორმეტი წლის წინანდელმა ცხოვრებამ გაიელვა; ბავშვობა გაახსენდათ... სიყვარულით გაუღიმეს ერთმანეთს.

მასპინძელი ადგა, მეგობართან მივიდა, მხარზე ხელი დაადო:

— მომიყევი!

— შენ მომიყევი!

— როგორც ხედავ, მე სწორი გზით ვიარე და რაღაცას მივაღწიე!...

— დარწმუნებული ხარ, რომ სწორი გზით იარე?!

— რატომ?!...ვიშრომე, სასარგებლო საქმე ვაკეთე და წინ წავედი!...

— დაფიქრებულხარ, ვისთვის არის სასარგებლო შენი საქმიანობა?! ვის მოუტანს სიკეთეს გზა, რომლითაც იარე?! მგონი, ხვდები, რისი თქმაც მინდა!..

— ნაწილობრივ!... მოეშვი ამ ბუნ-

დოვან მსჯელობას, მეგობარო! – მიუგო მასპინძელმა.

– კარგი, თავი დავანებოთ ამ თემაზე საუბარს... რადგან დარწმუნებული ვარ, ადამიანი თავის მოვალეობაზე კარგად თუ დაფიქრდება, რბილ სავარძელში მოხერხებულად ჯდომა გაუჭირდება...

– შენი ასეთი აზროვნება და საქმიანობა რბილ სავარძლამდე ვერმიღლევის ბოლმამ ხომ არ განაპირობა?!...

ამ სიტყვებზე სტუმარს ელდა ეცა. გაფითრდა. თბილი, მეგობრული მზერაციის ურმა ღიმილმა შეცვალა:

– კარგად იცი, თუ გონებას ფიქრს, ხოლო თვალებს დანახვას ავუკრძალავ, იმ ადგილამდე მიღწევა, სადაც შენ ხარ, ჩემთვის ძალიან ადვილია.

– რა ვიცი... სკოლაში საუკეთესო იყავი...

– ახლა?

– ახლა ყველასგან განსხვავებული ხარ!...

ეს ისე, დაუფიქრებლად წარმოთქვა. შემდეგ მიხვდა, თუ რა მნარე სიმართლე წამოსცდა... სტუმარსა და ბავშვობის მეგობარს შორის არავითარი შესაბამისობა აღარ არსებობდ; მის წინაშე ჩუმი, მორიდებული, მომთმენი და მოწესრიგებული ბავშვის ნაცვლად თავდაჯერებული, მტკიცე, ურყევი რწმენით შეპყრობილი ადამიანი იდგა. მის შავ თვალებში, რომელიც ადრე თბილი, გულწრფელი მზერით ადამიანს იზიდავდა, ახლა სიცივესა და სიჯიუტეს დაესადგურებინა.

– დალლილი ჩანხარ, დასაძინებელ ადგილს გიჩვენებ!

– გაბედავ, რომ შენს სახლში დამაძინო?

– შეურაცხყოფას რატომ მაყენებ?!...

სასტუმრო ოთახიდან გამოვიდნენ,

დაბლა სართულზე ჩავიდნენ. მასპინძელმა უკანა შესასვლელის გვერდით მყოფი ოთახის კარი გააღო:

– აქ დაწექი!... ეს ჩემი ოთახია. მე ზემოთ, ტახტზე დავიძინებ.

სტუმარი ოთახში შევიდა, კარებთან შეჩერდა და უკან მოიხედა:

– მოდი, გადაგეხვიო! შეიძლება, ვეღარ ვნახოთ ერთმანეთი!...

– რატომ? ხვალ აქ არ იქნები?!

– მე ადრიანად ავდგები, შეუმჩნევ-ლად წავალ. არ მინდა გაიგონ, შენს სახლში რომ მეძინა... ეს შენთვის სახიფათო იქნება!.. ხომ იცი, ძალიან მიყვარდი...

– ახლა? – უნდოდა ეკითხა მასპინძელს, მაგრამ ვერ გაბედა. ერთმანეთს გადაეხვივნენ; ორივეს თვალები მოუწყლიანდა.

– ღამე მშვიდობისა! – უთხრა სტუმარმა.

– ძილი ნებისა! – უპასუხა მასპინძელმა და ოთახიდან გავიდა. კიბეზე რომ ადიოდა, სულში რაღაც გაორება იგრძნო; თითქოს მის არსებაში ურთიერთსაწინააღმდეგო, იდუმალი ძალები ებრძოდა ერთმანეთს...

– შეიძლება, მის ნათქვამში სიმართლე იყოს? – ეკითხებოდა საკუთარ თავს... – არა მგონია!... ადამიანი უცნაური ქმნილებაა... თუ ერთხელ თავში რაღაცას ჩაიბეჭდავს, ძალიან ჭკვიანიც რომ იყოს, შლეგად იქცევა... – მისაღებში რომ შევიდა, ისევ რადიო ჩართო; საინტერესო ვერაფერი მოძებნა. გამორთო, მაგიდას მიუჯდა. არ ეძინებოდა; ხანგრძლივი თათბირიდან გამოსულივით დაღლილი და დაბნეული იყო. თვალწინება მეგობრის სახე, მისი დამთრგუნველი მზერა, ცინიკური ღიმილი... გაბრაზდა: რა უფლება ჰქონდა თავხედ მეგობარს, ასე რომ ააფორიაქა?!.. სულიერი სიმუდროვე დაურღვია კაცს, რომელიც

წლების მანძილზე დაზგასავით გაუჩერ-  
რებლად მუშაობს...

— მივალ, გავალვიძებ, შევეცამათე-  
ბი!...

ქვემოთ ჩავიდა. ოთახში შევიდა. ახალგაზრდას ისე ღრმად ეძინა, შუქის ანთებაც არ გაუგია. სახეზე ბავშვური ღიმილი დასთამაშებდა. ეტყობოდა, სა-  
სიამოვნო სიზმარს ხედავდა... მისი გაღ-  
ვიძება ვერ გაბედა, თავის ოთახში დაბ-  
რუნდა. შინაგანად თრთოდა, ვერ ისვე-  
ნებდა. ვაითუ, მართალი იყო მისი სტუ-  
მარი?!..

მაგიდაზე დაყრილ გაზეთებს თვა-  
ლი გადაავლო. ერთი გაზეთის მესამე  
გვერდზე მეგობრის სახელს მოჰკრა  
თვალი. ყურალებით წაიკითხა. სტატია  
იუწყებოდა, რომ ახალგაზრდა იძებნე-  
ბოდა და პოლიცია უკვე კვალზე იყო  
გასული. რამდენიმე სტრიქონით მის მი-  
ერ ჩადენილი დანაშაულის შესახებაც  
წერდნენ. იმასაც აღნიშნავდნენ, რომ  
ძებნილი ნიჭიერებით გამოირჩეოდა,  
კარგი განათლება პქონდა მიღებული და  
სამშობლოსთვის ბევრი სარგებლობის  
მოტანა შეეძლო. მაგრამ სახიფათო აზ-  
რების პროპაგანდამ და ანტისახელმწი-  
ფოებრივმა საქმიანობამ ქვეყნისა და  
ხალხის მტრად აქცია....

ახალგაზრდა კაცმა დიდხანს უყუ-  
რა ამ სტრიქონებს. მერე ჩაილაპარაკა:  
„მტერი“. უცებ წარმოიდგინა, რომ ციხე-  
სიმაგრესავით ჩაკეტილი და თავდას-  
ხმისთვის მზადმყოფი ეს ადამიანი მარ-  
თლა მტერი იყო:

„თუ ერთ დღეს ის და მისი თანა-  
მოაზრები ძალაუფლებას ხელში ჩაიგ-  
დებენ!..“

გაფიქრებისაც კი შეეშინდა... მერე  
თავის დამშვიდებას შეეცადა:

— სულელი!.. არ იცის, რომ მათ ძა-  
ლა არ აქვთ!...

დიახ, ძალა მასში იყო. პოლიცია,  
სასამართლო, პრესა, მთელი სახელმწი-

ფო სისტემა მას იცავდა.

ფანჯარასთან მივიდა; გარეთ გაი-  
ხედა. ქუჩის კუთხეში პოლიციელი იდგა.  
უნდოდა, ფანჯარა გაეღო და მისთვის  
დაეძახა, მაგრამ ვერ გაბედა. შესაძლო  
იყო, მის ხმაზე სტუმარს გაღვიძებოდა...  
კვლავ გაზეთს მიუბრუნდა, სტატია ხე-  
ლახლა წაიკითხა.

— პოლიცია კვალზე ყოფილა გასუ-  
ლი! ჩემს სახლში რომ იპოვონ?! — თვალ-  
წინ წარმოუდგა დაკითხვები, სასამარ-  
თლო, საპატიმრო... ირგვლივ მიმოიხედა.  
წარმოიდგინა, როგორ მოშორდებოდა ამ  
თბილ ოთახს, შეჩვეულ ნივთებს.

მეტის მოთმენა ვეღარ შეძლო...  
ცნობარი გადაშალა, ტელეფონის ნომე-  
რი აკრიფა. მორიგე კომისარს საქმის  
ვითარება აუხსნა. ყურმილი რომ დადო,  
საშინალო დაბნეული იყო. თავში ათას-  
ნაირი აზრი უტრიალებდა: ხან ფიქრობ-  
და, რომ სულმდაბლობა გამოიჩინა, სა-  
მარცხვინოდ მოიქცა, მეგობარი პოლი-  
ციას ჩაუგდო ხელში... ხან თავისი საქ-  
ციელის გამართლებას ცდილობდა: თავს  
არწმუნებდა, რომ მტრის დამალვა ხალ-  
ხის მფარველი სახელმწიფოს ღალატს  
ნიშნავდა...

ადგილს ვერ პოულობდა. გაახსენ-  
და, ცოტა ხნის წინ როგორ გადაეხვია  
ბავშვობის მეგობარი. შერცხვა, ლოყები  
აეწვა. გადაწყვიტა, დაბლა ჩასულიყო,  
გაეღვიძებინა; გაქცევაში დახმარებო-  
და...

კიბეზე ჩაირბინა, ოთახის კარი გაა-  
ღო. სტუმარს საწოლზე მშვიდად ეძინა...  
უნდოდა, დაეძახა; ხმა ვერ ამოიღო...  
თითქოს ყელში რაღაც გაეჩირა... ნაბი-  
ჯი ვერ გადადგა მის გასაღვიძებლად.  
რაღაც იდუმალმა ძალამ შეაჩერა. რო-  
გორც კი გაიღვიძებს, ყველაფერს მიხ-  
ვდება. დამთრგუნველი ღიმილით გადა-  
ხედავს... დუმილით გაანადგურებს...

გარედან ფეხის ხმა მოისმა, ჭიშ-

კარზე დააკაკუნეს... მიირბინა. კარი გა-აღო. ოთხი კაცი შემოვიდა. ორს სამო-ქალაქო ტანსაცმელი ეცვა, ორი პოლი-ციის ფორმაში იყო გამოწყობილი. სახ-

ლში ისე შევიდნენ, ხმა არ ამოუღიათ. მასპინძელმა პოლიციას სტუმრის ოთა-ხის კარი უჩვენა და კიბეზე სწრაფად აირბინა, ზედა სართულზე ავიდა...

## ცხელი წყალი

ცხენზე ამხედრებული ორი უან-დარმი ნელა მიუყვებოდა სოფლის შა-რაგზას... სალამოს ბინდი ნისლივით ჩა-მონოლილიყო მინდვრებსა და ტყიან გო-რაკებზე; ნიავი ტკბილი ჩურჩულით ეა-ლერსებოდა ტირიფის ტოტებს... სიბნე-ლეში სახლები ბუნდოვნად მოჩანდა. ადამიანის ხმა არსაიდან ისმოდა, მხო-ლოდ ძალლების ყეფა არღვევდა ირ-გვლივ გამეფებულ მდუმარებას.

უანდარმები სოფლის ყავახანაში შევიდნენ. ცოტა ხანს მზარეულთან ხმა-დაბლა ისაუბრეს და გარეთ გამოვიდნენ. გზა გააგრძელეს, ერთ პატარა სახლს მიუახლოვდნენ. ღობესთან შეჩერდნენ. ფანჯარა რომ დაენახათ, ფეხის წვერებ-ზე აინიეს. ფანჯრიდან შუქი გამოდიოდა... პატარა, დაბალ მაგიდასთან, რო-მელზეც ვახშირის სუფრა იყო გაშლილი, ლამაზი, ახალგაზრდა ქალი იჯდა; ნან-ნავები მხრებზე გადაეყარა. დროდადრო ფანჯრისკენ აპარებდა თვალს...

– ისე იქცევა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს, – ჩაილაპარაკა ერთმა უანდარმა.

– უკვე მეოთხედ მოვედით, ვერაფ-რით გამოვიჭირეთ, – გააგრძელა მეო-რემ. ჭიშკარი გააღეს და ეზოში შევიდ-ნენ; ერთმა ბალს შემოუარა, მეორემ კარზე დააკაკუნა. ოთახში მღელვარება არ იგრძნობოდა. ქალი კარს მოუახლოვ-და:

– ვინ არის? – იკითხა ნაზი, ბავ-შვერი ხმით.

– გააღე, ისმაილს ვეძებთ!..

ქალმა კარი გააღო:

– მობრძანდით, ნახეთ, სახლში არ არის. ადრეც ხომ გითხარით, გაზაფხუ-ლის მერე ისმაილი თვალით არ მინა-ხავს...

– გაჩუმდი, ჩვენ გავიგეთ, რომ ორი დღე სახლში ყოფილა! – იყვირა უანდარმმა.

– ტყუილია, ბატონო, ტყუილი. ის-მაილი იმ შემთხვევის შემდეგ აქ აღარ გამოჩენილა. ვინ იცის, სად გადაიკარგა. იქნებ სადმე მთაშიც მოკვდა უპატრო-ნოდ, – შეშინებული ხმით უპასუხა ქალ-მა.

უანდარმებმა ოთახი გაჩერიკეს; სა-წოლები გადაბრუნეს... სახლი ერთი ოთახისა და პატარა სათავსოსგან შედ-გებოდა; სათავსოში ზეითუნის ზეთის ჭურჭელი, საპურე და კიდევ რაღაც სა-ოჯახო ნივთები ელაგა. ოთახის ერთ კუთხეში დაფენილ პატარა ხალიჩაზე გადაშლილი ყურანი იდო.

უანდარმი შეეცადა, საქმე ტკბილი სიტყვით მოეგვარებინა:

– მისმინე, ემინე, მის დაცვას ნუ ცდილობ! სახელმწიფო მაინც არ აპატი-ებს, მან თავის დანამაულზე პასუხი უნ-და აგოს. მკვლელს ხელი რატომ უნდა დააფარო?! თუმცა იტყვი, რომ განზრახ არ მოუკლავს, თავს იცავდა... დავუშ-ვათ, ასეა, რატომ იმალება? რადგან მოკლული აღას შვილია, ხომ არ შეჭა-მენ?! ქვეყანა დ კანონი სამართლიანია.

გაასამართლებენ; სასჯელს მოიხდის და გამოვა. ახალგაზრდა ხარ, თავს წუ დაიღუპავ... მიდი, გვითხარი, სად იმაღება... ვიცით, რომ ცოტა ხნის წინ აქ იყო; ვინ შეატყობინა, რომ მოვდიოდით?

— ხომ გითხარით, ოთხი თვეა, რაც ისმაილი სახლიდან წავიდა. არ ვიცი, სად არის...

— კარგად დაფიქრდი, ემინე; იცოდე, ეს ამბავი ცუდად დამთავრდება! ჩვენ აქ ჩვენი ნებით არ მოვსულვართ; სახელმწიფომ დაგვავალა... თუ ამჯერადაც ვერ დავიჭირეთ, ასმეთაური დაგვსჯის... სადმე მიყრუებულ სოფელში გადაგვიყვანს სამუშაოდ...

ქალი თავდახრილი იდგა, ხმას არ ილებდა.

— იმედია, ცრუ შეტყობინება არ მიგვიღია, — გააგრძელა უანდარმმა, — ამას ახლავე გავიგებთ...

ირგვლივ მიმოიხედა; მზერა ხის კარებზე შეაჩერა:

— მიდი, გაალე! — უბრძანა ქალს.

ქალმა, ცოტა ყოყმანის შემდეგ, ურდული გაწია და კარი თავისით გაიღო; რიტუალური განბანვის ადგილი აღმოჩნდა; შიგნით არავინ იყო; მხოლოდ გაჭვარტლული თუნგი და პატარა ხის სკამი იდგა. თუნგი წყლით იყო სავსე; უანდარმმა წყალში თითო ჩაყო; დაეწვა:

— ეს ცხელი წყალი რა არის?

ქალი გაწითლდა:

— არაფერი, — მიუგო დამფრთხალი ხმით, — უნდა გადამევლო...

— ამის გაკეთება დღისით არ შეგეძლო?! ვის ატყუებ... ალარ გაგივა... აბა, გვითხარი, სად არის ისმაილი? ცხელი წყალი იმაზე მეტყველებს, რომ ახალი გაქცეულია; შორს ვერ წავიდოდა. თუ არ იტყვი, შენს თავს დააბრალე, რაც მოგივა...

— არ ვიცი, არ მინახავს, — იმეორებდა აკანკალებული ხმით ახალგაზრდა ქალი. უანდარმმა ხარბი მზერა ქალის

მკერდზე გადაიტანა; ამხანაგი ხელის მოძრაობით მოიხმო, ყურში რაღაც ჩასჩურჩულა, მერე ქალისათვის გასაგონი ხმით წარმოოთქვა:

— ისმაილი შორს არ იქნება. თუ არ ჩაგვბარდება, ცოლის პატიოსნების დასაცავად მაინც ხომ გამოჩნდება!.. ახლა ემინეს ხალიჩაზე წამოვაქცევ... თუ დაიყვირებს, ისმაილი ვერ მოითმენს, დასახმარებლად მოვა... ცოცხალს ან მკვდარს ჩავიგდებთ ხელში. თუ არ დაიყვირებს, ემინეს ნებაა. მერე ერთხელ შენც ცდი...

გაფითრებული ქალი ერთიანად ცახცახებდა, ტუჩებს იკვნეტდა... ოთახს თვალი მოავლო; ოთხი კედლისა და ორი უანდარმის გარდა ვერაფერი დაინახა. უცნაური ცეცხლით თვალებანთებულმა უანდარმმა ემინეს მელავში ხელი მოჰკიდა და კედლთან მიათრია. მეორე გარეთ გავიდა....

ვერც ერთმა მათგანმა ქალს სიტყვა ვერ დააცდენინა... შეურაცხყოფილ ემინეს არ უყვირია, შველა არ უთხოვია...

ცოტა ხნის შემდეგ უანდარმებმა ტკბილი დალლილობითა და სასიამოვნო შინაგანი მღელვარებით დატოვეს სახლი; ცხენებზე ამხედრდნენ და გზას გაუდგნენ;

შეურაცხყოფილი ახალგაზრდა ქალი სახლიდან გავიდა...

ისმაილი დილამდე უცდიდა ემინეს. ბუჩქნარში მიმალული თვალს არ აშორებდა თავისი სახლის ფანჯარას... კარგად გათენდა. სახლში ლამპა ისევ ენთო... გაუკვირდა. ლობეს გაუყვა, სახლთან მივიდა. ლიად დარჩენილი კარიდან შიგნით შევიდა. ოთახი არეული იყო, ლამპა, რომელშიც საწვავი თავდებოდა, ძლივს ბუტავდა. სახლში არავინ იყო. კარებთან მივიდა, დაუსტვინა. შარაგზაზე ცამეტ-თოთხმეტი წლის ბიჭი გამოჩნდა; მორბოდა, თან აქეთ-იქით

იყურებოდა... ისმაილმა ბავშვი ყავახანა-ში გაგზავნა...

ვაითუ, უანდარმებმა წაიყვანეს ემი-ნე! მაშინ რა უნდა ქნას, როგორ მოიქ-ცეს?!... ბავშვი ნახევარი საათის შემდეგ უკან დაპრუნდა. უთხრა, რომ უანდარ-მებს შუალამისას დაუტოვებიათ სოფელი

და რაიონში წასულან. თან არავინ წაუყ-ვანიათ...

მთელი სოფელი ეძებდა ახალგაზ-რდა ქალს, მაგრამ ამაოდ; იმ საბედისწე-რო ლამის შემდეგ ემინე აღარავის უნა-ხავს...

თურქულიდან თარგმნა  
მერი წიკლაურმა

## მუსტაფა ნეჯათი სეფეთჩიოლლუ (1932 – 2006)

დაიბადა ზილეში (თოქათის ილი). დაამთავრა სტამბოლის უნივერსიტეტის ლიტერატურის ფაკულტეტი. სამწერლო მოღვაწეობა ადრეულ ასაკში დაიწყო.

წერდა მოთხრობებს, პიესებსა და რომანებს. იგი არაერთი კონკურსის გამარჯვებულია. საუკეთესო პიესისთვის მიღებული აქვს თეატრალური ფესტივალის ჯილდო; 1980 წელს თურქეთის მწერალთა კავშირის მიერ მოწყობილ კონკურსში მიენიჭა წლის საუკეთესო რომანისტის ტიტული. 1998 წელს არჩეული იქნა თურქეთის ენისა და ისტორიის უმაღლესი ორგანიზაციის საპატიო წევრად.

მუსტაფა ნეჯათი სეფეთჩიოლლუმ დიდი წვლილი შეიტანა თანამედროვე თურქული ლიტერატურის განვითარების საქმეში.

## შუქურა

ქალი თავდახრილი იჯდა მაგიდას-თან... შუქურის სხივმა სახეზე გადაურბინა... კაცმა თვალი მოკერა მის შუბლზე გაჩენილ ღარებს; მიხვდა, რატომ მიანიჭა უპირატესობა ამ ჩაბნელებულ ადგილს... ქალს ნაოჭების გამოჩენა არ უნდოდა; სახის დამალვას ცდილობდა, მაგრამ შუქურიდან გადმოფრქვეული სინათლის სხივები მოსვენებას არ აძლევდა... სათუთად ელამუნებოდა... მერე სიბნელეში უფსკრულადქცეულ ზღვას მოციმციმე ნიაღვრად უერთდებოდა...

მხოლოდ თვალები ვერ შეეცვალა დროის უკულმართობას, სევდითა და უიმედობით ვერ მოენისლა. ციმციმა თვალები... ისეთივე სიცოცხლით სავსე, როგორც ოცი წლის წინ... ვარსკვლავებით აკიაფებული; გამოხედვა მფრთხალი, ბავშვური, გულუბრყილო...

– ნეტავ ჩემს გარეგნობაზეც აისახა წლების ნაკვალევი?! – გაიფიქრა კაცმა. ქალსაც ეს აინტერესებდა... კაფე-ბარის მიყრუებულ კუთხეში მაგიდას რომ მიუსხდნენ, კაცის სახე მთლიანად ჩაიკარგა სიბნელეში...

– დღის სინათლეზე მაინც გვენახა ერთმანეთი, – ინანა ქალმა. საკუთარი ჩანაფიქრისა შერცხვა... თავი დახარა. ჭალარაშერეულ თმაზე შუქურის სინათლე მოეფინა.

კაცი მიხვდა ქალის მღელვარების მიზეზს... გრძნობა მოეძალა. მთელი არსებით მოუნდა, მკერდში ჩაეკრა და ბავშვურ თვალებში ჩაეხედა; ვერ გაბედა... თავი შეიკავა; ჰორიზონტს მიაპყრო მზერა... სიჩუმე რომ დაერღვია, მგონი, მთვარე აპირებს ამოსვლასო, ჩაილაპარაკა.

– ოცი წლის წინაც ასეთი იყო ეს ხმა, – გაიფიქრა ქალმა – ხავერდოვანი, თბილი, ალერსიანი, სიყვარულით სავსე... – ღამის სიბნელის თუ ოცი წლის მონატრების შემდეგ მოულოდნელი შეხვედრის გამო ქალს უჩვეულო გრძნობა დაეუფლა; ეს გრძნობა ზღვის სიგრილესა და ტკბილ თრთოლვაში ადნობდა. უნდოდა შეხებოდა ხელს, რომელიც ერთ დროს საიმედო საყრდენად ეგულებოდა; ვერ მოახერხა... ბეჭებიდან წამოსულმა რაღაც ძალამ მკლავში გაიარა და თითებამდე მიაღწია... ხელი გაუკავა...

– თუ გინდა, უკან, ლამპიონის ქვეშ რომ მაგიდაა, იქ გადავსხდეთ. მინდა, უკეთ დაგინახო, – შესთავაზა კაცმა. სინამდვილეში უნდოდა ეთქვა: „მინდა დაინახო, რომ შენზე მეტად არ შევ-ცვლილვარ; პირიქით, შენგან განსხვავებით, ჭალარაც არ გამომრევია“.

ქალს არ უნდოდა, დათრგუნვილი ენახა კაცი, რომელიც წლების წინ ცივ, უბადრუკ სახლში მიატოვა... უფრო მეტიც, სურდა, ენახა ისეთივე ძლიერი, როგორიც ახსოვდა... მხნე, იმედიანი, თავდაჯერებული, თვალებანთებული...

– მირჩევნია, აქ დავრჩეთ, სინათლე მაინც არ მიყვარს...

ზღვის ტალღების ხმაური სიბნელეს უერთდებოდა. სადღაც შორს, ჰორიზონტზე, მკრთალი სინათლის ფონზე გროვა-გროვად თავმოყრილი შავი ღრუბლები ირეოდა.

კაცმა სიგარეტს მოუკიდა; სანთებელას ალმა სახე გაუნათა. ქალმა კაცის დაღლილი, უიმედო, ნაღვლიანი თვალები დაინახა...

– ნეტავ გყვარებოდა სინათლე ... ნეტავ არ ჩაგექრო ოცი წლის წინ შენში აკიაფებული სხივი, – გულდანყვეტით წარმოთქვა კაცმა.

– თვითონ ჩაქრა... მისი ანთება და ჩაქრობა ჩემზე არ იყო დამოკიდებული; ისევე, როგორც შენზე ...

კაცმა ანთებული სიგარეტი ზღვის უფსკრულად ქცეული სიცარიელისკენ მოისროლა:

– შენი არ ვიცი, მაგრამ მე, ოცი წელია, ამ ბნელ სიცარიელეს ვგავარ. სიცარიელეს, რომელიც დუღს, დაუსრულებლად ბორგავს... ზოგჯერ მასში გადაგდებული, ანთებული სიგარეტი ვარდება, მაგრამ მინავლებული ცეცხლი მხოლოდ წვავს, სიბნელეს ვერ ანათებს, რადგან ალი არ აქვს...

– დამნაშავე ვარ... ამას მერე, გვიან

მივხვდი... შეცდომა დავუშვი... არ უნდა წავსულიყავი... ძალიან გთხოვ, წარსულს ნულარ გამახსენებ, – სევდანარევი ხმით მიუგო ქალმა.

– შენი ბრალი არ არის... ყოველ საღამოს სახლში შიშით ვპრუნდებოდი; მეგონა, აღარ დამხვდებოდი... გული მიგრძნობდა, რომ ერთ დღეს მიმატოვებდი და წახვიდოდი. ეს შიში თითქოს დამებარება კიდეც, შევგუებოდი ჩემს მდგომარეობას. შენმა წასვლამ ჩემი წინათგრძნობა გაამართლა. შესაძლოა, იმ შიშმა ჩემში არსებული სინათლის სხივი უფრო ადრე, შენს წასვლამდეც ჩაქრო; მე კი მეგონა, იმ დღეს ჩაქრა, როცა მიმატოვე.

– როგორ?!.. ესე იგი, შენც გინდოდა ჩემი წასვლა?! – მღელვარედ, საყვედურის კილოთი იკითხა ქალმა.

– ეგ არ მითქვამს. დიდი ხნის წინ ჩევენი ხელები უშიშრად ეხებოდა ერთმანეთს... ჩევენს გულებში ანთებული ნაპერწკალი თვალებში ცეცხლის ალივით ირეკლებოდა...

შენ ჯერ კიდევ ბავშვი იყავი, ლიცეუმში სწავლობდი; მე გიამბე, როგორ ვისილე ღმერთი: ბალში ვიჯექი. მზე ჯერ არ ამოსულიყო. ჰორიზონტს გავცეკეროდი... ქალაქის თავზე კაშვაშა სინათლის სხივებში გახვეული მთა მოცურავდა; ნელ-ნელა მიახლოვდებოდა... თან თითქოს ძალიან ახლოს იყო ჩემთან, თან მიუწვდომლად შორს... უცებ მთელი გარემო ნათელ ფერებში გაეხვია; თვალისმომჯრელი სინათლე გაიშალა, მთელი ქალაქი მოიცვა... მთა თანდათან დაპატარავდა, დადნა... ღმერთი სინათლედ მოეფინა არემარეს. ქალაქთან ერთად მეც ჩამიხვია. მე თითქოს გავიზარდე. დაპატარავებული, დამდნარი მთა კი ჩემ ფეხებეშ ოქროსფერ სხივებად დაიღვარა... გამომეღვიძა, ერთიანად ვკანკალებდი...

სიზმარი რომ მოგიყევი, შეგეშინდა. ქალის სახეზე არსებული ნაოჭები სადღაც გამქრალიყო; თითქოს მის ადგილზე სხვა, ოცდაათი წლის წინანდელი გოგონა იჯდა. კაცმა დაუფიქრებლად გაუწოდა ხელი. ქალი მის თბილ, ძლიერ, საიმედო ხელს შეეხო...

— ჰო, შემეშინდა, რადგან მეც ვიხილე ღმერთი... მაშინ ვერ გიამბე, ახლა მოგიყვები: — საშუალო სკოლაში ვსწავლობდი. ერთ ლამეს ჩვეულებრივად დავიძინე... თეთრი შუქით გასხივოსნებულ მარმარილოს გზაზე მივდიოდი. ბამბის გროვასავით რბილი და ფუმფულა მარმარილოთი იყო დაფარული მთელი არე-მარე... შორიდან ლოცვის უცნაური, არამიწიერი ხმა შემომესმა; ხმა ძაფის გორგალივით იშლებოდა, ერთი ბოლო-დან მაღლა-მაღლა მიიწევდა და ცაში გროვდებოდა... უცებ თვალისმომჭრელ-მა შუქმა ტალღასავით გადაიარა; ცაზე გამოჩნდა გასხივოსნებული სახე, რომლის მსგავსი არასოდეს მინახავს. მეღმერთი ვარ, შვილო, ნუ გეშინიაო, მითხრა.

კაცის მუჭში მოქცეული ქალის ნაზი ხელი უცნაური ცეცხლით იწვოდა.

— შენში ანთებული მოელვარე შუქი

რომ დავინახე, ჩემს უსუსურობას მივხვდი...

— როგორ შემცდარხარ! — წამოიძახა კაცმა — ჩემში არსებულ სხივს შენ მატებდი ძალას...

ქალი შეცპა... ამომწურავი პასუხი მიიღო კითხვაზე, რომელიც ოცი წლის წინ მოსცენებას არ აძლევდა. ამ პასუხმა თითქოს უცებ დააბერა. კაცმა ხელის გაშვება დააპირა. ქალმა არ დაანება:

— შენი ხელი ახლაც ისეთივე საჭიროა ჩემთვის, როგორც ადრე...

ერთხანს მდუმარედ ისხდნენ. ზღვის ტალღების ხმაური ღამის მყუდროებას არღვევდა... იქ, სადაც ზღვა ცას უერთდებოდა, შავი ღრუბლები ირეოდა; მთვარე ღრუბლებიდან თავის დაღწევას ცდილობდა...

— მთვარე ამოდის... დაიგვიანა, მაგრამ მაინც ლამაზად ამოდის, — ჩაილაპარაკა ქალმა.

კაცმა მთვარეს შეხედა... ზღვა და სიბნელე თითქოს მდუმარებაში ჩაკარგულიყო. მთვარე ბედნიერ ღიმილს წააგვდა... ქალმა მეორე ხელიც გაუწოდა კაცს; შუქურის სხივმა ქალს სახეზე გადაურბინა და ნაოჭებად დარჩენილი ოცი წლის ნაკვალევი ერთიანად წაშალა...

თურქულიდან თარგმნა  
ნინო გორგაძე

## თურქული პოეზია

**რიფათ ილგაზი  
(1911-1993)**

დავლიოთ!

ისევ ერთად ვართ,  
ვისზეც ვწუხდით, გვენატრებოდა,  
ვინც გადაურჩა გადასახლებას,  
ან სატუსალო ახლა დატოვა.  
ფულს, სანოვაგეს სად ვშოულობთ,  
ნურვინ იკითხავს,  
არც კარგ განწყობას არ ვუჩივით,  
ვიწყებთ მოლხენას.  
საუკეთესო ღვინო დავდგათ დღეს მაგიდაზე!  
სუფრა ავავსოთ ნაირ-ნაირ  
ხემს-პურმარილით,  
არ მორიგეობს ჩვენს საკანში  
გუშაგი ციხის,  
რკინის გისოსებს დღეს  
არ ადევს მძიმე კლიტენი.  
მონატრებულნი ახლობლების და  
დღის სინათლის  
მოვედოთ ქუჩას უბორკილოდ,  
ხელჩაკიდებით,  
ბოლო მოვულოთ მარტოობას,  
ასე რომ გვტანჯავს,  
შევიგრძნოთ ყველამ — „ლამაზი  
დღენი გზაზეა, მოდის“  
თუმც რა იქნება მომავალში, არავინ იცის.  
იქნებ კიდევაც მოგვეთხოვოს  
პასუხი მალე.  
სიმხიარულე და ხალისიც  
დასჯადი იყოს  
და ამიტომაც ნუ  
დავკარგავთ  
დროს უძვირფასესს.  
ავავსოთ ღვინით  
ბოლო ჭიქა,  
დავლიოთ გულით,  
განშორებისას გადავკოცნოთ ჩვენ ერთმანეთი!

**ოქტაი რიფათი  
(1914-1988)**

**ბოლო სიტყვა**

ფასი იცოდე იმ ნაკადულის,  
ყელში რაკრაკით წყურვილს რომ გიკლავს.  
ზურგს ნუ შეაქცევ ცისა სილურჯეს,  
შენი ფანჯრიდან უცქირე დიდხანს.  
ფასი იცოდე ნუშის ყვავილის,  
ბალში თეთრად რომ გადაიფურჩქნა.  
მზიან ოთახის იცოდე ფასი,  
არ გაუბრაზდე ჭუჭყიან ქუჩას.  
ფასი იცოდე თეთრის და შავის,  
ვარდისფერ, მწვანის  
და ყველა ფერის, რომელსაც იცნობ;  
გული სიცოცხლით როცა ივსება,  
ძლიერი ცემის სიხარულს იგრძნობს,  
ქარი დაბერავს ალვის ჭალაში,  
ხან წყენა მოვა, ხან მრისხანება,  
ხან აენთება, დაიწყებს ბრძოლას,  
ხანაც ანაზდად დაშოშმინდება.  
შიშით ავსებულ ამ სიხარულის  
და მრისხანების იცოდე ფასი,  
ფასი იცოდე სითბოს და მზისა,  
მზე ცოცხლებს ათბობს,  
გრძელდება უამი.

**ორჰან ველი ქანიქი  
(1914-1950)**

მუქთი

მუქთია ჩვენი ცხოვრება, მუქთი,  
ჰაერი – მუქთი, ღრუბელი – მუქთი;  
ეს მთა და ბორცვი, წვიმა, ტალახი  
მუქთია, ძმებო, არა აქვს ფასი.  
გარედან გინდა მანქანის ნახვა?  
ან კინოთეატრს უნახო კარი?  
მძიმე ვიტრინებს უცქირო შუშის?  
მუქთია, მიდი! არც მას აქვს ფასი.  
ყველის და პურის რა მოგახსენოთ,  
ფასიანია, არ არის მუქთი,  
წყალი მწარეა? თან უვარგისი?  
მიირთვი მუქთად! არაფერს იხდი.  
თავისუფლება?! ცხვრის თავად ფასობს,  
ტყვეობა მუქთი და უფასოა,  
მუქთია, ძმებო, ეს მთა და ბორცვი.  
მუქთია ჩვენი ცხოვრება, მუქთი.

მე ვუსმენ სტამბოლს

თვალდახუჭული მე ვუსმენ სტამბოლს.  
ჯერ ნაზი სიო დაპბერავს წყნარად,  
აახმაურებს ხეებზე ფოთლებს  
და წყლის გამყიდვლის ეჟვნების ხმას მოიტანს ზარად.  
მე ვუსმენ სტამბოლს თვალდახუჭული.  
თვალდახუჭული მე ვუსმენ სტამბოლს,  
ცის გუმბათიდან ხმა ჩამესმა ფრინველთა გუნდის;  
მებადურებმა ბადეები ჩაყარეს ზღვაში.  
ლამაზმა ქალმა შიშველი ფეხი ჩაყო ბოსფორში.  
მე ვუსმენ სტამბოლს თვალდახუჭული,  
თვალდახუჭული მე ვუსმენ სტამბოლს.  
აქეთ სიგრილე დახურულ ბაზრის,  
იქით ხმაური მაპმუთფაზე,  
მტრედებით სავსე ლამაზი ეზო,  
ვკრთები გემთმშენის ჩაქუჩის ხმაზე,  
ფერად გაზაფხულს მოჰყვება სიო,  
ოდნავი ოფლის შევიგრძენ სუნი.  
მე ვუსმენ სტამბოლს თვალდახუჭული.

თვალდახუჭული მე ვუსმენ სტამბოლს.  
 სიმთვრალე მახსოვს ძველი დროების,  
 ერთი სასახლე ბოსფორის პირას;  
 სამხრეთის ქარის ზუზუნი ისმის  
 იმ ნახევრად ბნელ ნავსაყუდელში.  
 მე ვუსმენ სტამბოლს თვალდახუჭული,  
 თვალდახუჭული მე ვუსმენ სტამბოლს.  
 მე ერთ ბანოვანს მოვკარი თვალი,  
 გადადიოდა ის ქვაფენილზე,  
 ძლიერ ლამაზი, უდავოდ ნაზი  
 და მესმის უცებ მის მისამართით  
 ნათქვამი ლექსი და შაირები,  
 კორიანტელი ლანძლვის, გინების;  
 მას გაუვარდა ხელიდან რაღაც;  
 ყოფილა თურმე წითელი ვარდი.  
 მე ვუსმენ სტამბოლს თვალდახუჭული,  
 თვალდახუჭული მე ვუსმენ სტამბოლს.  
 შენს გრძელ კალთებში ფრთხიალებს ჩიტი,  
 ნეტავი ახლა მაგრძნობინა სითბო შუბლისა  
 და შენი სველი ტუჩებისა დავტკბე შეხებით.  
 ბადრი მთვარეა, რომ ამოდის ხეების იქით;  
 ასე ძალუმად რომ აძგერდა, გულია შენი.  
 მე ვუსმენ სტამბოლს თვალდახუჭული,  
 თვალდახუჭული მე ვუსმენ სტამბოლს.

### თვითმკვლელობა

ისე მოვკვდები, რომ ვერავინ ვერაფერს მიხვდეს.  
 ტუჩებზე უნდა გამომიჩნდეს სისხლის წვეთები.  
 ვინც არ მიცნობდა, დე, ეგონოს, ძლიერ მიყვარდა  
 და ვინც მიცნობდა, თქვას, ეწამა სიღარიბეში.  
 ამ თვითმკვლელობის ამბავს მაინც არვის გავუმხელ,  
 ამის მიზეზი მაინც დარჩება ამოუცნობი.

## რაღაც სასმელის მსგავსი

სასმელის სუნით გაჟღენთილა თითქოს ამინდი,  
საკმარისია, რომ დაითროს ადამიანი  
და თუ შორსაა ის არსება, ვინც ენატრება,  
ეს სიზარხოშე ამ დარდისგან ვერ უმკურნალებს.  
სასმელის სუნით გაჟღენთილა თითქოს ამინდი,  
ღვინოზე უფრო ადამიანს ახლა ეს ათრობს.

## განშორება

ზღვაში გასულ გემს  
მე ვუმზერდი გაშტერებული.  
წყალში დახრჩობას არ ვაპირებდი,  
ეს სიცოცხლე ხომ მშვენიერია  
და რადგანაც ვიყავი კაცი,  
მე ტირილითაც არ მიტირია.

## შორს არა ვარ

არც ისე შორს ვარ, იცოდე, შენგან.  
ნეტავ ხედავდნენ შენი თვალები,  
მე შენს მზერაში, შენზე ახლოს ვარ,  
ვცოცხლობ შენს ყოველ გულის ფეთქვაში.

## რაღაც ხდება

ნეტავი ასეთი ლამაზია ეს ზღვა ყოველდღე?  
ან ცის გუმბათი სულ ასეთი მიმზიდველია?  
ასე ლამაზი როგორ არის ყველა საგანი?  
ან ეს ფანჯარა ნუთუ ასე მშვენიერია?  
არა, ძმობილო, არ არსებობს, ვიფიცებ უფალს,  
მაინც მგონია, უცნაური რაღაცა ხდება.

### აზიზ ნესინი (1915-1995)

#### ყველაზე ლამაზი

ეს მუზეუმი მაშინ მაოცებს,  
თუ ჩვენ დარბაზში ორნი ვართ ისევ.  
ამ ინტერიერს სიცარიელე უხდება მაშინ,  
როცა გაკოცებ.  
ეს რაქიც, კარგო, ამართლებს მაშინ,  
თუ მას ჭაშნიკსაც ერთად გავუგებთ.  
ჩვენ გარშემო კი ვინც გინდა, იდგეს,  
რაქიან ტუჩებს ამბორზე ვიწვევ  
და ეს სამყაროც, ვფიცავარ ზეცას,  
მშვენიერია, ერთად ვართ როცა.  
ამ სილამაზეს მაშინ აქვს ფასი,  
როცა ხარ ჩემთან, ტურფა და ნაზი.

#### მონაცემები

ბევრი მალოდინე, ბევრი მალოდინე.  
ლოდინს მიმაჩვიე ლოდინით შენით.  
მერე დაბრუნდი დიდი ხნის შემდეგ.  
მივხვდი, მონატრება უფრო მიყვარს,  
ვიდრე შენ თურმე.

#### ამაღლ

არ მყავხარ გვერდით, ამაოდ მოდის წვეთები წვიმის.  
ჩვენ ვერასოდეს ერთად მყოფნი ვერ დავსველდებით.  
ტყუილად ხმაურობს ეს მდინარე ხელი რითმებით.  
ჩვენ მის ნაპირზე მის გიუურ ხმას ვერ მოვუსმენდით.  
ო, რამხელაზე გაწელილა სავალი გზები,  
თავს ნუ იღლიან, ჩვენ ამ გზაზე ერთად ვერ ვივლით.  
რა განშორება ან რა გაყრა სადღაც შორეთში,  
ჩვენ ვერ ვიტირებთ ერთმანეთის მონატრებისთვის,  
ვხვდები, ამაოდ შემიყვარდი, ამაოდ ვცხოვრობ,  
რადგან ვერასდროს ამ ცხოვრებას ვერ გავიყოფდით.

### დამელოდე

„შენ აქ დარჩი“ — დამელოდეო,  
მან წასვლისას დამიბარა.  
არ დაველოდე.  
არც ის მოვიდა.  
ეს მოვლენა  
რაღაცით სიკედილს ჰგავდა.  
არავინ მოკვდა — საოცრებაა.

### სამყაროს უკმარისობა

ლამის სხეული დატოვოს გულმა,  
ჩემმა სხეულმა — ოთახი ჩემი.  
ჩემი ოთახი ვერ ეტევა სახლის ფორმატში,  
ხოლო სახლისთვის ვიწრო გახდა მსოფლიო მთელი.  
ვატყობ, სამყარო ვერ ეტევა გალაქტიკაში  
და ლამისაა, მეც ავფეთქდე ბოლომდე თითქოს,  
ჩემი ტკივილის ტკივილითვე დავმუნჯებულვარ,  
ეს დამუნჯება ცას გასცილდა, ავარდა ზეცას.  
როგორ მოგითხროთ ეს ტკივილი? გავოცებულვარ.  
არ ყოფნის გული ამ სიყვარულს, არ ყოფნის სევდას.  
ვატყობ, ტვინისთვის ვიწრო გახდა ეს თავის ქალა  
და საფეთქლები თითქოს დასკდნენ ტკივილისაგან.  
მივხვდი, ყველაფერს უკვე მივხვდი, მაგრამ ვერასდროს  
ვერ მოვუყვები მე ვერავის, თუ რა გადამხდა.

**მელიჳ ჯევდეთ ანდაი  
(1915-2002)**

**პეღურა**

მიმზერ სარეცხის თოკიდან  
და გებრალები ალბათ.  
ჩემო პატარა ბეღურა,  
შენსავით ფრთები არ მაქვს.  
თეთრი ფოთლების ფონზე  
ამობრწყინდება მზე.  
მე შენს სილალეს ვნახავ,  
შენი გაფრენის დღეს.

**სიცრუე**

ლამაზ დღეების გავხდი პოეტი,  
ბედნიერება მოაფრენს მუზას.  
გოგონებს ვუთხრობ მზითვის შესახებ,  
და ამნისტიას ვპირდები ტუსალს.  
„ფრონტიდან მამა დაგიბრუნდებათ“,  
მე სიტყვას ვაძლევ ბავშვსა და მოზარდს.  
ძნელი ყოფილა ცხოვრება ასე,  
ტყუილს რომ ვამბობ, ვწუხვარ და ვშფოთავ.

**ოზდემირ ასაფი  
(1923-1981)**

**ლავინია**

მე შენ ვერ გეტყვი, რომ დარჩე ჩემთან.  
ვხედავ, რომ გცივა, პიჯაკს გათხოვებ.  
რა კარგი დროა, დრო ერთად ყოფნის,  
იცოდე, ამ დროს ვერ მიგატოვებ.  
მე შენ ვერ გეტყვი, რომ დარჩე ჩემთან.  
ანი შენ იცი, როგორ მოიქცე.  
მხოლოდ სიმართლეს თუ მოგიყვები,  
მე შენ ტყუილით ვერ გაგაბრუებ.  
მე შენ ვერ გეტყვი, ნუ წახვალ, კარგო,  
გთხოვ, ლავინია, ნუ მიმატოვებ.  
შენს სახელს შენგან დავმალავ ისევ,  
ნუ წახვალ, დარჩი, ჩემო საუნჯევ!

ათილა ილჰანი  
(1925-2005)

მარტობის ლექსი

ასე რად მიპყრობს, რად მაგიუებს წყვდიადი ღამის?!  
ეს ვარსკვლავები ფიქრებივით მტევან-მტევან ცაზე ჰქიდია,  
შორს გავიხედავ, მთის მწვერვალი მოჩანს ღამეში,  
მეც ამ მთასავით მარტობა დამჩემებია.  
თითქოს წვეთებად იცლებიან ყვავილნი ღამის,  
სკოლის სიმღერას ლილინებენ ტუჩინი ანაზდად,  
ხელს ვაფათურებ სიბნელეში, დავკარგე თითქოს,  
ჩემი თვალები ეძებს შენსას, ნეტავ სადა ხარ?!

**უმით იაშარ ოლუზვანი  
(1926-1984)**

**შენთან ერთად მოვკვდე მინდა**

მოდი, ჩემო ერთადერთო,  
აქ სახლია მონადირის,  
მუხლებამდე თოვლი დევს და  
ქარი უსტვენს გასაკვირი.  
ბუხრის ცეცხლთან გავთბეთ ერთად,  
შევაერთოთ სხეულები.  
დათვის ტყავზე წოლას რა სჯობს!  
იატაკზე მიდის, მოდის.  
დაგიკოცნი მისხალ-მისხალ  
მაგ სხეულის ყველა კუნჭულს,  
ისე მაგრად ჩაგიხუტებ,  
რომ სიკვდილსაც ვეღარ იგრძნობ.  
დავიხოცოთ ერთად ასე,  
წლებმა გაირბინონ სწრაფად.  
გვიპოვიან უხორცოებს,  
ჩონჩხებშეკრულს ერთად, მაგრად.  
მსურს, რომ შენი სუნთქვა ვიგრძნო,  
მოდი, ჩემო ერთადერთო!  
შენთან ერთად მინდა ყოფნა,  
რომ სიკვდილიც ერთად გვერგოს!

## ჯემალ სურეია (1931-1990)

\*\*\*

წითელ ჩიტივით ვფართხალებ, ვსუნთქავ.  
ხორბლისფერ ცას ჰგავს ნაწნავი შენი,  
ჩაგეხუტები მე უსაშველოდ  
და შენი გრძელი ფეხებით ვტკბები.  
წითელ რაშივით ლალადა ვსუნთქავ,  
სახეზე ალმურს წამიერს ვიგრძნობ,  
უნდა მოვასწროთ ჩვენ სიყვარული;  
ყარიბს ვინ მისცა ლამით დიდი დრო.

### ვარდი

ვგრძნობ, ყოველ ღამეს თავიდან ვკვდები,  
ცხელი ცრემლებით ვასველებ ვარდნარს.  
მე ვეღარც წარსულს ვეღარ ვიხსენებ,  
ხვალ რა იქნება?! არ ვიცი, არა!  
ღამით ვგრძნობ, ნელა როგორ ვიცლები,  
მე შენს თვალებში ვპოულობ ძალას,  
დილამდე ხარბად შენს ხელებს ვკოცნი,  
უთეთრესს, სპეტაკს პირველ თოვლივით.  
მატარებელი საცაა, გავა.  
მე მეშინია ამ სითეთრესი.  
ვეღარ ვპოულობ მე ბოლო სადგურს,  
აღარ ვინძრევი, ადგილზე ვრჩები.  
ქუჩაში ყრია ვარდის ფურცლები,  
ავერეფ, მივიდებ დაღლილ სახეზე;  
თითქოს წამერთვა მკლავებში ძალა,  
მაინც მივიწევ ჩემი ქალისკენ.  
უცებ ჩამესმის ხმა ყიამეთის,  
ხმა სისხლით სავსე დოლის და ზურნის,  
ამ ომახიან სიმღერას ბოშის  
ვერ გაიგონებ იქ, სამოთხეშიც.

**ულქუ თამერი**  
**(დაიბ. 1937)**

ღმერთი

ეძღვნება პოეტ ჯემალ სურეიას

ათასმეურთე ღამეს შექმნა ღმერთმა პოეტი.  
 ათასმეორე ღამეს შექმნა ჩვენი ჯემალი.  
 ათასმესამე ღამეს იწყო ლექსების კითხვა.  
 მიხვდა, რომ ღირდა მობრუნება და შექმნა ქალი.

მზის სხივები შემიგროვე

დილის ნიავო, გაიჭერ მთებში  
 და შემიგროვე მზის სხივნათელი,  
 გთხოვ, რომ მოედო ოთხივე კუთხეს  
 და შემიგროვო მზის სხივნათელი.  
 ხელი ჩაჰკიდე იმედის ღრუბელს,  
 სატრფოს შავ ნამნამს ჩამოუქროლე!  
 მკერდში დაჭრილებს მიეცი შვება  
 და მზის სხივები მე შემიგროვე!  
 ღამით მიჯნურთა თვალებიდან მიიღე ძალა,  
 ცაში ფრინველთა ნაკვალევზე აფრინდი მყისვე,  
 რომც არ ანათოს უკუნ ღამით მზემ დალოცვილმა,  
 მისი ნათელი ღამით მაინც შენ შემიგროვე!

ათაოლ ბეჭრამოღლუ  
(დაიბ. 1942)

30 იანვარი 2018 სახეს დედისას

ვეღარ ვიხსენებ სახეს დედისას,  
მის ხმასაც უკვე ვეღარ ვიხსენებ.  
რა ვუყო ამ გულს, სავსეს ტკივილით,  
რით ვუმკურნალო, რით ვანუგეშო?  
ვეღარც მის ლიმილს ვიხსენებ ახლა,  
ვეღარც მის ტირილს და მოფერებას,  
მოგონებები საბანში მახვევს,  
თითქოს ბიჭი ვარ სულ ერთი ციდა.  
ვეღარც მის ხელებს ვეღარ ვიხსენებ,  
ვერც თვალების ფერს და ვერც მის მზერას,  
გამხმარ ბალახის სურნელს მოიტანს  
ქარი წვიმის დროს, მე ასე მჯერა.

**ქუჩიუქ ისქენდერი  
(1964-2019)**

**აღარ მაქვს გული**

შენზე ტირილში მე ვიგრძენი, გამქრალა გული.  
არც მაშინ მქონდა, შენზე ფიქრში ვიყავი როცა  
და როცა შენზე ყველა შემხვედრს ვუთხრობდი რამეს,  
მაშინაც ვიგრძენ, რომ ეს გული აღარა მქონდა.  
არც სიზმრების დროს, როცა გხედავ, არ ფეთქავს გული.  
მოხდა ის, რაზეც ოცნებობდი დღისით და ღამით.  
ჰო, აგისრულდა ის ოცნება ნანატრი შენი,  
ის, რაც გეწადა, შეგისრულდა, გამიქრა გული.  
ასე მგონია, ბავშვს მივუგდე მე სათამაშოდ,  
ანდა ძვალივით გადავუგდე ქუჩაში ავ ძალლს,  
მე ჩემი გული კრამიტივით ვისროლე წყალში გაქრა.  
ჰო, აგისრულე ის ოცნება, ნანატრი შენი,  
ის, რაც გეწადა, შეგისრულე, აღარ მაქვს გული!

თურქულიდან თარგმნა  
**ტარიელ ლებანიძემ**

სომხური ლიტერატურა





დეიდები და ბებია ერთმანეთის მიყოლებით მოვიდნენ, გაინაწილეს დედაჩემის უშობელი შვილის დაკარგვის შიში და რადგან უბრალო სოფლელი დედაკაცები იყვნენ, იტირეს, რომ დამშვიდებულიყვნენ. ბაბუაჩემმა დაუკრძალავი ქელები გადაიხადა, რათა თავის ქალიშვილებში ჩაბუდებული შიში განედევნა და უშვილობა აეცილებინა. და აიცილა...

მე სინამდვილეში ჩემი ცნობილი გარდაცვალებიდან სამი წლის შემდეგ დავიბადე. როგორც კი გავჩნდი, დედაჩემმა მაშინვე მიცნო: „ვაი, დამევსოს თვალები, ეს ხომ ჩემი ნანახი კიკოსია, თვალები, პირი, შუბლი, ცხვირი... ვაი, კიკოს ჯან!“ დეიდები და ბებიაჩემმი მდუმარედ დაეთანხმნენ, რადგან მათაც მნახეს და დარწმუნებულები იყვნენ, რომ მე ვიყავი – კიკოსი. ამის შესახებ შემდეგ ბებიაჩემმა მიამბო, მითხრა, ბაბუაშენმა ჩხუბი, აყალმაყალი ატეხა, როგორ არქმევთ ახალშობილს გარდაცვლილის სახელსო, გვარწმუნებდა, რომ მე მე არ ვარ, უბრალოდ, ძმები ვართ, ვგავართ, მაგრამ ქალები ურყევ რწმენაზე დარჩნენ.

ჩემი სიკვდილი ჩვენს სოფელში რეალური შემთხვევა იყო, ყველამ იცოდა, ახსოვდათ, თუ როგორ გამომიგლოვეს ჩვენებმა უცხედროდ და უსაფლავოდ, მაგრამ რადგან ბაბუაჩემი ხელმოკლე, მშრომელი და სამართლიანი კაცი იყო, პირში არ დასცინოდნენ, ჩემს ქელებშიც მთელი სოფელი მოვიდა. ამბობენ, ამ ამბავს მერე ჩვენი სოფლიდან ერთი კაცი ქალაქის ბაზარში მოჰყვა და ასე მივიდა თუმანიანის ყურამდეო.

მე ძალიან პატარა ვიყავი, ბებიაჩემმა პირველად რომ მიამბო ჩემი გარდაცვალების ამბავი. არც შემშინებია, არც მიტირია, უბრალოდ, არ დავუჯერე, ვიფიქრე, ვიცელექ და მსჯიან-მეთქი. მაგრამ ბებიაჩემის სიტყვები სამუდამოდ

ჩამრჩა მეხსიერებაში.

– ამიტომაც, კიკოს ჯან, შენთვის ხეზე ასვლა არ შეიძლება, რომ ახვიდე და ჩამოვარდე, ყველანი დავიხოცებით დარდით.

არ მახსოვს, წყაროსთან პირველად როგორ აღმოვჩნდი, მაგრამ მახსოვს, რომ ბაბუაჩემი წყალზე არ მაგზავნიდა, აკრძალული ადგილი იყო. ანუ ჩემი წყაროზე წასვლა არ მახსოვს, მაგრამ ბავშვებთან ერთად იქ ნამდვილად ვიყავი. ალბათ, ბერკაკალა ისეთი მაღალი და მიუწვდომელი იყო, რომ ასვლაც არ მიცდია. მხოლოდ ის მახსოვს კარგად, როგორ გაიგეს სახლში ეს ამბავი და როგორ გამტყიცეს.

უკვე სკოლის მოსწავლე ვიყავი: ჩემი სიკვდილის სწავლა დაგვავალეს, მაგრამ მე დიდი ხანია ზეპირად ვიცოდი. მასწავლებელმა მკითხა:

- კიკოს, შენი სიკვდილი ისწავლე?
- კი.
- აბა, მოჰყევი.

მხიარულად წარმოვთქვამ. ვამბობ – „ქუდი ჩაჩიანი“ და ხელით ვაჩვენებ ჩემ წინ დადებულ ქუდს მტკიცებულების სახით. მივადექი დედაჩემის ქვითინს – „ვაი, კიკოს ჯან, ვაი...“ და ტირილმა ყელში მომიჭირა. ცრემლს ვყლაპავ, მაგრამ არ იყლაპება, ქვითინი მოვრთე. ბავშვები ახარხარდნენ (ვერც მასწავლებელმა შეიკავა თავი...), – ბავშვებს აჲყვა და სიცილით გაიგუდა. და დაიწყო. იმ დღიდან სიმშვიდეს და მოსვენებას ველარ ველირსე, სოფლის ყველა ბავშვი მომძახოდა ხოლმე, შედარებით გამბედავები გზას მიჭრიდნენ, ქალივით მუხლზე ირტყამდნენ ხელებს და დედაჩემს აჯავრებდნენ: „ვაი, შვილო ჯან...“ ვჩხუბოდი, ტანსაცმელშემოხეული მოვდიოდი სახლში. ბებიაჩემი ჩუმად მხდიდა, მანონს მაძლევდა, რომ მეჭამა, თვითონ კი

ათასჯერ დაკემსილ ტანსაცმელს ისევ კემსავდა. განსაკუთრებით მაშინ ვბრაზობდი, როცა ჩემი ახლო მეგობრები დამცინოდნენ. ვთამაშობდით ერთად, გვიყვარდა ერთმანეთი, შუღლი არ იყო, მაგრამ უცებ ვიღაცას ახსენდებოდა „ვი, კიუოს ჯან...“, და უკლებლივ ყველა კისკისს იწყებდა. თავს ძლივს ვიკავებდი, გავრბოდი ბებიაჩემის კალთისკენ და ვტიროდი, ჩუმად, ბაბუას რომ არ დაენახა, რადგან არ უყვარდა ბავშვის ტირილი სახლში. ასეთ დროს ბებიაჩემი ამბობდა: „ერთი ჭოკი რა იყო, რომ არ დავმარხეთ, ბავშვს ასე მწარედ რომ არ ეტირაო“. ამასაც ჰქონდა ისტორია, მეზობელი სოფლიდან ერთი პატარძალი სიზმარში სულ კარგავდა ბავშვს, სანამ ქმარმა ერთი შეშის ნაპობისგან თოჯინა არ გამოჭრა. ჩააცვეს-დაახურეს, პატარა კუბოში ჩადეს, წაიღეს და დამარხეს. ამის შემდეგ იმ ქალს შვიდი ვაჟი და ხუთი გოგო შეეძინა. ბებიაჩემი კიდევ იმას ამბობდა, ნეტავ ამქვეყნად ასეთი ბავშვი კიდევ თუ არსებობს, საკუთარი თავი ასე რომ გამოეტიროს?

იმ წელს სკოლაში ჩემს სიკვდილს რომ გავდიოდით, ჩვენს სახლში ერთი რეალური სიკვდილი მოვიდა, მამაჩემი მოკვდა. მწყემსი ზედსიძე, ძალიან ლამაზი კაცი იყო, სალამურს მიკეთებდა, ზოგჯერ მთაშიც მივყავდი ხოლმე. სწორედ მთაში ერთი გზაბნეული ცხვრის გამო წავიდა და მგლის ლუკმად იქცა (უკაცრავად, ამაზე ლამაზი ვერაფერი მოვიფიქრე, ეს გმირი ზედმეტი იყო. ავტ. ა.ო.).

მახსოვს, მამაჩემის რეალური სიკვდილი და ჩემი არარეალური სიკვდილი ერთმანეთს მიემატნენ, ძალიან მძიმედ განვიცდიდი.

სიზმარი ვნახე. მთვარიან ლამეში წყაროსთან ვარ, ერთი ციდა ბავშვი. ფეხზე ფისი-ფისის თბილი ჭავლი მოე-

დინება და წყაროში ჩადის. ვიცი, რომ ცუდად ვიქცევი, ამის თან მეშინია, თან რაღაცნაირად კარგად ვგრძნობ თავს. ფისი-ფისი არ მელევა, მოდის და მოდის. თბილი ფისი-ფისი წყაროს ცივ წყალს ერევა, წელამდე ამოდის და ზეს-ვლას აგრძელებს. წყალი კისრამდე მწვდება, ცოტაც და პირში ჩამესხმება, დავიხრჩობი. ხელებს წყლიდან ზევით ვწევ ისე, თითქოს დახმარებას ვითხოვდე. და უცებ ბერკაკალას ტოტები იხრებიან, მკლავებში მკიდებენ ხელს და აქეთ-იქით მაქანავებენ, ზევით მისვრიან. მივფრინავ, მთვარემდე ვალწევ, ვვარდები, ტოტები მეხვევიან და ისევ ჰაერში მისვრიან. და უცებ ჩხრორრრრრრრრრრ...

გავიღვიძე, ჩაფსმული ვიყავი. ჩაფსმა და ლამლამობით წამოხტომა დავიწყე.

გავიზარდე, თორმეტი-ცამეტი წლისაც ვიქნები, მაგრამ ჯერ ისევ ვიფსამ. სოფელში საიდუმლოს შენახვა შეუძლებელია, ხალხმა იცის, მაგრამ ხმას არ იღებს. ჩვენებიც არაფერს ამბობენ, ქვეშ რაღაც-რულაცებს მიფენენ, ლეიბი რომ არ დამისველდეს. დარწმუნებული ვარ, რომ გიჟი ვარ, ავადმყოფი ვარ და ჩემნაირი არავინაა მთელ მსოფლიოში. გულჩათხრობილი გავხდი და ხმები მესმის მთვარიან ლამებში. არ ვიძინებ, რომ არ ჩავიფსა. ბერკაკალა თავისთან მეძახის. მეშინია. არ შეიძლება, დედაჩემი გაიგებს, ბებიაჩემი, დეიდები გაიგებენ, ბაბუაჩემი გაიგებს და ყველა დარდით დაიხოცება. მაგრამ ვერ ვძლებ. ჩუმ-ჩუმად გავრბივარ წყაროსთან. მის წინ ვდგავარ და მაკანკალებს. ძილის გასაქარნყლებლად პირს წყაროს წყლით ვიბან, მაგრამ არც მეძინება, ძილს გაქარნყლება რომ სჭირდებოდეს. ქერქს ვეჭიდები. მბურძგლავს. ორი ნახტომით ავედი ხეზე, პირველ ტოტს ისე მარჯვედ ვტაცე ხელი, თითქოს მთელი

ცხოვრება ხიდან არ ჩამოვსულვარ. მოხერხებულად ვზივარ შეფოთლილ ტოტზე, ჩემი ჭკუით, თვალს ვატყუებ და ასე ვიძინებ.

სიზმარს ვხედავ. მთვარიან ღამეში წყაროსთან ვარ, გრილი სიოა, მაგრამ ვიწვი. გული მისკდება, ტანი მეწვის, ცხელებასავით. ძლივს ვაღწევ წყარომდე. თვალებს ვხუჭავ და პირს ვიბან. წყალს სახეზე ვისხამ, მკერდზე, მუცელზე, ფეხებზე. ვგრილდები. თვალებს ვახელ და ბერკაკალას უუყურებ. შეფოთლილი ტოტი ქარისგან შხუის, თითქოს მეუბნება, ბიჭი თუ ხარ, ადექი. ხელებზე ვიყურები – სისხლი. მკერდი, მუცელი, ფეხები მთლად დასისხლიანებული. წყლის ნაცვლად სისხლი მოედინება, წყაროს ქვა ერთ დიდ მფეთქავ ქვად გადაქცეულა, ბერკაკალას მიწიდან ამოსული ფესვები ძარღვებად ქცეულან და სვამენ თბილ წითელ სითხეს. ჩერრრრრრ...

ვიღვიძებ. ვამოწმებ, ჩაფსმული არ ვარ. ცხვირიდან სისხლი მდის.

ხიდან ჩამოვდივარ. ძალიან წარმატებულად, მალე გათენდება. სახლში გავრტივარ. ლოგინში ვწვები, თავს ვიმძინარებ, ვითომ ღრმად მძინავს. დედაჩემი მოდის, ხედავს – ჩაფსმული არ ვარ. გახარებულები არიან, ძალიან უხარიათ. იმ დღიდან აღარ ვიფსამ. ზოგჯერ ღამლამობით ჩუმად მივდივარ ბერკაკალასთან, ერთმანეთს ვეხვევით, ვიძინებთ, მაგრამ – საიდუმლოდ. იქამდე, სანამ მეზობლის ბიძა ღამით არ დამინახავს. მოდის და ჩვენებს უუბნება: „თქვენი კიკოსი მთვარეულია.“ ჩხუბი, აყალი მაყალი, ცემა-ტყეპა. ბაბუაჩემი ცოფდება, იქაფება და ვერ მშვიდდება: „მოჭრი, ძირში მოვჭრი...“, მაგრამ ბებიაჩემი არწმუნებს: „არ არის საჭირო, მთელი სოფელი გადაგვემტერება, ასწლოვანი ხეა, საწყალი ხის რა ბრალია, თავის-

თვის დგას, ჩვენს ბავშვს უნდა მასზე ასვლა...“ არ ჭრის, მაგრამ მე მაბამენ, დიდხანს ძალლივით დაბმულს მძინავს. დედაჩემს თვალი სულ ჩემზე უჭირავს, ხეზე რომ არ ავიდე შემთხვევით. ზოგჯერ ეს მავიწყდება, მაგრამ ხანდახან მთვარიან ღამებში ბერკაკალა მეძახის.

თხუთმეტი წლის ვარ, უკვე ულვაში მაქვს. ბებიაჩემი ამბობს, შენი დაქორწინების დროა. მთლად ახალ ქუდს მჩუქნიან. ჩაჩს ირიბად ვიხურავ, ძალიან მიხდება, ყველაზე ძვირფასი რამაა, რაც მაქვს. მინდორში მივდივარ და არც კი ვიცი, სად ვკარგავ ქუდს. მთელი დღე ვეძებ და სირცხვილი რომ არ იყოს, ვიტირებ, მაგრამ უკვე დიდი ვარ.

სიზმარს ვხედავ. მთვარიან ღამეს წყაროსთან ვარ, მაგრამ მე არ ვარ, უსხეულოდ ვლივლივებ, სული ვარ, ალბათ, და დედაჩემის ირგვლივ დავლივლივებ. დედა მოჯადოებულივით აჟყურებს ბერკაკალას, თვალით ეძებს ყველაზე მაღალ ტოტს. ვგრძნობ დედაჩემს, ვგრძნობ, რომ წყურვილი ახრჩობს, ტუჩები დამშრალი აქვს, მუხლები ეკვეთება და წყაროს პირთან იჩოქებს, ერთი ხელით ქვას ეყრდნობა, მეორით წყალს სვამს ყლუპებით. დედაჩემის მუცელში შევდივარ, ბნელა, ნესტია. ვმრგვალდები, სისხლად და ხორცად ვიქცევი, უკვე ვგრძნობ ჩემს სხეულს და ძალიან ჩქარა ვიზრდები. ადგილი მევიწროება, მოვმწიფი, უნდა გამოვიდე, ჩემ ირგვლივ რაღაც წყლებია, რაღაც ხმები, მაგრამ ბურუსში. ძლივს გამოვდივარ დღის სინათლეზე. დედაჩემისგან შორს ვარ. ის ბერკაკალას ჩახუტებია. ღრმად სუნთქავს და მშობიარობის ტკივილისგან გათავისუფლებას ცდილობს. მიყურებს და იღიმის. მე წყაროს ქვაზე ვაგდივარ, მაგრამ ვაგრძელებ გაზრდას. ცოტა ხნის წინ ახალშობილი ვიყავი, ახლა უკვე ერთი ათი წლის ვიქნები, ჭიპლარი იჭიმება

დედაჩემისგან ჩემკენ, ამ კაკლისკენ ვი-ხედები და დაკარგულ ქუდს ვხედავ – ტოტზე დაკიდებულს. ვდგები, დედაჩემს ვტოვებ და მაიმუნივით ხის კენწეროზე მივცოცავ. ჭიპლარი გრძელდება, იჭიმება და ხელს მიშლის, ქუდს რომ მივწვდე. კიდევ ვიჭიმები და ჭიპლარი წყდება, შრიალით ენარცხება წყაროში. ვუყურებ ჩემს ქუდს და ჩხრრრრრ...

ვიღვიძებ, სველი ვარ, მაგრამ ფისი არაა.

ჩემი ქუდი არ არის. ვეძებ მინდორველზე. ხმა მოვიდა, რომ ვიღაცამ ბოროტად გაიხუმრა და წაილო, ხის კენწეროზე დაკიდა. სახლში ისევ ჩხუბი, აყალმაყალი. პირველად ვუყვირი დედაჩემს: თუ გიყვარვარ, გამიშვი, წავიდე, ხეზე ავიდე, ჩემი ქუდი ჩამოვილო, როგორ უნდა ვიყო მთელი ცხოვრება ასე? მოთქმა დაიწყო, დეიდები მხარს უბამენ, ბებიაჩემი უცრემლოდ ქვითინებს. ვდგები და მივდივარ. ქალები წივილ-კივილით მომყვებიან. დედაჩემს ერთი წამით გული მისდის, მაგრამ არ ვუახლოვდები, შორიდან ვუყურებ, რომ მოასულიერონ და ისევ დავიძრათ ერთად, ჩვენ შორის ოციოდე ნაბიჯია დარჩენილი. მთელი სოფელი ჩუმად გვიყურებს, მაგრამ ახლოს არავინ არ მოდის. მივდივარ ბერკაკალასთან. ერთმანეთს ვუყურებთ. კბილებს ვაკრაჭუნებ, ტანი მიცახცახებს, ქუდი კენწეროზე ჩამოუკიდებიათ. თავს შებოჭილად ვგრძნობ, დლისით-მზისით ჩვენების თვალნინ რომ უნდა ავიდე ხეზე. ყურებში სულ ბებიაჩემის სიტყვები მესმის: „კიკოს ჯან, შენთვის ხეზე ასვლა არ შეიძლება, რომ ახვიდე და ჩამოვარდე, ყველანი დარდით დავიხოცებით.“ ნაჯახმომარჯვებული ბაბუაჩემი მუქარით მოდის. შენდა აკლდი, შეკოფაკო – ბებიაჩემი ელვის სისწრაფით

მისდევს ბაბუაჩემს. ბოლოს ბაბუაჩემი ქოშინით გვიახლოვდება დგას ჩემსა და ბერკაკალას შორის, ნაჯახი თავს ზემოთ აუწევია, მრისხანე გმირების როლების შემსრულებელ ჰრაჩია ნერსისიანივით.<sup>1</sup> უცებ ცრემლები ადგება, ცხოვრებაში პირველად ვხედავ ბაბუაჩემის ნამიან თვალებს, ნაჯახს მიწაში ასობს, ხელს იქნევს და ხმის ამოუღებლად გვშორდება. დედაჩემიც, დეიდებიც მოვიდნენ, მაგრამ არ მიახლოვდებიან. დედაჩემი ქვაზე ზის, დეიდები მცველებივით მის ზურგსუკან დგანან, ტირიან, ბებიაჩემი მუხლმოყრილია და თითქოს ლოცულობს.

მორჩა. თავი მივადე ბერკაკალას, ხელისგულებით ვეხები ხის ქერქს. ტირილს წყვეტენ. სუნთქვაშეკრულები მომჩერებიან. ავდივარ, გამბედაობა მიპრუნდება, ნახევარზე ავედი უკვე. ქვევით ვიყურები, დედაჩემს სახეზე ფერი არ ადევს, დეიდაჩემებს თვალებიდან მდინარეები სდით ჩუმად, ბებიაჩემი ჯერ თავჩახრილია. ბაბუაჩემიც არ ჩანს, ნამდვილად საიდანლაც ჩუმად მითვალთვალებს, მაგრამ რას ვხედავ? მოდიან, ოთხი მხრიდან მოდიან და მოდიან, დიდი და პატარა, ახალგაზრდა და მოხუცი და ყველანი კიკოსებად მეჩვენებიან, თუ მართლა კიკოსები არიან? არ მესმის. ბევრნი არიან. ყველა ქუდიანი, ყველა ჩაჩიანი, ჭიანჭველებივით შეესიენ ბერკაკალას და ადიან. ძალიან ბევრნი არიან, კიკოსთა ერთი დიდი უკანონო ჯარი. ტოტები სიმძიმისგან გადაიხარა, ბერკაკალა კიკოსების ქვეშ დახრილა, ამათგან რამდენიმე მწიფე კაკალივით ვარდება, დგებიან, მტვერს იბერტყავენ და ისევ ხეზე ადიან. ათასი კიკოსი ასულა ხის ზურგზე და ქუდებს ისვრიან ზემოდან ქვემოთ. მაგრამ თითქოს არ მეჩვენება: დედაჩემი, დეიდები, ბებიაჩემიც ხედა-

<sup>1</sup> სომეხი მსახიობი.

ვენ. ჩაჩების წვიმა ეცემათ თავზე და დედას ფერი უბრუნდება, დეიდების მდინარეები სიხარულისგან დიდდებიან. ბებიაჩემის ლოცვა დაუმთავრებელი რჩება, ხელს იქნევენ, ალბათ, არ იციან, ამდენი კიკოსიდან რომელია მათი. ქუ-დამდე ვალნევ, ვიღებ და ვყვირი:

- დე...
- ხო, შვილო ჯან!
- ქუდი დაიჭირე, ვაგდებ.
- ჩამოაგდე.

ჩამოაგდე, მაგრამ ვერ დავინახე, დაიჭირა თუ არა. ხმას მაწვდიან:

- კიკოს, შვილო...
- ხო, დე...
- ფრთხილად, შვილო, არ ჩამოვარ-დე, - და ტირის.

მეც მეტირება, ჩემს ბერკაკალას ვეხუტები და არ მესმის, ზღაპარი იყო, ცხოვრება იყო, სიზმარი იყო თუ ლიტე-რატურა?.. ვფიქრობ – ჩემო ღმერთო, ჰოვანეს თუმანიან, მე ჩემი ხის კენწე-როზე ვარ, სადაცაა სიხარულისგან მოვ-კვდები და კიკოსის მეორე სიკვდილი იქ-ნება. ამას ვინდა დაწერს?

სომხურიდან თარგმნა  
ასია დარბინიანმა

სპარსული ლიტერატურა



## ადურბანდ მაჰრასპანდანის ძის ანდერძი<sup>1</sup>

### ბრძნულ შეგონებათა თაიგული ("ანდერძთა" ძევლის გავრძელება)

როგორც უურნალის წინა ნომრებშიც აღინიშნა, ე. წ. „ანდერძთა წიგნი“ (პირობითი სათაური) წარმოადგენს სხვადასხვა დოკუმენტური თხზულების გაერთიანებას, რომელის-თვისაც საერთოა ძირითადი შინაარსი და მიმართულება: რჩევა—დარიგებანი, ანდერძები, შეგონებანი (ჰანდარზები), რელიგიური და ზნეობრივი მცნებები და ა. შ. ამიტომ ამ თხზულებებს სპეციალურ ლიტერატურაში ეწოდება, აგრეთვე, „მართალთა გზები“. პერსონაჟებს შორის რეალური ისტორიული პირებიც არიან (მათ შორის – ქურუმები). დაწერის დროც პირობითია, მაგრამ ცხადია საერთო ეპოქა: სასანიდური ირანის შედარებით მოგვიანო საუკუნეები და ძევლის (გაერთიანებულ თხზულებათა ხელნაწერის) მიყუთვნება ფალაური რელიგიური ლიტერატურისთვის. ესაა საშუალოსპარსული ენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძევლა—წყარო. ცალკეული თავების ავტორები, ისევე, როგორც მათი შემკვრელი პიროვნების სახელი, უცნობია. სამაგიეროდ, როგორც წინამდებარე თავში, ხშირად დასახელებულია თავად ჰანდარზთა ავტორთა, – ისტორიულად მოქმედ პირთა სახელები.

ეს რამდენიმე სიბრძნე სულმნათმა ადურბანდ მაჰრასპანდის ძემ გარდაცვალების წინ ხალხს დაუბარა. ასე დამოძლვრა: გახსოვდეთ და ამგვარად მოიქცით. ნუ მოიმარაგებთ დანაზოგებს, ვიდრე გაჭირვება არ გეწევათ, რადგან დაგროვილი მარაგი მცირედ გასაჭირსაც კი ვერ გასწვდება. გაზარდეთ ოდენ მართლმორწმუნეობის ღვაწლი და მართალთა საქმენი, რამეთუ ყველა დანაზოგიდან მხოლოდ ღვთისმოსაობაა ფასეული და ღირებული.

შურისძიებას ნუ ჩაიდებთ გულში, რათა მტრებმა თქვენმა არ დაგინყონ დევნა. და მოერიდეთ შურისძიებით მტერზე თავდასხმას, რადგან შეიძლება დასახირდეთ, მიიღოთ ზიანი და დაიღუპოთ. უფრთხილდით, ასევე, შურისძიებლობის აზრით გონების კვებას. ასე

რომ, ნუ ესხმით თავს მტერს შურისძიებით, რამეთუ ცნობილია: ვინც უმცირეს ბოროტებას დაივინყებს, აიცილებს უდიდეს შიშს ჩინვადის ხიდზე<sup>2</sup>, – ამ ტირილის ძრწოლით გადასასვლელ უღელტეხილზე!

გამოძიებისას სიმართლე ილაპარაკეთ! შედეგად სასამართლოში უფრო იოლად გამართლდებით. როგორც ცნობილია, ადამიანი მართალი ჩვენებით იქცევა მართალ კაცად, მაგრამ ხდება ცრუ, თუ სწორ ჩვენებებს არ იძლევა.

მიირთვით ზომიერად, რომ დღეგრძელი იყოთ. რამეთუ ზომიერი ჭამა-სმა ხორცს რგებს, ხოლო სიტყვით თავშეკავება – სულს. უღარიბესი, თავშეკავებული ზნის კაცი უმდიდრესია. სულზე მეტად იზრუნეთ, ვიდრე კუჭზე, რადგან ღორმუცელა კაცი, დიდწილად, გონებაა-

<sup>1</sup> ამ პიროვნების შეგონებათა ტექსტების ჩანერა მიენერება შაპურ მეორის ქურუმს.

<sup>2</sup> ჩინვადის ხიდი – საიქოში სულთა საშიში გადასასვლელი: ან ხსნა, ან დაღუპვა; სატირალია ეს გადასასვლელი ცოდვით დამძიმებულთათვის; ხიდი მაღალია და დიდებული, მის ქვეშ ცეცხლის მდინარე დუღს, მეორე ბოლოში კი სულს (მიცვალებულს) ელოდებიან, ერთი მხრივ, ანგელოზი, მეორე მხრივ კი – ავსული. (აქ და შემდგომ კომენტარები მთარგმნელის მიერაა შედგენილი).

რეულია და სულით მშფოთვარე.

ცოლი თქვენივე საგვარეულოდან შეირთეთ, რათა გვარმა თქვენმა იდლეგრძელოს. რამეთუ შფოთი, მტრობა და ზარალი ოპრმუზდის ქმნილებებს მაშინ უფრო დაატყდებოდა ხოლმე თავს, როცა ისინი თავიანთ ასულებს სხვა ტომში გაათხოვებდნენ ხოლმე, ანდა საკუთარი ვაჟიშვილებისთვის სხვა ტომის ქალები მოჰყავდათ ცოლად. შედეგად ოჯახები ინგრეოდა.<sup>1</sup>

მტკიცედ მოიზღუდეთ თავი თქვენი საქონლისა და ცხვრის ხორცის მირთმევისგან, რადგან ამქვეყნადაც და იმქვეყნადაც მკაცრად მოგეკითხებათ. ადამიანი ძროხის ხორცის ან ცხვრის ხორცის მირთმევით ცოდვაში ვარდება. ცოდვილობაა უკვე ამის გაფიქრებაც და თქმაც, არათუ ჩადენა. და რამდენადაც კაცმა ხორცი შეჭამა და ცოდვაში ჩავარდა, ცოდვა გადადის სხვა ადგილზეც, სადაც, მაგალითად, სხვებმა დაკლეს აქლემი, ხოლო იმ პირველცოდვილმა იგემა ამ აქლემის ხორცი. ამ შემთხვევაში იგი ისევე სცოდავს, თუნდაც თავისი ხელითვე რომ დაეკლა ის პირუტყვი.<sup>2</sup>

გაუწიეთ მასპინძლობა მოგზაურთ და მექარავნებს, რომ თქვენც სააქაშიც და საიქიოშიც უკეთ გიმასპინძლონ. რამეთუ რასაცა გასცემთ, თქვენია აღმატებულად! ქეიფში დაბრძანდით იქ, სადაც დაგსვამენ. ჭეშმარიტად ის ადგილია დიდებული, სადაც მჯდომარეა კეთილი ადამიანი.

ნუ იღვწით თანამდებობისთვის: მაღალი ადგილისკენ მისწრაფებული უმე-

ტესწილად გონებაარეულია და სულით მშფოთვარე.

სათნოებას უთანაგრძნეთ, ცოდვა გძაგდეთ; აღივსით მადლიერებით კეთილდღეობაში, ხოლო ჭირში იცხოვრეთ სიმდაბლით და მორჩილებით. მტრისგან თავი შორს დაიჭირეთ, ნუ დააზარალებთ კეთილ საქმეს და არ შეეშველოთ ბოროტებას.

დიდი უბედურებაც რომ გეწიოთ, არამც და არამც არ შეეჭვდეთ ღმერთზე და რწმენაზე.

ნურც მეტისმეტად გაიხარებთ, როცა ბედნიერება გეწევათ. ნურც ზედმეტად დალონდებით, თუ უბედობაში ჩავარდებით.

განსაცდელს სათნოებით და კმაყოფილებით შეხვდით; გასაჭირს მედგრად დაუდექით; ნუ ხართ თამამნი ცხოვრებაში, არამედ იმამაცეთ მართალ საქმეთა აღსრულებისთვის. სინამდვილეში ხომ კეთილისმოქმედნი თავადაც სიკეთეს იხვეჭენ, ხოლო ბოროტისმოქმედნი საკუთარ თავს აყენებენ ზიანს. სიმართლე ისაა, რომ აზრთაგან, სიტყვათაგან და ქცევათაგან უმთავრესია ქცევა და საქმე.

მე ვუწყი, რადგან ისეთი განსაცდელი არ გამომივლია მე, ადურბანდ მაჰრასპანდანის ძეს, რომლისგანაც ნუგეშის ექვსი გზა არ მეპოვოს. პირველი: კიდევ კარგი, ასეთია ჩემი განსაცდელი, – ხომ შეიძლება, უარესიც ყოფილიყო; მეორე: ეს სხეულისა და ხორცის გასაჭირია და არა ჩემი სულისა, რამეთუ ხორცი უფრო ადვილად იტანს უბედურებას, ვიდრე სული; მესამე: ჩემთვის განკუთ-

<sup>1</sup> ზორასტრიზმი მხარს უჭერდა სისხლით ნათესავთა ქორწინებას, რჯულისა და ქონების დაცულობის თვალსაზრისითა და საგვარეულოს სიმტკიცის მიზანშენონილობითაც.

<sup>2</sup> ცხოველის ხორცის მირთმევა გარკვეულ წესებს ექვემდებარებოდა. მიირთმევდნენ მხოლოდ იშვიათ ცერემონიულ შემთხვევებში და შეზღუდული რაოდენობით. ზოგადად კი, ძროხის, ცხვრის, ჯიხვის, ირმის, (აქლემის?) ხორცის ჭამა დაუმვებელია. იმქვეყნად ამისთვის სხეულს და სულს სატანჯველი ელის. ზოგადად იჭმეოდა მხოლოდ ბალახისმჭამელი ცხოველები და, აგრეთვე, ბალახზე გაზრდილი ღორიც.

ვნილ განსაცდელთაგან ერთი უკვე გა-დატანილი მაქვს; მეოთხე: რა კარგია, მაში, კარგი კაცი ვყოფილვარ, თუკი წყე-ულმა ცბიერმა აპრემანმა<sup>1</sup> თავის ეშმებ-თან ერთად ეს განსაცდელი მოაწიეს ჩემს თავზე ჩემი ღვთისმოსაობის გამო; მეხუთე ესაა: ყველა ჭირი და განსაცდე-ლი, ადამიანს რაც ეძლევა, ზოგი პირა-დად მას შეხვდება, ზოგიც – მის შვი-ლებს. ამდენად, აი, ეს განსაცდელი, მე რომ გადავიტანე, ჩემს შვილებს აღარ შეხვდებათ; მეექვე კი ისაა, რომ მატ-ყუარა აპრემანი და ეშმაკნი მისნი ური-გებენ ყველა არსებულ ჭირს ოპრმუზ-დის<sup>2</sup> ქმნილებებს, ხოლო ჩემზე მოწეული განსაცდელი აპრემანის ხაზინას მოაკ-ლდა! ამდენად, მას ვინმე სხვა კარგ კაცს ვეღარ დაჰკიდებენ.

შურით ნუ იყურებით, ნუ ხართ თავკერძნი, ნუ მტრობთ კეთილ ადამია-ნებს, მყაცრად განიკურნეთ სიძულვი-ლისა და სიხარბისგან, სასტიკად მოერი-დეთ ცილისწამებასა და მატყუარობას, რათა სხეული არ შეიძილწოთ, ხოლო სული სიცრუითა და ორპირობით არ და-იბინძუროთ.

ნუ განიზრახავთ ავს ყველაზე დიდ ავისმერნელთა მიმართაც, რამეთუ უბო-როტესიც მათში თავად მიიღებს ბორო-ტების საზღაურს.

ცუდი ხალხის სასჯელზე ზრუნვი-სას გახსოვდეთ სიკეთის ძალა და იხელ-მძღვანელეთ ამით. განა კი არის ვინმე, ვინც ცუდ ხალხს დაუკავშირდა და ბო-ლოუამს არ ინანა?

სიკეთე აკეთეთ, რადგან არაფერია სიკეთეზე უკეთესი. კეთილშობილია კე-თილი საქმე მაშინაც კი, როცა მას ბო-როტნი ასხამენ სიტყვიერ ხოტბას. ყოვე-ლივე მჯობი რაც იცით, იმას მისდიეთ.

რასაც ცუდად იცნობთ, მას ნუ აჲყვე-ბით. ის არ უნდა აკადროთ სხვას, რა-საც საკუთარ თავს არ უსურვებთ.

ნუ გგონიათ უსარგებლო მოძღვარ-თათვის მონანულად აღსარების ჩაბარე-ბა, ან გაშოლტვა ცოდვების აღიარება-მონანიებისა და გამოსყიდვის მიზნით.

ერთადერთი წადილი გქონდეთ! ადამიანები ხართ, ამიტომაც ნუ აჲყვე-ბით ორივე სურვილს: ხორცისას და სუ-ლისას. არასდროსა აქვთ სიცოცხლის ურთიერთმსგავსი მისწრაფება ხორცისა და სულს! რამეთუ სხეულს ხორციელი ვნებები ამოძრავებს, სულს კი – სულიე-რი.

ნურასდროს სცოდავთ შურისძიების გამო, არამედ გულმოდგინედ იღვაწეთ კეთილ საქმეში და სათნო ქცევებში. ვნებიანი ცოდვისთვის არ უკუაგდოთ მართალთა რჯული. ვიღაცის ბოლმით უდანაშაულონი არ დასაჯოთ სასტიკად. შურისძიებით ფიცი არ გატეხოთ, რომ შემდეგ საკუთარი საქციელის ტყვეობა-ში არ აღმოჩნდეთ.

ძალიან ნუ დაენდობით ქალებს, ვინძლო სირცხვილი არ გაჭამონ და მწა-რედ მონანული არ აღმოჩნდეთ. საი-დუმლო ქალებს არ გაანდოთ, თორემ მთელი შრომა წყალში ჩაგეყრებათ უნა-ყოფოდ.

ავისმზრახველ, ვერაგ, ცბიერ კაც-თა ბრძანებები არ შეასრულოთ, თორემ დაიღუპებით. ადამიანს ყველაზე მეტად ოთხი რამ სჭირდება საქმეში: გონება და უნარი, ცოდნა და დანახვის ნიჭი, სიმ-დიდრე კეთილშობილებასთან კავშირში, კეთილი სიტყვა კეთილ ქცევასთან ერ-თობაში. უტვინო ნიჭი ტანის სიკვდილს შობს. უვიცის ხედვა მხოლოდ დახატული ტანის გამოსახული წარმოსახვაა. ქონება

<sup>1</sup> აპრემანი, აპრიმანი – ბოროტების საწყისი, ბოროტი სული, დუალისტურად უპირისპირდება შე-მოქმედ ღმერთს ოპრმაზდს (ძვ. აპურამაზდა), ადამიანის მტერი.

<sup>2</sup> ოპრმუზდი, ოპრმაზდი (ძვ. აპურამაზდა) – შემოქმედი ღმერთი, კეთილი და ბრძენი, ნათლის მომცემი, სინათლეში მყოფი უფალი. მისი მტერია აპრემანი.

კეთილშობილების გარეშე – აპრემანის განძია. ხოლო კარგი სიტყვები კეთილი საქმის გარეშე აშკარა მწვალებლობაა.

მწვალებლობის ექვსი მახასიათებელი არსებობს: კარგი შეხედულების ავისმქმნელი; დამანგრეველ-დამაქცევარი ძალმომრეობა და დამღუპველი მოქმედება; გულუხვობაზე და ხელგაშლილობაზე ამაღლმეტყველი ძუნწი ან ხელმოჭერილი; გარეგნულად კეთილშობილი – ბოროტი ბუნებით; თმენის მტერი; რწმენის წინააღმდეგომი აზროვნება, ლაპარაკი და ქცევები.

ნუ წარმოთქვამთ ფუჭად სიტყვებს, ამაო ზოგჯერ ვარგიც; მსმენელთათვის გასაგონად თუ არ არის დიდად მარგი. ითქმის ზოგიც სალალობოდ, სალხინოდ და სამღერელად, საამური სახუმარო ადამიანს ეამება; მაგრამ აქაც ზომა გმართებთ, დრო-ადგილი შეარჩიოთ, უდროოდ და უადგილოდ მასხრობა რომ არ აბნიოთ<sup>1</sup>. ენის გუშაგად ჭკუა-გონება უნდა იდგეს, სიტყვის სადარაჯოზე – განსჯა; ტანს სწავლება იმორჩილებს განვრთნილ ნაყოფად; კეთილგონივრული ქცევის ჯილდო სამოთხეა; სამოთხემდე კი ამქვეყნადაც მოგეცემათ ტკბილი, ნუგბარი საჩუქრები. ჭკუა-გონებაა ყოველგვარი სისწორის პირობა. ჭკუა-

გონების წყარო ცოდნაა, ცოდნა კი გამოცდილებით მოდის; დიდებულება სახელოვნებაშია; ყველა საქმეს შესატყვისი დრო და სივრცე ამშვენებს; ჭეშმარიტი სიმდიდრე შეძენა და გაცემაა; სიმშვიდით განცხრომა კი უმიშარია და უჭირველი.

ძალიანაც ნუ გაიხარებ, სიხარული რომ გეწვევა; ნურც მეტისმეტად დალონდები, უბედობა თუ გერგუნა. ეს ორივე, – ბედიც და უბედობაც, – ადამიანის ხვედრია. კეთილდღეობისთვის ლმერთს მადლობა შესწირეთ; ქონების ნაწილი ლმერთს შეავედრეთ და კეთილადამიანებსაც არგუნეთ; გაიღეთ ხარჯები საღვთო საქმეებზე. ჯილდო და საზღაური თავისით გეწვევათ იქიდან, საიდანაც ხამს მისი მოსვლა.

კარგად დაამუშავეთ მიწა, რადგან სიცოცხლის წყარო და ყოველი საკვები დედამიწიდან მომდინარეობს, რომლის სახელია სპანდარმაძი<sup>2</sup>.

ნურასდროს ჩაიდენთ ცოდვას წყლის, ცეცხლის, ძროხების, ცხვრებისა და ძალლების, ძალლთა ჯიშის სხვა ცხოველთა მიმართ, რათა არ ჩაგეკეტოთ გზა, მიმავალი სამოთხისაკენ და მთიანი სასუფევლისაკენ.

შორი გზიდან თუ ახლოდან მომა-

<sup>1</sup> გათვითცნობიერებული ქართველი მკითხველისთვის ლირსსაცნობია და აშკარაა აქ რუსთველისეული ლექსიკისა და რუსთაველური შაირის ლექსთწყობის (ზომა და რიტმი, აგრეთვე, მსგავსი რითმაც) მოხმობა. ეს მთარგმნელის მტკიცე არჩევანია, რამეთუ: მოცემული შეგონება თავისი არსითა და აზრით საოცრად ჰგავს რუსთველის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ზოგჯერ სახალისო, სალალობო, სანადიმო, სააშიკო ლექსიც (მესამე ლექსი) კარგია „სამღერელად, ამხანაგთა სათრეველად“; „მათიცა გვეამების“, თუ „ნათელ“ სიტყვას იტყვიან (მოკლედ თუ გრძლად). ადურბანდ მაპრასპანდანის ძე კი არსობრივად შემდეგს ამბობს: „დიახაც, კარგია მხიარულების, ლხინის დროს სამხიარულო სიტყვების თქმა და ხუმრობაც, მაგრამ ამისთვის დრო და ადგილი უნდა შეირჩეს, რამთუ უდროოდ და უადგილოდ სწორი („ვარგი“) ნათევამიც არ აღმოჩნდება სასარგებლო („მარგი“); თორემ ხუმრობაც ამაო და ტყუილად გახარჯული გამოგვა“. ამ ბრძნულ ნათევამთა სემანტიკურმა და დიდწილად ლექსიურმა მსგავსებამაც ასოციაციურად მყისიერად მისცა მთარგმნელს ამ აბზაცის ქართულად გალექსვის შესაძლებლობა, რითაც დაუახლოვა ფალაური ტექსტი ქართველი მკითხველის ჩვეულ აღქმას. ზოგადად, ეს თარგმანის ჩვენი პრინციპია. მიგვაჩინა, რომ ამ შემთხვევაში ლექსიკაც და პოეტიკაც შესაბამისია.

<sup>2</sup> სპანდარმადი – ერთ-ერთი ამაპრასპანდი, ანგელოზი: დედამიწის სული, ღვთაება.

<sup>3</sup> სამოთხე დედამიწის თავზე განლაგებულ სხვადასხვა სიმაღლის დონეებს მოიცავს (განსაწმენდელის ჩათვლით), – შესაბამისად, სხვადასხვა დონის მართალთათვის (ერთ-ერთ დონეზე საქონლის

ვალ ღვთისმოსავთათვის კარები ღიად იქონიეთ! იცოდეთ, ვინც ფართოდ არ გაუღებს კარს ღვთისმოსაობას, მას და-ეკეტება კარი სამოთხისა და დაეხშობა უზენაესის ზენა სასუფევლის კარიბ-ჭეც<sup>3</sup>.

გული დაუდეთ ყოველგვარი ხელო-ბისა და ხელოვნების ცოდნა-შესწავლას, რამეთუ ხელოვნება კეთილდღეობის მშვენი სამკაულია, გაჭირვების ტალკვე-სია გასაჭირში, უბედობის წამალია და ოსტატობაა სილატაკეში.

ხოლო, თუ დაოსტატდებით, ცოდ-ნა-უნარები საქმესაც შესაბამისად მოახ-მარეთ; იცოდეთ, უდიდესი ცოდვაა დი-დი ცოდნის მცირედ გამოყენება.

მრავლისმცოდნე კაცის ტვინს თუ სიკეთე არ ახლავს თან, იგი უცილობ-ლად მწვალებლობაში გადავარდება, ტვინი კი სისასტიკისკენ გადაუბრუნდე-ბა.

ნუ დასცინებთ სხვასაო, გადაგხდე-ბათ თავსაო: დამცინავი კაცი თავად და-საცინი გახდება.

ასეთი ადამიანის ფარრი<sup>1</sup> ირღვევა! ის ხდება დაწყევლილი! და მისი შვილიც კი შემდგომ ძნელად თუ მიაღწევს მებ-რძოლის ღირსებას!

ყოველდღე იარეთ მსჯელობისთვის მართლმორწმუნეთა საკრებულოში. ცხა-დია, ვინც მეტს ივლის სამსჯელოდ მარ-თალთა შეკრებებზე, მას მეტად მიეცემა მადლი და წყალობა.

ყოველდღე სამჯერ ეწვიეთ არტო-შანს<sup>2</sup> და ლოცვა აღუვლინეთ წმინდა ცეცხლს; აშკარაა, ვინც უფრო ხშირად დადის არტოშანში და ხშირად აღუვ-ლენს ლოცვას წმინდა ცეცხლს, მას მე-ტი მიეძღვნება სიმდიდრეც და მარ-თლმორწმუნების მადლიც.

შორს დაიჭირეთ თავი მამათმავ-ლობის ცოდვისგან! ერიდეთ თვიურით უწმინდურ დედაკაცს! თავი დაიცავით ძუძუს მაწოვებელ როსკიპისგანაც, თო-რემ მრუშობის სიბილნე ჯერ სხეულს ავნებს, მერმე – სულს!<sup>3</sup>

არასდროს დაიტოვოთ მოსანანიე-ბელ ცოდვათა დიდი რაოდენობა, თუნდ ერთი ფარსახის<sup>4</sup> სიახლოვით, თორემ წმინდა კეთილი ზოროასტრული<sup>5</sup> სარ-წმუნოება მტრად გადაგექცევათ.

მოკვდავო, გახსოვდეს უკვდავი სუ-ლი! რამეთუ არსებობს სული და არ არ-სებობს სხეული; სულიერებაა არსებული და არა – ეს მიწიერი სამყარო. ხორციე-ლი განცხრომის გამო სული არ დაღუ-

მოდარაჯე დამსახურებული ძალლებიც იმყოფებიან); მაგრამ უმაღლესი დონის სამოთხე არის უზენაესად ამაღლებული ღვთის სასუფეველი, გაროდმანი, სადაც სუფევს ოპრმაზდი და მასთან იმყოფებიან წმინდანთა სულები. გაროდმანი აღვილია ბრწყინვალე ნათლით, – მარადიული უსას-რულო კაშკაშა სინათლით. სიხარული, ბედნიერება, ნეტარება, მხიარულება, ბრწყინვალე შესამო-სელება, სიმშვიდე, კეთილდღეობა, სურნელება, სიტურფე, მოკაშკაშე ოქროს ტახტრევნები, ზე-მართალთა გაცისკროვნებული სულები, სრული თვალისმომჭრელი ბრწყინვალება, ღვთიური ნა-თება, – ასე აღინერება გაროდმანი („დიდების სახლი“). სხვა დონეებზე ანათებს ვარსკვლავთა, მთვარისა და მზის შექი; ამდენად, გაროდმანის ბრწყინვალე ნათება ოპრმაზდისეულია.

<sup>1</sup> ფარრი – ხვარ-ი, ღვთიური შარავანდედი, კურთხევისა და მადლის სიმბოლო. ნათება. ზოგჯერ წარმოისახება ცეცხლოვანი მორბენალი დიდ ვერძის სახით.

<sup>2</sup> არტოშანი – ფალაურად ატახშან, ცეცხლის ტაძარი. ჩვენ ვარჩიეთ გვეთარგმნა ქართულ მწერ-ლობაში დაცული ტერმინით („მუშანიკის მარტვილობა“), რომელიც სწორედ აღნიშნული ფალაური სიტყვიდან მომდინარეობს და აქ უპრიანია.

<sup>3</sup> მამათმავლობა, სოდომის ცოდვა – ფალაურში ინდება „სიცრუის ცოდვად“; ყოველგვარი სიც-რუე კი აპრემანისეულია; თვიურის დროს ქალი უწმინდურად ითვლებოდა (შდრ.: სვანეთშიც), რის შემდეგაც განწმენდის რიტუალი სრულდებოდა; და ბოლოს, ნახსენებია როსკიპიც, – სხეულის შე-ბილვის გზა.

<sup>4</sup> ფარსახი, ფარსანგი – სიგრძის ერთ. = 6 კმ.

<sup>5</sup> ზოროასტრული ან მაზდეანური (ტექსტში: მაზდესნან). ოფიციალური რელიგია.

პოთ; ნუ დაივიწყებთ სულს ვიღაცის მა-  
ამებლობისთვის ან ამქვეყნიური წარმა-  
ვალი ქონებისთვის. ნუ ისურვებთ ისეთ  
რამეს, რაც ხორცს სასჯელში, ხოლო  
სულს შურისგებაში ჩააგდებს. ვინმეს  
სიყვარულითაც სულის პატივი არ უგუ-  
ლებელყოთ, რათა უნებურად მძიმე სას-

ჯელი არ დაიმსახუროთ.

დე, ნათელში უკვდავი იყოს ცხონე-  
ბული ადურბანდ მაჰრასპანდანის ძის  
სული, რომელმაც აგვიგო ეს ანდერძი  
და ინება ჩვენზე ასეთი ბრძანება.

დავასრულეთ ჯანსაღად და სიხა-  
რულით.

საშუალოსპარსულიდან თარგმნა  
მარა სახოკიამ

## ფარიბა ვაფი (დაიპ. 1963 წ.)

ფარიბა ვაფი თავრიზში დაიბადა. ცხოვრობს თეირანში და დღეისათვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და პროდუქტულ თანამედროვე ირანელ მწერლად მიიჩნევა. იგი მრავალი ნოველისა და მოთხოვნის, ასევე, რამდენიმე რომანის („ჩემი ჩიტი“, თარლანი“, „მთვარე ივსება“, „დასასრულის შემდეგ“...) ავტორია. მისი ნანარმოებები მრავალი ლიტერატურული ჯილდოთი აღინიშნა ირანში. 2017 წელს რომანს, „თარლანი“, გერმანიაში „ლიტპრომის პრემია“ მიენიჭა. ვაფის ნანარმოებები არაერთ უცხოურ ენაზეა თარგმნილი. ქართულად თარგმნილია ნოველა „ქალი, რომელსაც ქმარი ჰყავდა“ (მთარგმნ. მ. ბურჯანაძე).

### ორი დღე

ჩემი ქმარი თვეების შემდეგ დაბრუნდა. ჩემმა ბიჭმა აშლილ თმაში პატარა თითები შეუცურა:

– როგორ გათეთრებულა.

გოგომ უთხრა:

– როგორ გათეთრებულხარ, მამა.

არ ვუთხარი, გამხდარხარ-მეთქი. უბრალოდ, გავიცინე. ერთმანეთს თვალებში შევხედეთ და გავიღიმეთ. ჩემს ქმარს მწვანე თვალები აქვს. დადარდიანებია და ირგვლივ მუქი და ბაცი ხაზები ეტყობა. ორ დღეში უკან უნდა დაბრუნდეს. ჩემი ხელი თავის ხელში მოიქცია და დამწვრობის ნაიარევს შეხედა:

– რა მოგივიდა?

გამეცინა. ძალიან ხმამაღლა. ნაიარევი თორმეტი წლიდან მაქვს და ჩემმა ქმარმა ის ცამეტწლიანი თანაცხოვრების შემდეგ დაინახა. ისე გამეცინა, რომ თვალებიდან ცრემლები წამომცვივდა. უკვე ვტიროდი. სიხარულისგან. ჩემი ქმარი მხედავდა. კოჭრს ჩემს ფეხის-გულზე და ხალს კისერზე. ერთმანეთის მხარდამხარ გავუყევით ფართო ქუჩას. ჰაერი გამჭვირვალე იყო და მზე თითქოს მხოლოდ სახეების გასანათებლად კაშკაშებდა. მაღაზიების წინ ვიდექით და მე ვიტრინებში ჩვენს ანარეკლებს ვუყუ-

რებდი. ჩემი ქმარი მაღაზიის წინ გაჩერდა:

– რომელი მოგწონს?

– არცერთი.

არ მომეშვა. გრძელი ცისფერი პერანგი ვაჩვენე. შიგნით შევედით. პერანგი ძვირი იყო. წყნარად ვუთხარი:

– წავედით.

მაგრამ ჩემმა ქმარმა ფულის შეკვრა ჯიბიდან ამოილო და დაითვალა. სახე შევაბრუნე და სარკეში მისი პროფილი დავინახე, ფულს მეორედ ითვლიდა. გოგოსთვის გრძელფეხა მაიმუნი, ბიჭის-თვის კი სამთვლიანი ველოსიპედი ვიყიდეთ და დავბრუნდით.

ღამით ჩემმა ქმარმა დამიძახა ძალიან რბილი ხმით.

– შემიძლია, დავრჩე.

ჭერს უყურებდა.

– თუ... თუ შენ გინდა.

მეც ჭერს შევხედე. გაჯი ამობურცულიყო და სადაცაა, ჩამოვარდებოდა.

– აქ ვიპოვი სამსახურს, ამ ხელებით ...

მოკლე თითები და ფართო ფრჩილები ჰქონდა.

– შენც ძალიან გაწვალდი, მესმის ეს.

მინდოდა, კიდევ ერთხელ მომესმინა.

– იქ საქმე კარგად გაქვს. არ ღირს თავის დანებება.

გული უფრო და უფრო სწრაფად მიცემდა.

– მივატოვებ... თავს დავანებებ. აქ ვიპოვი სამსახურს.

– და რისთვის?

– შენთვის.

ამ სიტყვებთან ერთად, შემეძლო, ერთი საუკუნე მარტო დავრჩენილიყავი და იმ ორ დღეზე მეფიქრა, რომელიც მე მეცუთვნოდა. ჩემი ქმარი ლაპარაკობდა. ხმაში წლების წინანდელი მღელვარება ჰქონდა. სახე მისკენ მივაბრუნე და სინათლის ჩაქრობისთანავე გავიგონე საკუთარი ხმა:

– წადი.

## მაშინაც პი, როცა ვიცინით

ოთხი ქალი ვართ. როცა ვიკრიბებით, შეგვიძლია, ვიცინოთ, მაშინაც კი, თუ სევდიანები ვართ. ერთმანეთს ტუჩ-საცხსა და ფერუმარილს ვთავაზობთ და პატარა სარკეში, რომელიც ხელიდან ხელში გადადის, საკუთარ ანარეკლებს ვუყურებთ. შვილებზე საუბრით ვიწყებთ და კაცებით ვამთავრებთ. სწორედ ამიტომ არის, რომ თავიდან ჩვენი ხმები მშვიდი და ალერსიანია, ნელ-ნელა კი სულ უფრო და უფრო უხეში ხდება. დიდი სიამოვნებით ვყვებით ღალატზე. ახლა ერთმანეთს კარგად ვიცნობთ და ვიცით, თითოეული როგორ ვღალატობთ.

ერთი ჩვენგანი ყოველთვის გვიფუჭებს განწყობას. როცა გაბრაზებულია, ქმარს ნერწყვშერეულ ქაბაბს უმზადებს. ამაზრზენ ისტორიებს გვიყვება. ვიჯმუხნებით, ყურებზე ხელებს ვიფარებთ და ვეხვენებით, მეტი აღარაფერი თქვას. ის ხარხარებს და მოყოლას აგრძელებს. ჩვენი აზრით, ძველმოდური ქალია, რადგან შურისძიებისთვის მხოლოდ ერთი გზა იცის.

ერთი ჩვენგანი თავის ქმარს ძარცვავს, ღიად თუ ფარულად, ძილსა და ღვიძილში. როცა სახლში არიან, ან საყიდლებზე გარეთ გადიან. შეუძლია, ელექტროენერგიისა და წყლის ქვითა-

რიც კი გააყალბოს ქმრისთვის ფულის დასაცინცლად. დაუსრულებლად ყიდვა-გაყიდვაშია. ნამდვილი თაღლითია.

მე სხვა გარიგება მაქვს ცხოვრებასთან. წლებია, რაც ჩემი ქმარი ნივთია სახლში – გამათბობელი კედლის კუთხეში ან, სულაც, კოვზი მაგიდაზე. მის მიმართ აღარაფერს ვგრძნობ და ის ყოველდღე სხვადასხვა ფორმას იღებს, ოღონდ არა იმ კაცისას, სახლში რომ უნდა იყოს.

მხოლოდ ერთ ჩვენგანს არ მოუყოლია ჯერ ღალატზე. ყველანი მას შეცყურებთ. წესად არ გვაქვს, ამ მეგობრულ სიტუაციაში ვინმემ საიდუმლო არ გააშლავნოს. ვფიქრობთ, რომ მისი ღალატი რაღაც ახალია, რადგან, რაც აქ არის, ჯერ არ გაუღიმია. სკამებს მისკენ ვწევთ და თვალები ცნობისმოყვარებისგან გვიელავს.

დუმილის შემდეგ, რომელიც ყველას გვაღიზიანებს, ის თვალებს ხუჭავს და ძლივს ამბობს:

– მეც ... მეც ვუღალატე.

შვებით ამოვისუნთქეთ. ერთი ჩვენგანი ეუბნება:

– ყოჩალ ... განაგრძე.

– მას არა, საკუთარ თავს.

ვამბობთ:

- რა პოეტურია! რა პოეტურია!
- მთელი ამ წლების განმავლობაში  
ისე არასდროს მიცხოვრია, როგორც  
მინდოდა.
- და რა გინდოდა?
- არ ვიცი ... ახლა აღარც ვიცი.

ყველანი ჩუმად ვართ. ერთი ჩვენ-  
განი ფერუმარილს იღებს ჩანთიდან და  
ყველას გვთავაზობს. სარკეში არ ვიყუ-  
რებით, ლოყებსა და ტუჩებზე ფერს ვიმ-  
კვეთრებთ და სახლებში ვბრუნდებით.

**სპარსულიდან თარგმნა  
ანი ლაზვიაშვილმა**

## ფარიბა ვაფის სიტყვა ორპან ფამუქის საღამოზე

ჩემთვის ორპან ფამუქის შემოქმედება იმ თურქული ლიტერტურისაგან არ განირჩევა, რომელსაც წლებია, შევეჩვიეთ. ირანელ მკითხველებს ჯერ კიდევ უყვართ თურქული რომანები, მოთხოვობები და ლექსები. მწერლების: იაშარ ქემალის, აზიზ ნესინის, ლათიფე თექინის, ელიფ შაფაქის, პოეტების: ნაზიმ ჰიქმეთის, ორპან ველის და ათობით სხვა თურქი პოეტისა და მწერლის წიგნებია დაბინავებული ჩვენს ბიბლიოთეკებში. ორპან ფამუქმა თავისი წიგნებით ამ საცავებს ახალი სუნთქვა შთაბერა და გაამდიდრა.

წლების წინ ორპან ფამუქის თხზულება წავიკითხე ცნობილ ადამიანებზე (ეს ამბავი სხვადასხვა სათაურითაა თარგმნილი) და მას შემდეგ ამ მწერლის ერთგული მკითხველი ვარ. მის თხზულებებზე საათობით შემიძლია ვილაპარაკო, მაგრამ ამჯერად მსურს იმ წიგნზე გესაუბროთ, რომელმაც ყველაზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე – მის „სტამბოლზე“.

სტამბოლში რამდენჯერმე ვყოფილვარ, მაგრამ ჩემი ჭეშმარიტი მოგზაურობა ამ ქალაქში „სტამბოლის“ წაკითხვის შემდეგ დაიწყო. ამჯერად ფამუქს გავყევი სტამბოლში და საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ მხოლოდ რომანისტს შეუძლია მშობლიური ქალაქის მარტივი წიაღი გამოიაროს, მის დაფარულ, ღრმა ფენებში, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მის სულში შეაღწიოს და ქალაქის მრავალწახნაგოვანი სახე თვალწინგადაგვიშალოს.

როგორც წიგნშიც წახსენებია, მეოცე საუკუნის დასაწყისამდე სტამბოლის აღნერილობათა უმეტესობა დასავლელ მოგზაურთა თვალითაა დანახული. ესენი არიან პოლიტიკოსები, მოგზაურები, მწერლები (ფლობერი, ანდრე უიდი)

მხატვრები და სხვა.

თავად სტამბოლელები საკუთარ ქალაქს ნაკლებად იხსენიებდნენ. ფამუქი ამ დასავლურ შეხედულებებს სესხულობს, რათა საკუთარ თავსა და მშობლიურ ქალაქს შორიდან შეხედოს. რასაკვირველია, ამ გზით უფრო მეტს ხედავს. დასავლური მზერა საშუალებას აძლევს, მიუკერძოებელ მოწმედ დარჩეს, სენტიმენტალიზმის მახეში არ გაეპას, გაზიადებას თავი აარიდოს, შიგადაშიგ პოეტი იყოს, მაგრამ რეალობის შეგრძნება, აზრის სიცხადე არ დაკარგოს და სტამბოლი შეუდარებელი ბრწყინვალებით წარმოგვიჩინოს.

მაგრამ ფამუქი მხოლოდ მოწმე არ არის, არც მონუსხული თუ უზრუნველი მაყურებელია. იგი ქალაქის ცხოვრების ნაწილია, თავის ბავშვობას, სიყმანვილესა თუ ახალგაზრდობას ქალაქის ცვლილებასთან ერთად რომ იკვლევს; საკუთარს, ოჯახისას თუ ქალაქის ცხოვრებას ერთმანეთს უკავშირებს და ამ გულწრფელ თანაგრძნობაში ქალაქური ცხოვრების ღრმა და საფუძვლიან გამოცდილებას იღებს.

ფამუქის აზით, ქალაქის ღირსებას გეოგრაფიული მდებარეობა და ნაგებობები კი არა, ის ფერები, სურათები და მოგონებები ქმნის, ადამიანთა ხსოვნაში რომ ყალიბდება. ფამუქი ამ მოგონებესა და სურათებს გზას უხსნის და საკუთარი თვალისა და გონების სიმახვილით, კონტურებისა და ფერების შეხამებით სტამბოლის ცოცხალ და გამორჩეულ ინდივიდუალობას ძერჩავს. სტამბოლი თითქოს ოჯახის წევრია. ფამუქი ცოდნითა და ქალაქის ისტორიაში განსწავლულობით, ემოციურად და ღრმა განცდებით ესაუბრება ქალაქს და ქალაქიც, თითქოს ამ გულწრფელობის საპასუ-

ხოდ, საკუთარი სიუხვის ბაღში შეუძლება მწერალს.

მწერალს სევდა შემოსწოლია, მაგრამ ამ სევდას არ გაურბის, მიჰყება მას, სევდიან სტამბოლს მიადგება და მისი სევდის მიზეზებს გულმოდგინედ და დაკვირვებით იკვლევს. სევდა და მელანქოლია, სტამბოლის მზის ჩასვენება რომ აგრძნობინებს, ფამუქისათვის რამე კერძო საკითხი კი არ არის; იგი ქალაქის სევდისა და მელანქოლის გამოძახილია. ეს სევდა სტამბოლის ნანგრევებიდან და დაკარგული დიდებიდან იღებს სათავეს და პოეტთა თუ მწერალთა თხზულებებში, სიმღერებში, ფილმებში განსხეულ-დება და გრძელდება.

„სტამბოლმა“ შთაგონება მაჩუქა, რადგან მასთან ერთად სხვა დაუწერელ წიგნსაც ვკითხულობდი – წიგნს ჩვენი ქალაქების შესახებ, ლიტერატურაში რომ არავის გაუცოცხლებია, სრულყოფილად რომ არავის დაუხატავს. ავტო-

რისგან ნასესხები ახლებური ხედვით თავრიზისა და თეირანის (ქალაქებისა, რომლებშიც წლები გავატარე) ქუჩებსა და ქუჩაბანდებში ვხეტიალობდი და თავში კითხვები მიტრიალებდა. კარგი წიგნი ასეა, შეკითხვებს უჩენს ადამიანს: ნუთუ სტამბოლია ის ქალაქი, ლიტერატურად გარდაქმნის პოტენციას რომ ატარებს?! თუ ფამუქია ის ოსტატი, რომელსაც შეუძლია, ქალაქი მთელი თავისი ხლართებით ლიტერატურაში შემოიყვანოს?! ჩემივე კითხვას ადვილად ვუპასუხე: ერთიც და მეორეც. ერთი მეორეს ავსებს, ამის ნაყოფი კი წიგნია, რომელსაც ვკითხულობ და კვლავ თავს ვეკითხები: ჩვენ-ჩვენს ქალაქებთან რა დამოკიდებულება გვაქვს? რატომ განგვიდგება ხოლმე ქალაქი და ლიტერატურაში საკუთარი შემოქმედებითი სიცოცხლის დამკვიდრებას უძალიანდება?

„სტამბოლი“ მრავალ კითხვას გვიტოვებს.

სპარსულიდან თარგმნა  
თამთა ფარულავამ

## სარჩევი

მირზა აყა-თავრიზი,	„არაბისტანის გუბერნატორის აშრაფ-ხანის თავგადასავალი“.
თარგმანი კონსტანტინე ფალავასი	7
 თურქული ლიტერატურა	
ომერ სეიფედინი,	შესაჯდომი რამ. თარგმანი დარეჯან ყაფლანიშვილისა.
საბაჰათინ ალი,	ნოველები. თარგმანი მერი წიკლაურისა.
მუსტაფა ნეჯათი სეფეთჩილლუ,	შუქურა. თარგმანი ნინო გორგაძისა
თურქული პოეზია, თარგმანი ტარიელ ლებანიძისა	46
 სომხური ლიტერატურა	
არმენ ოჰანიანი (ჰაიასტანცი),	„კიკოსის დაბრუნება“,
თარგმანი ასია დარბინიანისა	63
 სპარსული ლიტერატურა	
ადურბანდ მაჰრასპანდანის ძის ანდერძი,	თარგმანი მაია სახოკიასი
ფარიბა ვაფი,	ნოველები. თარგმანი ანი ლაზვიაშვილისა
ფარიბა ვაფის სიტყვა	ორჰან ფამუქის საღამოზე,
თარგმანი თამთა ფარულავასი	80

რედაქტორი: 593464565; E-mail: mzivditi@yahoo.com  
სწავლული მდივანი: 599160619; E-mail: nanio02@yahoo.com

ტირაჟი 40 (ორმოცი) ცალი



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკას №4. ტელ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com



9 772348 841005